ᲛᲝᲜᲐᲗᲐᲜᲘ

N3

2019

ა ნ ჯ ა მ ა ტ ი

სტუდენტური ლიტერატურული ჟურნალი

№ 3 2019

სტუდენტური ჟურნალი „ანდამატი“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ლიტერატურული ტრადიციის მოკრძალებული გაგრძელებაა. იგი იბეჭდება ამავე უნივერსიტეტის სტუდენტთა ფინანსური დახმარებით და მისი გაყიდვიდან შემოსული თანხა მთლიანად ხმარდება ჟურნალის შემდეგი ნომრის გამოცემას. ჟურნალი მიზნად ისახავს ნიჭიერი სტუდენტების აღმოჩენას, მათი შემოქმედების წარმოჩენას, ცოცხალი ლიტერატურული გარემოს შექმნას და, ამგვარად, მისი კარი ყველა სტუდენტისთვის ღიაა.

ჩვენი და მთლიანად სტუდენტების სახელით დიდ მადლობას ვუხდით ყველა ადამიანს ამ ჟურნალის გამოსაცემად გაწეული შრომისა და ფიზიკური თუ მორალური დახმარებისთვის.

ნომერი ეძღვნება საქართველოს ეროვნული გმირის – მერაბ კოსტავას 80 წლის იუბილეს.

რედაქტორი – თორნიკე კანდელაკი

ნომერში გამოყენებულია ფოტოსურათი ნინო მიქიაშვილის წიგნიდან „მერაბ კოსტავა“

ფოტო ყდაზე: მერაბ კოსტავა - ლევან თაქთაქიშვილის ფოტოკოლექცია
(საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)

ჟურნალის რედაქცია გაწეული დახმარებისთვის განსაკუთრებულ მადლობას უხდის თამარ ფიცხელაურს.

ISSN 2587-5027

შინაარსი

პოეზია

ბ ე ქ ა ბ ა ი ა შ ვ ი ლ ი

შენს თვალებზე მიჯაჭვული პრომეთე ვარ 14

ვგრძნობ მე 14

იქნებ ვყვაოდით 15

ს ა ლ ო მ ე ბ ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი

საქართველო 16

„იცი, შენ ბაგეს ამჩნევია ზეცის სილურჯე“ 16

„ის საქართველო სად არის...“ 17

თ ა მ ა რ გ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი

Time 18

„On the beach, standing on knees“ 18

Living Mess 19

„How can I express the beauty of your soul“ 20

თ ო რ ნ ი კ ე კ ა ნ დ ე ლ ა კ ი

იდუმალი დუმილი 21

მადლობელი ვარ 22

სანთლებს შორის 22

რა ცეცხლი დასდევს პოეტს ნამდვილს 23

ინერციები 24

ფსკერები 24

ლ ე ვ ა ნ კ ე კ ე ნ ა ძ ე

დედაბრის ლოცვა 27

თეთრწვერა მათხოვარი 27

ლ ა შ ა ლ ო ს ე უ რ ა შ ვ ი ლ ი

„ეს ჩემი გზაა, ჩემი ხვედრია“ 28

„წვიმს და მომინდა ლექსი დავწერო“ 28

„ასე ტკივილით გაივლის წლები“ 29

„მოიტანა სევდა“ 29

„მე უფრო სხვა ვარ, ვარ უფრო მაღლა“ 30

„მინდა რომ შევძლო გავექცე ფიქრებს“ 30

მ თ ვ ა რ ი ს შ უ ქ ი

ისე ხარ თითქოს... 31

„იქნევდი ხელებს, ითხოვდი შველას“ 31

Faithful Betrayer 32

ნ ი კ ო ლ ო ზ შ ა ფ ა ქ ი ძ ე

„ისევ ცივდები და კვდები ნაზად“ 33

„დამარცხებულმა დავაგდე ფარი“ 33

„მუტრიბო, ჩანგი ახმიანე შენი გოდებით“ 34

ლ ა ლ ი ჭ ე შ მ ა რ ი ტ ა შ ვ ი ლ ი

მარტივი ლექსი 35

„უფიქრო ლანდივით დავყვები შარაგზას“ 35

ბოლო 36

გადაამისამართეთ! 36

პროზა

ქეთევან ფიროსმანაშვილი
მიწისფერი 38
თათია წიკლაური
ოთხი ნოემბრის საღამო იყო 40
სესილი გოგიბერიძე
„ჩემო გოგონია“ 42
მევიოლინე
მარტამდე 44

მხატვრობა

თორნიკე გუმბერიძე 46
გიგა არგანაშვილი 48

თარგმანი

პოეზია

ალექსანდრე პუშკინი (თარგმნა ლაშა ლაშხმა)
„მინახავს ბრძოლა...“ 50
შენ და თქვენ 50
სერგეი ესენინი (თარგმნა ლაშა ლაშხმა)
„ნახვამდის ჩემო მეგობარო, გემშვიდობები“ 50
„ამ ერთადერთის დამრჩა ხალისი“ 51
უილიამ ერნესტ ჰენლი (თარგმნა გიორგი სვანიძემ)
უძლეველი 52

პროზა

საიდ ნაფისი (თარგმნა გიორგი სიფრაშვილმა)
მშობლიური სახლი 53

სამეცნიერო თარგმანი

ალექსეი ლოსევი (თარგმნა გიორგი კახიშვილმა)
პლატონის უარყოფითი დამოკიდებულება ჰომეროსის მიმართ 55

პუბლიცისტიკა

ესე

ნინო ჭინჭარაული
ბოდლერი და პო 60
სალომე თალაკვაძე
კლასიკური პერსონჟის დეკონსტრუქცია
(ილია ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარიძის სახე აკა მორჩილაძის „წიგნში“) 63

ისტორიული ნარკვევი

გიორგი მაჭარაშვილი
ქრისტე და პირველი ქრისტიანები ბერძნულ-რომაულ წყაროებში 66



ფაუსტის მსგავსად

ჩვენ, თანაკბილანი, სიყრმიდანვე ვმეგობრობდით. ჯერ პირველ ვაჟთა საშუალო სკოლაში ვსწავლობდით ერთ კლასში, შემდეგ ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ მუსიკალურ სასწავლებელში. მერაბი ჩინებული პიანისტი იყო. მშვენივრად ასრულებდა გრიგს, ბეთჰოვენს და შუბერტს. ბეთჰოვენის და ვაგნერის გმირული მუსიკა იყო იმჟამად ჩვენი სტიქია. მერაბში თითქოს ორი სული იბრძოდა, ფაუსტის მსგავსად, მუსიკისა და პოეზიისა. ბოლოს პოეზიის სულმა იმძლავრა, მერაბი მუსიკას შეეშვა და პოეზიას მისცა თავი, თუმც მისი ლექსი არ გაჰყრია მუსიკას, მუსიკის ტალღათა მძლავრი პულსირება საცნაურია მის სტრიქონებში.

ერის წყლული გვაჩნდა და არც პოლიტიკაში ვიყავით უმოქმედონი. მამაჩემი იმთავითვე შთაგვაგონებდა ორივეს ეროვნულ იდეებს. გვათვიცნობიერებდა, თვალს გვიხელდა სინამ-დვილეზე. დამოუკიდებელი საქართველოს ოცნებით გვზრდიდა...

ზვიად გამსახურდია
„მერაბ კოსტავა: 79 ამბავი“ (არტანუჯი, 2018)

ჭეშმარიტად, მერაბ!

ეს მომხდარა 1978 წელს თბილისის სუკ-ის ციხეში, სადაც მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია მოუთავსებიათ საქმე ნომერ 131-თან დაკავშირებით. აქაური საკანი უნდა ყოფილიყო მატარებლის კუპეზე ოდნავ მოზრდილი. დღის სინათლე ატანდა გისოსებიანი ფანჯრიდან, რომელიც ჩვეულებრივზე გაცილებით მაღლა ყოფილა დატანებული კედელში. პატიმარი გამუდმებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ამ მიზნით რკინის კარს ჰქონდა საგანგებო საჭვრეტი, საიდანაც ზედამხედველის ფხიზელი თვალის თეთრონი და გუგა მოჩანდა თურმე.

დამდგარა ლიტანიობის ღამე. მერაბი თბილისის სუკ-ის ციხეში იმყოფებოდა, ზვიად გამსახურდია იმხანებში ლეფორტოვის ციხეში უნდა ყოფილიყო გადაყვანილი, რამდენადაც მახსოვს.

ადვილი არაა იმ სიმძიმილის ცხადად წარმოდგენა, ადამიანს რომ ეუფლება, ამგვარად შეჭირვებულს: მთელ საქრისტიანოში მორწმუნენი ზეიმობენ, ზარები რეკავენ, წირვაზე მყოფნი ერთმანეთს ეხვევიან და ულოცავენ მარადიული ცხოვრების დღესასწაულს, აქ კი ჯერ კიდევ სიკვდილის აჩრდილი ტრიალებს. მერაბს შინაგანად უგრძნია ამ ჟამის დადგომა, ზეწამოჭრილა, ხელებით ჩაფრენია გისოსებს, აწეულა ისე, რომ შიდა ეზო ნაწილობრივ დაულანდავს და მთელი ხმით დაუჭექავს:

„ქრისტე აღსდგა!“

არ არის ძნელი იმის წარმოდგენა, თუ როგორ იმოქმედებდა ეს ხმა ციხის პერსონალზე. დაახლოებით იგივე სურათი იქნება, თუ ერთ ჭიქა ადუღებულ ზეთს კრაზანების ბუდეში ჩაღვრით. ამტყდარა განგაში.

„ქრისტე აღსდგა!“ – განმეორდა კიდევ. ზედამხვედველები მერაბის საკანში შეჭრილან, ჩამოკიდებიან ფეხებზე, მთელი ძალით ეზიდებოდნენ დაბლა. მერაბი ფიზიკურად ისედაც ძლიერი იყო, „მაგრამ, ამ დროს საოცარი ძალის მოზღვავება ვიგრძენიო“, იგონებდა. „ვიძახებ იქამდე, ვიდრე არ მიპასუხებს ვინმე“, ფიქრობდა თურმე. არადა, არსაიდან ისმოდა „ჭეშმარიტად!“ სიკვდილის, რღვევისა და გაქვავების საუფლოში. „ქრისტე აღსდგა!“ – ისევ სჭექდა მერაბის ხმა, რაც ზედამხედველებს კიდევ უფრო აცოფებდა, მაგრამ ვერაფერს აწყობდნენ. და მერვედ თუ მეცხრედ დაძახების შემდეგ სადღაც შორიდან მართლაც მოისმა:

„ჭეშმარიტად!“

ალბათ პატიმარი თუ იყო ვინმე.

„მაშინ კი შევუშვი ხელები გისოსებს...“ იგონებდა მერაბი.

კონსტანტინე ზ. გამსახურდია
„მერაბ კოსტავა: 79 ამბავი“ (არტანუჯი, 2018)

კარცერში

მერაბს ცალ ხელზე ყინვისაგან დაზიანებული ჰქონდა ნეკა თითი და მისი გაგრძელება ხელის მტევანზე; ეს დამართნია ციმბირში, ანგარსკის ციხეში, როდესაც თავისუფალი გადასახლების შემდეგ პატიმრობის ვადა გაუგრძელეს. ბრეჟნევის პოლიტბიუროს განზრახული ჰქონდა მისი სამუდამოდ ჩატოვება ციმბირში (მერაბი 10 წელიწადი იყო დაპატიმრებული, 1977-1987 წლებში). ციხის ადმინისტრაციას გადაუწყვეტია დაუმორ-ჩილებელი პატიმრის „მოჭკვიანება“ და ჩაუგდია იგი ყველაზე საშინელ კარცერში, სადაც ყინვა მინუს 30 გრადუსს აღწევდა. მანამდე მისი ტანსაცმელი საგანგებოდ დაუსველებიათ, რომელიც მალევე გაყინულა და გახამებული, ჯერაც გაუმშრალი სარეცხივით შემდგარა. მთელი ძალები მოვიკრიბე, ენერგიულად დავდიოდი წინ და უკან, არამც და არამც არ მინდოდა კარზე დაბრახუნება და ციხის პერსონალის საშველად მოხმობაო, იგონებდა შემდგომში მერაბი.

კარცერში მალევე შემოუყვანიათ კიდევ ერთი დაუმორჩილებელი ჩრდილოკავკასიელი პატიმარი, თუ არ ვცდები, ჩეჩენი. მას რამდენიმე ხანს გაუძლია ყინვისთვის, ბოლოს კი მიფორთხებულა რკინის კართან, ბრახუნი აუტეხია და ითხოვდა: ოღონდ აქედან გამიყვანეთ და ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც მეტყვითო. იგი გაუყვანიათ ზედამხედველებს.

ამ სურათს შემზარავი შთაბეჭდილება მოუხდენია მერაბზე, მაგრამ მეტი დაჟინებით ჩაუდვია გულში აღთქმა, შველა არ ეთხოვა მტარვალებისთვის. მიმოდიოდა შემართული და ხმამაღლა იმეორებდა ზეპირად დამახსოვრებულ ლოცვებს და თავის საყვარელ ლექსებს. თანდათან გაუსაძლისი ხდებოდა ციმბირის ყინვა, ვგრძნობდი, როგორ ვკარგავდიო გონებას. შემდეგ აღარაფერი ახსოვდა... გონზე მოსულა ციხის საავადმყოფოში, საბედნიეროდ, მხოლოდ ხელის მტევანი ჰქონია მიყინული ოდნავ.

კონსტანტინე ზ. გამსახურდია

„მერაბ კოსტავა: 79 ამბავი“ (არტანუჯი, 2018)

7 დღე და ღამე

მერაბს ათი წელი აქვს მოხდილი ციმბირის საპატიმროებში. იგი 1977 წლის 7 აპრილს დააპატიმრეს და 1987 წლის 27 აპრილს გათავისუფლდა. ერთხელ როცა ტაიშეტის (ციმბირი) რაიონის სოფელ კვიტოკში ჩავედი მის მოსანახულებლად (ჩემთან ერთად დეიდა ოლიკოც იყო), შევამჩნიე რომ მერაბს ფეხები ძლიერ დასიებოდა. გულზე შემომეყარა, მაგრამ დედამისის თანდასწრებით არაფერი ვკითხე. მერე, როცა მარტონი დავრჩით, გამოვკითხე ამის მიზეზი. თურმე, მერაბთან პატიმრად ყოფილა 80 წლის კაცი – ომის წლებში დაპატიმრებული, ვინმე ელიზბარაშვილი. მას ასაკის გამო შეწყალება ეკუთვნოდა, მაგრამ არაფრით არ აძლევდნენ. მერაბს მის დასაცავად ხმა ამოუღია, რის გამოც 21 დღით კარცერში ჩაუსვამთ. იქ ბეტონის „საწოლი“ ყოფილა ყოველგვარი ლეიბისა და საბნის გარეშე. მასზე დაწოლა სიკვდილს ნიშნავდა. თავი რომ გადაერჩინა, მერაბი მთელი 7 დღე და ღამე მდგარა ფეხზე და შიმშილობა გამოუცხადებია. სწორედ, ამიტომ დაუსივდა ფეხები. მერვე დღეს შეუგდეს ორი პლედი, მერაბმა მიზანს მაინც მიაღწია. ელიზბარაშვილი გაათავისუფლეს. დიდი ხნის მერე, როცა მერაბიც დაბრუნდა გადასახლებიდან, მეორე დღესვე მოინდომა ელიზბარაშვილის ნახვა. უზომოდ განიცადა, როცა იგი გარდაცვლილი დახვდა.

ზურაბ შაუთიძე

„მერაბ კოსტავა: 79 ამბავი“ (არტანუჯი, 2018)

შიმშილობის 90-ე დღე

„ათამდე ზედამხედველი გასაკოჭ ხალათში გახვევენ. გაბავენ სკამზე. რამოდენიმე გაჯდება ფეხებზე. დანარჩენები გიკავებენ თავს და მხრებს. ცხვირში გიყრიან შლანგს, რომელიც ნესტოებზე განიერია. თვალებიდან ცრემლები გდის, ცხვირიდან სისხლი. ხრტილები გემსხვრევა, ქსოვილები კვდება... ღმუილი გინდა, მაგრამ ყელში მილი გაქვს

გაჩხერილი, ვერც კი სუნთქავ, შლანგს კი გტენიან და გტენიან“ – ეს არის დისიდენტი ბუკოვსკის მიერ აღწერილი პროცესი გულაგებში მოშიმშილე პატიმრების იძულებით ხელოვნურ კვებაზე გადაყვანის დროს.

მერაბმა ამ პირობებში 120 დღე იშიმშილა. ირაკლი რომ დაიღუპა, მერაბს შიმშილობის 90-ე დღე ქონდა. სასჯელს კარცერში იხდიდა. შიმშილისგან დაუძლურებული გამოიყვანეს და შვილის სიკვდილი შეატყობინეს. მერე ისევ კარცერში დააბრუნეს თავის უბედურებასთან.

ტრაგიკული ამბის გაგების შემდეგ, პირველი გამოხმაურება ეს წერილი იყო:

„გამარჯობა, რუსუდან... გწერ წერილს და გისურვებ გამძლეობას და ამტანობას. ჩვენთვის ამ ყველაზე მძიმე დღეებში მოიკრიბე ძალა და გაიათმაგე ნებისყოფა. არა მარტო მინდა ეს, გთხოვ კიდეც. ისე ატარე ეს დიდი მწუხარება, რომ გააკეთილშობილოს ირგვლივ ყველაფერი. ჩვენი შვილი ირაკლისთვის, მისი ნათელი ხსოვნისთვის გააკეთე ეს. უკიდურესი სასოწარკვეთითა და უიმედობით ნუ ავნებ მის სახელს. იმედი მაქვს შენ ამ ძალებს იპოვნი.

ვარ იგივე მდგომარეობაში... შენ თვითონ გესმის, რომ ჩვენი უბედურების მიზეზი ჩემთვის ბნელით არის მოცული და ასე დარჩება, ვიდრე შევხვდებით. შევხვდებით კი ოდესმე?! გკოცნი, მერაბი...“

ეკატერინე ლაცაბიძე

www.intermedia.ge

მერაბ კოსტავა – შტრიხები პორტრეტისათვის

მერაბზე ბევრი დაწერილა. ჰყვებოდნენ მის ვაჟკაცურ ბუნებაზე, გამძლეობაზე, მის როლზე ეროვნულ მოძრაობაში. ეს ყველაფერი იყო. და იყო კიდევ მპატიებელი კაცი, რომელსაც შემორჩა ბავშვის ალალი და სუფთა სული. ციხეებსა და ბანაკების ჯოჯოხეთიდან ის ისეთივე ადამიანური დაბრუნდა, როგორიც წავიდა.

ანგარსკის ბანაკში მერაბის გვერდით ათასი ჯურის ბოროტმოქმედი იხდიდა სასჯელს: მკვლელი, მძარცველი, ქურდი. მერაბს თითოეული მათგანის მიმართ საოცარი სიბრალულის გრძნობა ჰქონდა, თითოეულში ადამიანობის ნაპერწკალს ეძებდა და მის გაღვივებას ცდილობდა. ყოველი პაემნის შემდეგ გამომატანდა მისამართებს. ეს ის პატიმრებია, მეტყოდა, რომელთან არსაიდან ამანათი არ მოსდით, ძალიან გთხოვ, გამოუგზავნე ამანათი, გაიხარებენ. აქ, ბანაკში, ეს სიხარული ძალზე ძვირად ფასობსო. პატიმრები ღრმა პატივისცემით და სიყვარულით პასუხობდნენ მერაბს.

გარეგნულად კუშტი და მკაცრი კაცის შეხედულებას ტოვებდა. რომ გაიღიმებოდა, მიხვდებოდი, რა ნაზი გულის პატრონი იყო.

ათი წლის მანძილზე ვღებულობდი მის წერილებს, მხნეს, მომავლის იმედით სავსეს. ერთხელ მივწერე, მერაბ, დაიწუწუნე ერთხელ მაინც, ეს ხომ გულს მოგიოხებს-მეთქი. პასუხად მომწერა, – მე თავისუფალ ადამიანად ვგრძნობ თავსო.

მერაბმა საოცარი მეგობრობა იცოდა. ზვიადისა და მერაბის მეგობრობა ალბათ ქართულ თქმულებებს და ლეგენდებს გაჰყვება მომავალში. მახსოვს, ზვიადის დისერტაციის დაცვა – მართლა შესანიშნავი დაცვა იყო. კათედრასთან იდგა ლამაზი ქართველი ინტელიგენტი, საუბრობდა დახვეწილად, რაფინირებულად. ეს იყო მეცნიერული აზრის, ერუდიციის, ინტელექტის ზეიმი. დარბაზში კი უბედნიერესი კაცი მერაბ კოსტავა იყო...

მერაბი რომ თავისუფალ გადასახლებაში გადააგზავნეს ტაიშეტის რაიონის სოფელ კვიტოკში, მერაბის სანახავად პირველნი წავიდნენ ირაკლი, ზვიადი და ჩემი ბიძაშვილი ელიკო გოგუაძე (მე ავად ვიყავი და წასვლა ვერ მოვახერხე). ელიკო გოგუაძის ნაამბობიდან: „დაღლილ-დაქანცულები კვიტოკში რომ ჩავედით, მე და ირაკლის ძალიან მალე დაგვეძინა. მერაბმა და ზვიადმა მთელი ღამე საუბარში გაატარეს. საოცარი იყო, რომ დილით არცერთს არ ეტყობოდა დაღლილობა. სუფრასთან დავსხედით. მერაბი მოგვიბრუნდა და მე და ირაკლის გვითხრა: თქვენც გახსოვდეთ და საქართველოშიც უთხარით ყველას, ვისაც ხმას მიაწვდენთ: ქართული ეროვნული მოძრაობისთვის ზვიადი გადამწყვეტი ძალაა. ზვიადი დგას ამ მოძრაობის სათავეში და მას შეუძლია მხოლოდ ამ მოძრაობის წარმართვა. მერე ლიტერატურაზე დაიწყო საუბარი. სიტყვა ჰერმან ჰესეს რომანზე – „თამაში რიოში მარგალიტებით“ ჩამოვარდა. მე და ირაკლის ახალი წაკითხული გვქონდა ეს რომანი, ორივენი აღფრთოვანებულები ვიყავით და ვფიქრობდით, რომ ეს წიგნი ძალიან კარგად გვქონდა გაგებული. მერაბმა და ზვიადმა დაწვრილებით გაარჩიეს რომანი. მე და ირაკლი პირდაღებულები მივჩერებოდით. თურმე რამდენი შრე ყოფილა ამ წიგნში, რომელიც ჩვენ

ვერც შევამჩნიეთ. გაგვაოცა მერაბის და ზვიადის სიღრმეებში წვდომის უნარმა...“

მერაბზე რომ წარმოდგენა შეგიქმნათ, რამდენიმე შემთხვევას გავიხსენებ.

1972 წელია. მე და ჩემი მეგობარი ლიანა პაქსაშვილი სახლში ვსხედვართ და მერაბს ვე-ლოდებით. სადღაც უნდა წავიდეთ. გადის თხუთმეტი წუთი, ოცი წუთი... მერაბი იგვიანებს. ერთი საათის შემდეგ შემოდის, ხელში იების ორი კონა უჭირავს და მეუბნება: მაპატიე, რომ და-ვიგვიანე. იები ვნახე. ყიდვა მომინდა. სულ სამი მანეთი მქონდა და ტრანსპორტის ფული აღარ დამრჩა, ფეხით მოვედი რუსთაველიდან საბურთალომდე. თუ დამიჯერებთ, 33 წლის მერაბმა მართლა ვერ წარმოიდგინა, რომ შეიძლებოდა ავტობუსში ასულიყო და უბილეთოდ ემგზავრა.

კიდევ ერთი მოგონება. ანგარსკის ბანაკში ყაზარმა, სადაც პატიმრები იძინებდნენ, ერთსართულიანი გრძელი შენობა იყო. ყაზარმაში დაახლოებით ოთხას პატიმარს ეძინა. ალბათ წარმოიდგენთ, როგორ გამოიყურებოდა ეს შენობა. ყაზარმის შესასვლელში ნაძვის ტოტებს აწყობდნენ ხოლმე ფეხის გასაწმენდად. ყაზარმაში შესვლისას მერაბი დიდხანს იდგა და გულმოდგინედ იწმენდდა ფეხებს. მერე ერთმა პატიმარმა მიამბო: პატიმრები გაოცებულები კითხულობდნენ, ასეთ კაცს ციხეში რა უნდაო.

1984 წლის ნოემბერში მერაბმა შიმშილობა გამოაცხადა. ეს შიმშილობა წელიწადი და ორი თვე გრძელდებოდა. დღეში ერთხელ ძალით კვებავდნენ, რომ არ მომკვდარიყო. დევივით ვაჟკაცი 48 კილოგრამს იწონიდა. ჭლექი დაემართა. 1986 წელს ციმბირიდან ტაშკენტის ბანაკში გადმოაგზავნეს, სადაც სპეციალური ტუბზონა იყო. იქაურმა ექიმმა ქალმა მიამბო: ვხედავ, მოდის ლანდად ქცეული პატიმარი, წონასწორობის შენარჩუნება უჭირს და მიწაზე მოათრევს ტომარას. ვხედავ, ტომრის კი არა, საკუთარი თავის ტარება უჭირს. ვიფიქრე, ნეტავი რა აქვს ასეთი ძვირფასი ამ ტომარაში-მეთქი. ტომარაში „ცისკრისა“ და „მნათობის“ ნომრები იყო, რომელთაც მერაბი ბანაკში ღებულობდა. ვერ გაიმეტა გადასაყრელად და თან წამოიღო. ბანაკში რომ შევიდა, კიბეებზე ასვლა ვეღარ შეძლო. იმ ბანაკში რამდენიმე ქართველი პატიმარი იყო. ციხის „ტელეგრაფმა“ სასწრაფოდ შეატყობინა მათ, ბანაკში მერაბ კოსტავა მოიყვანესო. მოცვივდნენ, მერაბი ხელში აყვანილი საავადმყოფოში შეიყვანეს, ძმასავით მოუარეს და უპატრონეს. ოთხი თვის შემდეგ ჭლექისგან განიკურნა და უკვე ძველ მერაბს დაემსგავსა...

მერე დაიწყო ათწლიანი ოდისეა ციმბირის გზებზე. შვიდი წელი მე და ირაკლი დავდიოდით. ირაკლის დაღუპვის შემდეგ, მე მარტო ან ჩემს ახლობლებთან ერთად. შეხვედრა დიდი სიხარული იყო, ყოველი განშორება – ტრაგიკული. შეხვედრა რომ მთავრდებოდა, ჯერ მერაბი გაჰყავდათ. რკინის კარები ღრჭიალით რომ გაიღებოდა, უკანასკნელად მოიხედავდა. მის თვალებში ყოველთვის ღრმა სევდა, კაეშანი და განწირულება შეიმჩნეოდა... ყოველი განშორებისას ხომ ისიც ფიქრობდა და ჩვენც, რომ ეს ბოლო შეხვედრა შეიძლება ყოფილიყო. მერაბი ღრმად მორწმუნე კაცი იყო და ამ გამოხედვაში წინათგრძნობაც ამოიკითხებოდა ალბათ. 1984 წელს ირაკლისთან განშორება ხომ მართლაც უკანასკნელი აღმოჩნდა...

რუსუდან ბერიძე

„მერაბ კოსტავა“ (თობალისი, 2009)

იყავ, აჯავრე მტერია!

ამ ორი წლის წინ ერთმა მეგობარმა დამირეკა, კოსტავა გამოვიდა და სადილზე გიწვევო... რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი. მერაბს კარგად ვიცნობდი, მაგრამ სუფრასთან რა მოგახსენოთ, – არასოდეს ვყოფილვართ ერთად. ღრმაღელეში მივედი, სუფრას ქალაქში ცნობილი მომღერალი ბიჭები უსხდნენ, სუფრის წევრთა შორის, ერთი მათგანი გახლდათ ანზორი, ნატანჯი კაცი, რომლის სამყარო უცხო და შორეული იყო ჩემთვის, მერაბისთვისაც, მაგრამ თოვლისა და ყინულის კოლონიაში რატომღაც მაინც ერთად „ისხდნენ“...

ყვებოდა ანზორი: – მე მას არ ვიცნობდი, მაგრამ პატივს ვცემდი მის მართალკაცობას და ვაჟკაცობას, იგი ჩემს სანახავად მოვიდა საავადმყოფოში. დერეფნიდან გავხედე, როგორ მოჰყავდა მეორეს გამხდარი, ცარიელი ძვალი და ტყავი, სანთელივით ყვითელი და მთლად მიმქრალი კაცი. ამ დროს, საიდანღაც დერეფანში კოლონიის უფროსი გამოჩნდა, მერაბმა გვერდით მყოფს ქართულად გადაულაპარაკა: ბიჭო, ხელი გამიშვი, მაგას ნირწამხდარი ვეგონები და გაიხარებსო...

უცებ, წელში გასწორდა, გაიმართა, ბეჭები შეარხია და აზნაურული ნაბიჯით ნელ-

ნელა, დინჯად გამოემართა ჩემსკენ... მე ჩემთვის გავიფიქრე, არა, ძმაო, საქართველოს დამჩოქებელი ქვეყნად მტერი არაა-მეთქი...

ჯანსუღ ჩარკვიანი

„შავლეგო“ (ხელოვნება, 1990)

მთელი დღეა დამდევთ...

შევარდნაძის კომუნისტური მმართველობისა და ახალი რეპრესიების ხანის დასაწყისი იყო, საქმეზე ჩამოვედი ქუთაისიდან. სანაპიროზე მაშინ სახინკლეები იშვიათობა იყო, მერაბს ვახლდი, მთელი დღე დავდიოდით საბეჭდი მანქანის შესაკეთებლად. მასზე იბეჭდებოდა „მოამბე“, „ოქროს საწმისი“, რამდენიმე ადგილას მივედით, ყველგან უარით გამოგვისტუმრეს. ბოლოს სახინკლესთან გავჩერდით.

მერაბმა აიღო ერთი ლანგარი და მიდის სადღაც, თვალი გავაყოლეთ – ვხედავთ, ერთ-ერთ მანქანასთან მივიდა და ეუბნება: „ძმებო მთელი დღეა დამდევთ, ჩემსავით მშივრები ხართ და მიირთვით“. თურმე უშიშროების ხალხი იყო.

ავთანდილ კვარაცხელია

„მერაბ კოსტავა: 79 ამბავი“ (არტანუჯი, 2018)

წამოდი ჩემთან

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მე და მერაბ კოსტავა დასავლეთიდან დავბრუნდით მატარებლით თბილისში. დილის ხუთი საათია. საკმაოდ ბნელა, დილის სუსხი იგრძნობა. ტრანსპორტი არ მოძრაობს, ფეხით მივდივართ ზემელზე მერაბის სახლისკენ.

გოგოლის ქუჩაზე ახალგაზრდა მოსვრილტანსაცმლიანი ქალი ტროტუარზე ზის და ცხარედ ტირის.

მივუახლოვდით და ვკითხეთ ტირილის მიზეზი, გვიპასუხა – „მე მეგონა ღამეც დამტოვებდა მაგრამ გამომაგდო, შორს ვცხოვრობ, ვერ მივდივარ და ამიტომ ვიყინები აქ“.

„წამოდი ჩემთან“ – მოკლე დროში მიიღო მერაბმა გადაწყვეტილება.

ქალს ხმა არ ამოუღია, შეწინააღმდეგება არც უფიქრია, ადგა და გამოგვყვა.

ინათა, სახლში რომ შევედით, მეც მერაბთან ერთად ვრჩებოდი და მოგვიანებით უნდა წავსულიყავი რუსთავში.

მერაბმა ქალი ცალკე პატარა ოთახში შეიყვანა, მე კი თავისი საწოლი დამითმო და გვთხოვა მოგვესვენა.

არ დამეძინა. გავიდა დაახლოებით ნახევარი საათი. ოთახის კარი მოხურული მქონდა, მაგრამ მაინც გარკვევით გავიგე ჭრიალის ხმა. სულო ცოდვილო, ცუდი რამ გავიფიქრე, წამოვხტი და ოთახიდან გამოვედი. ვხედავ, მერაბს გაურეცხავს უცნობი ქალის ტანსაცმელი და საუთაო დაფაზე აუთოებს. დაფა უთოს ყოველ გასმაზე ჭრიალებს. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. შემრცხვა საკუთარი თავის და მერაბს ბოდიში მოვუხადე.

თეიმურაზ ჯანელიძე

„მერაბ კოსტავა: 79 ამბავი“ (არტანუჯი, 2018)

უდანაშაულო დამნაშავე

თბილისში ზაფხულის პაპანაქება იდგა. მერაბთან, როგორც ყოველთვის, მრავლად იყო მომსვლელი. მის კარზე უსამართლობით გაწამებული ხალხის ნაკადი არ წყდებოდა. რა საკითხზე არ ნახავდით აქ მოსულთ. ხანში შესული ქალი კახეთის ერთ-ერთი რაიონიდან ჩამოსულიყო და ჩიოდა: ძროხა დავკარგე, არავინ აქცევს ყურადღებას ჩემს გაჭირვებას და შენ თუ მიშველიო, შვილო მერაბ.

ოცდაათიოდე წლის მამაკაცი თხოვს უბნის ინსპექტორთან შუამდგომლობას. თურმე პანაშვიდებს ემსახურებოდა სამგლოვიარო მუსიკით. ადრე ინსპექტორი თხუთმეტ მანეთს მართმევდა, ახლა ოცსა მთხოვს თვიურად, ძალზე ძვირია, შენ უარს არ გეტყვის და ისევ თხუთმეტს დასჯერდებაო.

სიცხით სახეალეწილი ახალგაზრდა ქალი ითხოვს მერაბთან სასწრაფოდ საუბარს. იქ მყოფთა უკმაყოფილო ბუზღუნზე პასუხობს, რომ ძალზე საშური საქმეა, წუთით თუ დაგვიანდა, ყველაფერი დაიღუპება და აღარაფერი ეშველება. თვალებზე ცრემლს იშრობს, სახეზე ოფლს იწმენდს, ირგვლივ მყოფთ მუდარის თვალით შეჰყურებს, მხოლოდ მერაბი თუ მიშველის, ისიც – ახლა, ამ წუთას. მერე გვიანია, არაფერი ეშველება საქმესო, – ჩივის. მუდარამ გაჭრა. ურიგოდ მიუშვეს. მერაბი ამშვიდებს. ქალი სულს ითქვამს და ყვება: სამი შვილი მყავს.

– ყოჩაღ! – ბუბუნებს მერაბი.

ქალი შექებით კმაყოფილია, თამამად აგრძელებს:

– უმაღლესი განათლება მინდა მივიღო, დღეს უკანასკნელი გამოცდა მქონდა. „სამიც“ მყოფნიდა. ბილეთში მოცემული საკითხებიც კარგად ვიცოდი. დამატებითი კითხვები მომცა, იმაზეც ვუპასუხე. სულ ცოტა „ოთხი“ მაინც მეკუთვნოდა, მაინც ჩამჭრა.

მერაბმა კოპები შეკრა. ხალხს მოუბრუნდა, „თქვენ აქ დამიცადეთ მალე მოვალ“ – თქვა, ქალს მაჯაზე წაავლო ხელი და „წავიდეთო“ – დაიბუბუნა.

მივედით ინსტიტუტში. გამოცდა დამთავრებულიყო. გამომცდელები ის-ის იყო წასასვლელად ემზადებოდნენ, აუდიტორიაში ლაბორანტი წესრიგს ამყარებდა.

– ის არის, – წასჩურჩულა ქალმა მერაბს და „დამნაშავე“ გამომცდელზე მიუთითა.

„დამნაშავე“ და უდანაშაულო გამომცდელებმა მერაბი იცნეს, თბილად მიესალმნენ, ირგვლივ შემოეხვივნენ.

– კაი გამარჯობა თქვენი, – პასუხი დაუბრუნა მერაბმა. თუმცა სახიდან ჯერ კიდევ არ ჩამორეცხოდა აღშფოთება, – იცნობთ ამ ქალს? – ჰკითხა მერაბმა „დამნაშავეს“.

„დამნაშავე“ უხერხულად შეიშმუშნა, „დიახო“, – მიუგო.

– სამი შვილის დედა „ოთხიანზე“ რომ გიპასუხებს, შენნაირმა ვაჟკაცმა არადამაკმაყოფილებელი როგორ უნდა დაუწეროს? – ჰკითხა მერაბმა.

დაბნეულმა „დამნაშავემ“ რაღაცის თქმა სცადა, „ვგონებ, მასე არ იყო, ბატონო“, – უნდოდა ეთქვა, მაგრამ ქალმა არ აცალა. მოყვა, თუ რა ძნელია, სამი ცელქი შვილის დედა მოემზადო უმაღლესში გამოცდების ჩასაბარებლად, ჩააბარო ყველა გამოცდა, ხოლო ბოლო გამოცდაში „ოთხით“ შეფასებას რომ იმსახურებ, ყოვლად უსამართლოდ ჩაგჭრან. „სამიანს“ კიდევ როგორმე ავიტანდი. ქულებიც მყოფნიდა, ამიტომაც ჩამჭერითო.

„დამნაშავეს“ სახეზე ოფლის მსხვილი წვეთები გაუჩნდა. სახის კანი სულ უფრო თეთრ შეფერილობას იღებდა. ცდილობდა, მერაბისათვის მზერა მიეპყრო, მაგრამ ვერ ახერხებდა. თვალიც ხან მერაბისკენ, ხან ჩემკენ, ხანაც ქალისკენ გაურბოდა. თითქოს შველას ითხოვდა, თითქოს უნდოდა ეყვირა: „მიშველეთო“ და ვერ ახერხებდა. გამახსენდა, ასე მეც მომსვლია, შტორმიან ზღვაში ვიხრჩობოდი ნაპირიდან ოციოდე მეტრის მოშორებით მთელი საათის მანძილზე და ვერაფრით მოვახერხე დამეყვირა: მიშველეთ-მეთქი...

ქალი კი შეუსვენებლივ განაგრძობდა. ვგონებ, მერაბიც მიხვდა, რომ ცოტაც და „დამნაშავეს“ მე რომ ზღვაში დამემართა, იმაზე უარესი მოუვიდოდა და ქალი გააჩერა.

– რას გვეტყვი, ბატონო?! – გადაუგდო „მაშველი რგოლი“ ჯერ ისევ სახემოღუშულმა მერაბმა „დამნაშავეს“.

„დამნაშავე“ წამიერად ისევ იმ მდგომარეობაში დარჩა და შემდეგ როგორც იქნა, ამოიხრიალა:

– რა ნომერი იყო, თუ გახსოვთ თქვენი ბილეთი?

– N6, – უპასუხა ქალმა და კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, იმავე თემის გაგრძელებას თუ აპირებდა. მერაბმა გააწყვეტინა. ამ დროს ფერზე მოსული, სახეგაბრწყინებული „დამნაშავე“ ადგილს მოსწყდა, შორიახლოს მდგომ მაგიდასთან მიიჭრა და იქ დაყრილი ქაღალდების ქექვას შეუდგა გამალებით. მისთვის საჭირო ფურცელი როგორც იქნა იპოვა, სახე კიდევ უფრო გაებადრა, თუმცა აშკარად ცდილობდა ემოციას მორეოდა.

– აი, თქვენი ბილეთი, – თქვა „დამნაშავემ“ და ფურცელი ქალს გაუწოდა.

ქალმა ხელის კანკალით ჩამოართვა. სახეზე დაბნეულობა დაეტყო. თვალი იმ ფურცლისაკენ გავაპარე. „ბილეთი N6“ – ეწერა მასზე.

– როგორც ბრძანეთ, ამ ბილეთზე დღეს ერთხელ უკვე გიპასუხიათ, ახლაც არ უდნა გაგიჭირდეთ, – თქვა „დამნაშავემ“ და მოზეიმე მზერა მერაბს მიაპყრო.

უხერხულმა სიჩუმემ დაისადგურა. დიდხანს ვდუმდით ყველანი. ვცდილობდით, ქალისთვის არ შეგვეხედა, რათა მისი ისედაც მძიმე მდგომარეობა ჩვენი მზერით უფრო

არ დაგვემძიმებინა. უხერხული დუმილი ისევ მერაბმა დაარღვია. „დამნაშავეს“ მარჯვენა გაუწოდა, მაგრად ჩამოართვა, ბოდიში მოუხადა, გამოტრიალდა და წამოვედით.

დერეფნის ბოლოს არ ვიყავით მისული, რომ ქალის ხმა მოგვწვდა:

– ბატონო მერაბ, იცით რა ძნელია დედისთვის, სამ შვილს ზრდიდე და გამოცდებისთვის ჯეროვნად მოემზადო?

მერაბი შედგა. უკან მობრუნდა. ქალთან მივიდა. ვიცი, უთხრა, მაგრამ სამშობლოს დიპლომზე მეტად ჯანმრთელი შვილები უნდაო. შემდეგ ქალს ხელი მხარზე მოუთათუნა, დაუყვავა, გულს ნუ გაიტეხ, აი, ნახავ, მომავალ წელს აუცილებლად ჩააბარებო. „დამნაშავეს“ ისევ ჩამოართვა ხელი, ისევ მოუხადა ბოდიში და გასასვლელისკენ გამოემართა. ქალი ადგილზე დარჩა. მერაბს „დამნაშავე“ უკან გამოჰყვა. როდესაც დერეფნის ბოლოს მივიდნენ, მან მერაბს უჩურჩულა:

– ბატონო მერაბ, თქვენი ხათრით, სამი შვილის დედას სამიანს როგორ დავაყვედრი!

მერაბი შედგა. წელში გაიმართა. ჰაერი ღრმად შეისუნთქა. მკერდი წინ წამოწია. მრისხანე გამომეტყველება ჰქონდა იმ წუთში. ვიცოდი, ეს კარგს არ მოასწავებდა. ერთხანს ასე შეჰყურებდა „დამნაშავეს“, შემდეგ კი შესძახა:

– აარრა, ჩვენ ამისთვის არ გვიბრძოლია!

„დამნაშავეს“ ისევ მაგრად ჩამოართვა ხელი და შინისაკენ გამოვეშურეთ. ეზოში ხომ ბევრი ხალხი ელოდებოდა მერაბს.

ვაჟა ადამია
„მერაბ კოსტავა“ (თობალისი, 2009)

13 ოქტომბერი, კოლხური კოშკი

1989 წლის 13 ოქტომბერს მერაბ კოსტავა ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ამ საშინელი ამბის შეტყობინებისთანავე ყველანი რატომღაც კოლხურ კოშკს მივაწყდით. ზვიადი შინ იყო. სახეზე ენით აუწერელი მწუხარება ეტყობოდა. ნამტირალები თვალები ჩაწითლებოდა. „როგორ არ ეცადნენ ჩვენს დაცილებას და აჰა, მიაღწიეს კიდეც საწადელს, სამუდამოდ დაგვაშორეს ერთმანეთს“, – ჩუმად წარმოთქვა და თითქოს გაქვავდაო...

„დიახ, ძმაო, მთელი საქართველო დაგტირის, მაგრამ შენ აღაზევე დღეს საქართველო! აღაზევე შენი მსხვერპლით, რამეთუ არ შეუშინდი სიკვდილს; ძმაო, შენი ცხოვრება ვეფხისა და მოყმის ბრძოლას ჰგავდა და არც შენ შახვდი, ძმაო, ვეფხვს ჭკვიანი“... ასე დაიტირა თავისი განუყრელი მეგობარი ზვიად გამსახურდიამ და მაშინ ის, ალბათ, ობლად დარჩენილ საკუთარ თავსაც ტიროდა.

თემურ ქორიძე
„მერაბ კოსტავა: 79 ამბავი“ (არტანუჯი, 2018)

ამაღლების დღე

„დღეს სრულიად საქართველო გლოვობს და აცილებს თავის საყვარელ შვილს – მერაბ კოსტავას, აცილებს ზეციურ საქართველოში. დღეს ჩვენ ვეთხოვებით ადამიანს, რომლის მთელი ცხოვრება იყო მოწამეობრივი და რომლის დასასრულიც მოწამეობრივი იქნა. მერაბ კოსტავა იყო ჩვენი ერისთვის ის ანთებული სანთელი, რომელიც უნათებდა ჩვენ ხალხს გზას ჭეშმარიტებისკენ. უნათებდა ქვეყანას გზას თავისუფლებისკენ. ეს იყო ადამიანი, რომელიც ოცნებობდა სრულიად საქართველოს დამოუკიდებლობაზე და ის შეეწირა კიდეც ამ სურვილს. მერაბ კოსტავამ განვლო გოლგოთა და დღეს არის მისი აღდგომის და ამაღლების დღე. ღმერთმა დალოცოს მისი უკვდავი სული! ღმერთმა დალოცოს ის გზა, რომელიც მან განვლო თავის ცხოვრებაში და ღმერთმა მოასწროს ქართველი ერი იმ იდეების განხორციელებას, რასაც შეეწირა მერაბ კოსტავა, ამინ!“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
სიტყვა წარმოთქმული მერაბ კოსტავას სულის მოსახსენიებელ პანაშვიდზე
სიონი, ოქტომბერი, 1989წ.

პოეზია

ბექა ბაიაშვილი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
III კურსი

შენს თვალებზე მიჯაჭვული პრომეთე ვარ

შენს თვალებზე მიჯაჭვული პრომეთე ვარ,
გულს მიწიწკნის მარტოობის ყვავ-ყორანი,
წყლის პირს ვდგავარ, მალე სევდა მომეწევა,
ვერ ვიპოვე გზა შენამდე საბორანე.
არ ვიმჩნევ და უცრემლოდაც ვერ ველევი
ამ ტკივილებს, უშენობის სიბრალულით,
მძიმე რკინით გაკრული მაქვს ის ხელები,
შენთვის ცეცხლი რომ მოჰქონდათ სიყვარულის.
შენს თვალებზე მიჯაჭვული პრომეთე ვარ,
დრო მითრევს და უსაშველოდ ჩემკენ მოჰქრის,
აღარ ვიცი გავუძლებ, თუ მომერევა,
ღამე – თეთრი უძილობის მოპაექრე.
შენს თვალებზე მიჯაჭვული პრომეთე ვარ,
გულს მიწიწკნის მარტოობის ყვავ-ყორანი,
შენ გაღმით ხარ, მე აქეთ და ვერ გელევი,
ვერ ვიპოვე გზა შენამდე საბორანე...

ვგრძნობ მე

ვგრძნობ მე სულში ლანდები როგორ ამებლანდება,
ალბათ მომენატრები მთელი ჩემი არსებით,
წვიმა შავი ქოლგების ზღვაში ჩაიკარგება
და მივხვდები სამყაროს მიღმა შენ რომ არსებობ.
შენ ხარ ალბათ სამოთხე, ჯოჯოხეთი უშენოდ
გატარებულ საათებს დაემსგავსა, მარიამ!
მონატრებას წუთები საძირკველს აუშენებს,
მიტოვებულ ჰორიზონტს მთვარე უმღერს არიებს.
ვგრძნობ მე სულში რამდენი დამიგროვდა დარდები,
ალბათ დამეკარგება უშფოთველი სიზმრები,
კვლავ გავთელავ ბილიკებს, არნათოვს და არდებულს,
ნაფეხურად დარჩება ერთი ღამის ფიქრები.
ვგრძნობ მე სულში ლანდები როგორ ამებლანდება,
ალბათ მომენატრები, მალე მარტი იგრგვინებს,
გიყურებ და ვირწმუნე ისევ რომ დამთავრდება
ის დრო, ცრუ მეფეები რომ იდგამენ გვირგვინებს.
ვგრძნობ მე გულში რამდენი, დამიგროვდა სათქმელი,
ალბათ ველარ გავუძლებ, ალბათ გეტყვი დარდებად,
მიმოვფანტავ არნათოვ, არარსებულ ნამქერებს,
წვიმა შავი ქოლგების ზღვაში ჩაიკარგება.

იქნებ ვყვაოდით

შეუმოსავი ხეები ვართ,
ალბათ ოდესღაც ჩვენც ვიცოდით გრძნობა და მარტი,
ალბათ ჩვენც გვკლავდა სიმარტოვე, იქნებ ვყვაოდით
როგორც ატმები და სურნელი დაგვკრავდა ვარდის.
იქნებ ვდარდობდით...
ჩვენშიც იყო რაღაც მართალი,
გვიყვარდა სხვისი თვალები და სარკმლის სინათლე,
ამაოება არ მეფობდა როგორც ავდარი,
გვქონდა სილაღედ გადმომსკდარი სისხლში მდინარე.
შეუმოსავი ხეები ვართ, ვერ ვგრძნობთ ვერაფერს,
არც კი დავეძებთ როდის დადგა სულში ზამთარი,
ხორცის გრძნობები გვირჩევია წმინდა ყველაფერს,
ალბათ ეს ყოფა სინამდვილის მუჭიც არ არის.
შეუმოსავი ხეები ვართ, ლპება რტოები, იქნებ დროებით!
მაგრამ, არა!
ვუფრთხით აპრილებს,
აზრებს გვითელავს უხამსობის ფიქრთა ჯგროები,
სხვების სანახად, მოჩვენებით, უფალს ვადიდებთ.
დავკარგეთ ხმები, უნაყოფოდ ტაეპებს ვრითმავთ
და სხეულების ბილწი ვნება გრძნობა გვგონია,
რისთვისღა ვცოცხლობთ, ვერ ვიაზრებთ და თავებს ვიკლავთ,
ჩვენვე მოვუწყვეთ ნაადრევად სულს აგონია.
შეუმოსავი ხეები ვართ,
ალბათ ოდესღაც ჩვენც ვიცოდით გრძნობა და მარტი.
იქნებ ვყვაოდით როგორც ატმები,
იქნებ სურნელიც დაგვკრავდა ვარდის.

სალომე ბზარაშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგია
II კურსი

საქართველო

დღეს ქართლის დედის მანდილიც კი აქციეს ძაძად,
შენ, საქართველო, ფენიქსივით რატომ ვერ დგები?
ხევის ყმუილი აეკიდა მეკურტნის კალთას,
და მთათა ღაღადს უჯიათად ხერგავს ნისლები.
ოხ, ეს სიწყნარე ლაჩრებივით ავიკვიატეთ,
გონში ყიჟინი განვიძარცვეთ, თითქოსდა ვკვდებით,
ჩვენ ყორნის ზნეც და ლეშის ბედიც გავიზიარეთ,
ჩვენ უარვყავით ღვთისმშობლის ცა, ანარეკლს ვდევნით.
მე მენატრება მყინვარები, განდეგილთ ფარჩა,
ვგრძნობ ჰორიზონტზეც დაუკრიფავთ კესანეები,
სულში ღმერთამდე სავალი გზა მზესაც არ დარჩა,
ჩრდილთა მანტია მოვახურეთ გულს და ვერც ვთბებით.
ხრიოკ სინდისის აყვავება დავიგვიანეთ
და ჭიუხებში ბუნაგიც კი დასთმეს ჯიხვებმა,
შენ, საქართველო, გეძებდით და წარსულში გპოვეთ,
ჩვენ – უსახლკაროდ განწირულმა კალმის ხიზნებმა.

* * *

იცი, შენ ბაგეს ამჩნევია ზეცის სილურჯე,
თითქოს ნაშალი ჩემი სული სიტყვით აღსდგება,
შენ შორს ხარ, ბრბოსგან დამალული დროის საუნჯე,
მე ჭა ვარ, ჩემო, შენ სიმაღლეს რომ ვერ მისწვდება.

და მაინც გელი, იმედები მიწყვია მხრებზე,
შენთვის ვლოცულობ, შენთვის ვბორგავ, შენით ვიწამე,
ვიცი ცხოვრება საბოლოოდ მომიქცევს ფეხქვეშ,
მე გულწრფელობით, მთელი არსით, ჟინით ვეწამე.

გახსოვს, გაზაფხულს რომ სჩვევია მარტის სიფიცხე?
დაცლილი ფრთები მივუშვირე, სულზე სარტყელი
შემოგხვიე და უყოყმანოდ გირჩევ სიგიჟეს,
შენ არასოდეს, ვერასოდეს ვერ დასრულდები.

სამყარო ზოგჯერ მაბობოქრებს, მიქსევს სინესტეს,
და ვიკარგები უკუნ ბინდში, დროში, სივრცეში,
სდუმს გადარჩენა, ჩუმი ნატვრა: მზეო იფეთქე!
ჩნდები ვით მხსნელი, განთიადი, სულის ნუგეში...

* * *

ის საქართველო სად არის, ძილისპირულით რომ მითხრობდნენ?
დედის ხმაში შერეული სიამაყე რად ჩაქრა?
მზის სხივები დალალებში რომ მიქსოვდნენ,
ის გაზაფხული სად გაქრა?
სიზმრად ვხედავ, როგორ კვეთენ თერგს გმირები,
და შატილში ზარებს რეკენ ამაყად,
გთხოვთ, დაბრუნდით არაგველნო, ჩვენ გვჭირდებით,
ქართლის სული მოტირალი უნახავთ.
ლაშარის ჯვარს მოეხვია მხრებზე გველი,
ჩვენ კი გესვლას მივეჩვიეთ ლაჩრულად,
შეხმობიათ არხოტის მთებს სისხლის ცრემლი,
და ნისლები მოიხვიეს ფარულად.
დაუბრუნეთ საქართველოს სინდისი,
აფხაზეთი მოგვაგლიჯეს მკერდიდან,
ხატში ძმებმა დააქციეს ერთურთს სისხლი,
საქართველომ გულის ფეთქვა შეწყვიტა.
შეუბღალავთ ქართლის დედის მანდილი,
გააგონეთ ყველას ხევის ყმუილი,
ჩვენი ჩაკვლა ხომ არ არის ადვილი,
აიტანეთ ცამდე ხმლების ხორუმი.
შემოაცვდა წარსულს კალთა, ვეღარ გვიცავს,
და მომავალს ქარაფები იხმობენ,
ანთებული საქართველოს ტრფობა გვტკივა,
დაკარგული ბავშვები სახლს ითხოვენ.
ახლაც მესმის შორი გზიდან იავნანა,
რიჟრაჟზე რომ ჯვარს იწერენ ცა და მთები,
იგალობეთ ფსალმუნივით „დიდოუ ნანა“,
ავამღეროთ სულში ქართლის სიმები.
ვერნაგრძნობი საქართველოს ტრფობა მტკივა,
გააგონეთ ყველას ხმლების ხორუმი,
გამოფხიზლდით, ღვთისმშობელს ვგრძნობ ცრემლი სცვივა,
გაღვიძება სანამ არის დროული.

თამარ გველესიანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა
მაგისტრატურის II კურსი

Time

The airplane we missed,
The letters you haven't read,
I used my pen to say
Those excuses I had.

But time fastened me,
Like a hologram of your hand,
The possibilities I had,
Wishing to fly above my head.

I wanted to breath the wind
Of the human century's progress,
Blowing like a puzzling dream,
Through the nights we missed, we felt.

The time sent to me
Has the smell of fastened belts,
I am given a second to dream
And a moment to reach the hell.

* * *

On the beach, standing on knees,
Make a wish, then just blow it to the wind,
The stormy colours of the sea
Will fill the waved area for your surround.

Show me the beauty of your soul,
Made of iron, mostly made of gold,
Clear the sound of your breath,
Make sure I can feel the rest.

On the beach make a wish,
There is enough space to breath deep,
I don't even watch you now,
You will no more feel that pain.

Airy wave hits your face,
It looks like all your life,
Your failures, rise and pride,
All in one wave is being alive.

Living Mess

In the still of the night you see the flickering lights,
rainy roads make some hope,
walking mass, silence is in progress,
raindrops are hitting the roofs,
you start to move, asking: „Who will be next?“

Empty streets, cars on path, yard-keeper takes the dust,
looking at the clock, hurries up at home,
time passes by so fast.
Watch! the moonlight sunrise starts.

I started to paint, to rhyme, to wait,
unknown face, abandoned place, unfinished lines,
on my paper with my fingers slowly falling in love,
broken glasses of red wine,
the last drops wettened my hand, my pen,
powering my stainless emptiness.
You are still asking me what to do next.

Being drunk I feel so intensively touched,
my cigar incinerating in my fingers,
my shivery lips, blowing ashes,
eyes narrowed, just look down,
avoid to see this nasty surround.

That’s my inner universe that tends me to feel alone
without showing sorrow,
screaming and mixing with living mess, that’s my own selfishness,
my inflammatory mess shows the life in colourful stress.
That’s my hellish rearrange, my solely atmospheric change
with so many roads, crossings, bridges meant together.

You choose the one being empty,
no steps, no rush, not even dust is seen,
miles away you just hear humans living a daily life
with such a miserable fight...
You choose the way empty from all dust
and the universe harm.

My thoughts go so far away,
I can see the iron gates having lost the old fame,
I can feel that smell of hope,
the smell of old wooden house,
once standing proud, now is melted away.

That day airplane was landing and
I was hardly seen in my wooden grave,
my ashes took a distant trip with the river flow
and that frozen mess below.

* * *

How can I express the beauty of your soul,
Each time I look at you, you make me feel whole,
Maples blessed having you above ascend their branches proud at once
and I can not sleep at night as you take me high,
somewhere we both belong, when all the others lock the doors
and that fresh smell of delight will awake us in a new life.

There feels like we are tenderly falling from sky
on a new earth having a new start for divine,
see those colours, orange in white, colours of life healing my mind,
flowers have a blossoming fight, wilderness is just covering sites,

oh, this adventure is being so wild,
young soul beats each time I step up this cloudy hacks,
there humans love each other and never bother...
This is the place we both belong
as guarded angels, as heaven songs.
loving you just for your naive face, asking you to stay insane.

თორნიკე კანდელაკი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგია
IV კურსი

იდუმალი დუმილი

თვალი მოგკარ და ამ მკერდში გული
აფორიაქდა, წამერთვა ენა,
ცხადად ვერ ვიტყვი მე, მოხიბლული,
თუნდაც საყურემ ვით დაგამშვენა;

რა ძალისაა მატარებელი
გოგოვ, ცქრიალა შენი თვალები,
საით მიტაცებს, მატყვევებს როგორ
და სად ვარ, შენ თვალს სად ვეფარები.

ხან მელანდება შემომხედავენ
რაღაც გულცივად, თითქოს მწყრომარედ,
მომხვდება მზერა გულგამკვეთავი
და განგმირული ვარ უომარედ.

ხან მანიშნებენ შენი დუმილი,
ო, სულ არაა დუმილი, არა!
და გამოხედვა ეგ იდუმალი
შენთან მკლავებში მომიხმობს ჩქარა.

ო, გავარღვიო ასეთ დროს მინდა
ხალხის კედელი, აბჯარი თმენის,
წამის უსწრაფეს გავჩნდე შენს წინ და
გულში ჩავიკრა სხეული შენი.

მაჯადოებელს და თავბრუდამხვევს,
შენი სულივით წრფელს, უსპეტაკესს,
ვუთხრა ვატარებ თუ როგორ ნაღველს
და დავაკონო ბაგე შენს ბაგეს.

თუ რა განცდაში ეშვება გული,
ქალთა გუნდი რომ მეხვევა მაშინ,
რომ მათ წრეებშიც ვარ ჩაძირული
შენი თვალების მოგონებაში.

მიმზირე ასეთ ცეცხლით და კდემით,
ეს გული მუდამ რომ აათრთოლო,
შენს თვალებშია სამოთხე ჩემი,
სხვა ყველგან მისი ჩრდილია მხოლოდ!

მადლობელი ვარ

სუნთქვა მომესმა, როცა თავდახრილს
მე ჩამესმოდა: იგი მკვდარია.
როგორც პოლარულ ღამით გადაღლილს
ცად გამოჩენა მზის მიხარია.

რადგან იქროლებს ყოველთვის ქარი,
ნუ უნდა შენს გულს ასეთი ლოცვა,
გსურდეს ნაბიჯი შეუპოვარი,
როცა ქარს ხედავ შენს გარემოცვად.

ხომ ბევრჯერ იყო გზა გასაგნები,
რომ არსაიდან არ იყო შველა?
უიმედობის ბნელი საკნები
არ იწყალებდა სულს, როგორც წყევლა.

აწ მზიანი ცის წამიც – საამო,
თავბრუდამხვევი წრე არის ვალსის,
მადლობელი ვარ, ძვირფასო ღამევ,
შენ დაუბრუნე სინათლეს ფასი.

მადლობელი ვარ, ძვირფასო ქარო,
აქ რომ იყავ და ფრთას ფრთაზე შლიდი,
შენ მე მასწავლე დაუვიწყარად
როგორ მიყვარდეს დღეები მშვიდი.

სანთლებს შორის

სანთლებს შორის ფარფატებდა პეპელა,
ზღვართან ჩანდა მრავალი წლის სევდა.
გაფრენოდა მსურდა მე უვნებელად,
ის კი მაინც ცეცხლთან მიიწევდა.

ვავედრებდი, ეს სხვა ცეცხლის ალია,
სილამაზემ არ დაგძლიოს მისმა!
ვგრძნობდი ცხადად და ვწუხოდი ძალიან,
ვით მღვიძარე – ბედს, მიმყოლის სიზმარს.

მაგრამ მის სულს ოცნებები მხურვალე
ახალ ფირით უახლებდნენ მირაჟს.
ვინ შეისმენს მოიკვეთოს სურვილი
ოცნებების ასრულების პირას?

ჰა, წყდებიან სანთლებს ცეცხლის ენები,
ედებიან მისი ფრთების ხავერდს,
ის ეშვება ჩუმი განაწყენებით
და მიცქერის როგორც დამნაშავეს.

რა ცეცხლი დასდევს პოეტს ნამდვილს

რომ მკითხოს ვინმემ – მეგობარო, პოეტს რას ადრი?
პასუხი ჩემი იქნებოდა უმალვე – შატლი;

სივრცეთა ლაღი მეზღვაური, მონა და მეფე,
უზარმაზარი კოსმიური ხომალდი – შატლი.

და გაეკვირვა თუ ნათქვამის სიუბრალოეს,
განვუმარტავდი, რა აქვთ მსგავსი შატლსა და პოეტს.

იგი რაც უფრო სივრცეს იპყრობს და იწევს მაღლა,
რაც მხნეა უფრო და არ იცის დაცლა და დაღლა,

რაც უფრო მძლავრი სვლაა მისი კოსმოსისაკენ,
დაუდგენელ თუ დადგენილი კოსმოსისაკენ,

რაც უფრო არღვევს ატმოსფეროს გაშლილი ფრთები,
რაც უფრო გრძელი მისი არის განვლილი გზები,

და რაც არ ახსოვთ სწრაფვა მისი შიშისგან მცხრალი,
ოდეს გრიგალი ეხვეოდა თუ ქარიშხალი –

დიდებულია იგი უფრო და საოცარი,
და მის ამქვეყნად განდიდებას არა აქვს ზღვარი;

მრავალ ლეგენდის შემცველი და გამომსახველი
მით უფრო დიდი, უკვდავია მისი სახელი.

და ცა რაც უფრო მის ნაკვალევს დაუსერია,
მით ხსოვნას მისას დავიწყება არ უწერია.

მაგრამ აქ ერთი კანონია, შეუმჩნეველი,
კანონი მარად ახალი და მარადვე ძველი,

რაც უფრო მკაცრად ეს აფრენა მოითხოვს მისას,
მით უფრო შატლი ეშორება ხალხს, დედამიწას.

ზღვა სივრცეების, სიმაღლენი ცის მინაწვდომი –
იმავდროულად მარტოობის არის საზომი.

ახლოა მასთან მხოლოდ იგი იმათთაგანი,
ზეცა ვისთვისაც იმავ სწრაფვის არის საგანი.

აი, ამდარად, მეგობარო, ჰგავს შატლი პოეტს,
აი მსგავსება, მათ სახელებს რა აახლოებს.

ასეა მუდამ, ასეთია ცადმსვლელთა ბედი,
შატლია მის ქვეშ, პოეტი, თუ სხვა შემოქმედი,

მიწაზე ვერ გრძნობს არსებობას მისას რადარი,
მაგრამ სივრცეში, ო, სივრცეში – არ ჰყავს ბადალი.

რა ცეცხლი დასდევს პოეტს ნამდვილს – იგრძნობდი ახლა, –
ყოფნით მიწაზე, სულით როცა მიიწევს მაღლა.

ინერციები

საკნის მაგვარი მახსოვს აკვანი,
სადაც ზაკვანი გაცხადდა ბედის,
მიგრძნო რა მაშინ, უძლურებაში,
პატარა ბავშვი იმედად დედის,

ნაბიჯით მარდით, ყოველგვარ ფანდით
შავი დოლბანდის დაიწყო ხვევა,
ტანზე ხვეულის, აწ მოხეულის,
კვალი წყეულის დღესაც იმჩნევა!

მკითხავთ, – კი მაგრამ, რისთვის დაგჩაგრა,
ბედმა ვერაგმა რისთვის გაგწირა?
იმიტომ, რომ მე არ მქონდა კომა,
აკვნიდან ძრომა მიყვარდა ხშირად.

ასე გზას ეძებს, ასე მცდარ გეზებს,
სიარულს წრეზე გაურბის ნავი,
სულს შენახუთებს ოდეს აკუთვნებს
სხვა ნავსაყუდელს, წრის შემხედავი.

აწ მრისხანებით ნანთებ თვალებით
არ ვეტანები წარსულის სურათს,
ღიმს ვტოვებ ღიმად და მხოლოდ იმად
არ ვიჩენ მიმართ ძველთა სამდურავს,

მრავალი გაჰყვა წინაც სხვათ ზრახვას
და სცემდნენ თაყვანს ამ აკვნის რონინს.
ნუ მოსთხოვ მონას რამე იღონოს,
მონა თვითონაც შვილია მონის.

არ მახსენდება ცეცხლის შენთებაც
და არ თენდება ამდენ ხნის შემდეგ,
გრძელდება რიგი მეოცეს იქით,
აკვანი იგი ირწევა დღემდე.

აწ დრო ამ სახელს ცეცხლს შეუძახებს,
ძალა თვალს ახელს ცოცხალ ძიების,
და ზიდავს მიზანს, სად მუდამ სვლისას
გზას ტალღა ნისლავს ინერციების.

ფსკერები

ბნელ ქარიშხალში როგორც გემის
გაშლილი აფრა,
ირწევა ისე გული ჩემი
უგონოდ მძაფრად.

აწ მეეჭვება ამ გზის ბედი,
ფიქრების საჭე
საით მივმართო, წვა ასეთი
რად მომისაჯე?

ასე იღებენ, მითხარ მაინც,
აქ ყველა სტუმარს?
არ აშორებენ: თვალებს – დაისს,
კვირეებს მდუმარს.

მე კარგად ვიცი შენი ფერი,
შენი ბუნება,
ჩუმად ხარ, თუ გულს არაფერი
გესალბუნება,

და მესმის ასეთ გულდამსერი
დუმილის არსი –
კარგი, ან სულაც არაფერი
არ ითქმის მკვდარზე.

მასზე საშინელს რას არგუნებს
ბედი სხვას მწერალს,
ვიდრე მკითხველის ღიმილს დუნეს
და მოღლილ მზერას?

ნიჭი არ ითხოვს, არ აყურებს
არავის ნუგეშს,
ეს გულში ტანჯვა ისადგურებს
თუ ვერვინ უგებს.

ფლობდეს უსაზღვრო ნიჭს, გინდ წერდეს
ღვთაებრივ ლექსებს,
დასასრულისკენ, როგორც ვერთერს,
კაცს წააქეზებს.

ცეცხლი თავის თავს მიუბრუნდა,
ის აღარ იცდის,
რომ ყოველივე ცეცხლს არ უნდა
მიეცეს რისთვის?

წყალი, მებაღევ, რისთვის გინდა,
თუკი ბაღები,
ყოფილა თურმე, დაგიდგინდა,
წყალწასაღები?

მე ვიცი კარგად ეს ყოველი
რას მოასწავებს,
ვდგავარ და მკერდზე მე მოველი
დამშეულ სვავებს.

შენ არ იფიქრო თითქოს გყვედრი,
შენშია ბრალი,
რთული არაა მისახვედრი –
მთვრალი ვარ, მთვრალი.

გულს დაგუბულის უნდათ მთვრალებს
კარის გაღება,
და ეს ჩივილიც მიითვალე
აღიარებად.

მაშ, შეეკრება შუბლი ყველას,
თუ პასუხს ვეძებ?
უგულოდ მქმნელი როდი ღელავს
შექმნილის ბედზე.

ვიცი, აღდგება ისევ გული
რაიმე ძალით,
დაუბრუნდება სიხარული
იმავე ალით,

ვით მეომარი დაცემული
თავს ასწევს მაღლა,
გამოიღვიძებს მეომრული
სუნთქვა ხელახლა.

გახედავ ხელში შლილ ბაირაღს,
გზად ლურჯ ყვავილებს,
სულ სხვანაირი სხვანაირად
დასცქერ გზავნილებს.

როგორც ოდესღაც ტანჯვა ყველა,
ეს დღევანდელიც,
გახდება ერთ დღეს მოგონება
ღიმილის მგვრელი.

მაგრამ იქამდე, სანამ გული
იპოვის შვებას,
სანამდე ძველი სიხარული
დაუბრუნდება,

როგორც ზღვის ფსკერზე აფრა გემის,
ანძას მომწყდარი,
მშვიდია ისე გული ჩემი,
მშვიდი და წყნარი.

ლევან კეკენაძე

იურიდიული ფაკულტეტი
III კურსი

დედაბრის ლოცვა

ზამთარმა ისევ წაიჩოქა ჩვენი ხის კართან,
კართან, რომელსაც სულ აწუხებს სახსრის ტკივილი,
კართან, რომელიც შენ დაკიდე გვიან ნოემბერს,
სიცივისაგან რომ წარმოვთქვი მორცხვი ჩივილი.
ჩემი საწოლის მაღლა, თავთან, ისევ აპარებს
მესამე რიგში გახვრეტილი შავი „შიფერი“,
და მუდამ იმას ვევედრები მამა ზეციერს,
მშრალად შემორჩეს ამ ზამთარში ჭერში წიფელი.
ისედაც ვშიშობ, შენც ამბობდი მახსოვს ყოველთვის –
„სახლის საშენად არ ვარგაო, მინდა გამოცვლა“,
ჩემს ბებერ თავს კი არ დავეძებ, ჩემო ძვირფასო,
სახლში შენ მყავხარ, ვერ გავუძლებ ისევ გარდაცვლას.
შენი ბიმიაც ვეღარ უძლებს უშენოდ ყოფნას,
დილით მომვარდა, თოფზე ვწმენდდი მტვრიან იარებს,
ლოკვით და ყეფით გეფერა და გიხმო სასროლად,
მის მერე მსხალთან ჩუმად წევს და უწყლოდ ღრიალებს.
ლოთი გივიაც კი შევნიშნე ამასწინ შენთან,
გზაზე ნაკრეფი გვირილით და სანთელით ერთით,
მაგრამ რომ გითხრა გავვოცდი-თქო, ასე არაა,
შენ ჰყავდი მარტო რიჟრაჟ დილას მშველელი ღმერთი.
ჩემზე რა გითხრა, ისევ ვზივარ ჩვეულ კუთხეში
და ძარღვგადახსნილ რცხილის ტოტებს ბუხარს ვუკეთებ,
ერთი თხოვნა მაქვს, გეხვეწები, ეს შემისრულე,
ღამით მეზმანე, ვერაფერს გთხოვ ახლა უკეთესს.

თეთრწვერა მათხოვარი

თვალი მინახავს, მაგრამ ასეთი?!
არც წამიკითხავს და არც მსმენია,
ღაწვზე ნამჩნევი ორი ნაოჭი
იმ ცრემლებს ითვლის, რაც ზედ სდენია.
ხელი მინახავს, მაგრამ ასეთი?!
ცხრა პირი ტყავი გადასძრომია,
გაყვითლებული თითებისაგან
ვიგებთ, რაც კი რამ გადახდომია.
ჯდომა კი ვიცი, მაგრამ ასეთი?!
მოხუცი კაცის ჯერ არ მინახავს,
ყოველ გავლისას მისი დანახვა
სევდიან თვალებს უმალ მინამავს.
კაცი მინახავს, მაგრამ ასეთი?!
კაცი კი არა, მარტო სევდაა,
დღეს რუსთაველზე მე ისევ შევხვდი,
სათხოვარ ჯამში რკინის ფულს რევდა.

ლაშა ლოსეურაშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორია
IV კურსი

* * *

ეს ჩემი გზაა, ჩემი ხვედრია
ეს გზა, რომელიც ვერ მივატოვე.
მხოლოდ პოეტი და პოეზია,
მხოლოდ სიცივე და სიმარტოვე.

რომ რაღაც დიადს კვლავ მოელიან
თვალები, თუმცა ჯერ ვერ ვიპოვნე,
მეტი რამეზე, ვით პოეზია,
და უფრო ძნელი, ვით სიმარტოვე.

და ხსნაც, რომ მხოლოდ მუდამ ერთია
(ცაო, ამაღამ შეგთხოვ, ითოვე),
მხოლოდ ლექსები და პოეზია,
მხოლოდ პოეტი და სიმარტოვე.

და მე ლექსები თუ მიშველიან,
და მე ლექსები თუ მიამბობენ.
რომ ასეთია, რომ სულ ერთია,
პოეტიც, ლექსიც და სიმარტოვეც.

* * *

წვიმს და მომინდა ლექსი დავწერო,
უძირო ფიქრით სავსე ღამეა.
სიბნელე არის და ჩემს გარშემო
მხოლოდ სიკვდილი და სამარეა.

ხსნას აღარ ველი და მხოლოდ ვდარდობ,
დამრჩება მიწა და სერაფიმებიც.
მიცდის საფლავი მდუმარე, მარტო,
დრო როდის მოვა გარდაცვალების.

დამღალა უკვე სიმძიმემ მიწის,
ვეღარსად ნუგეშს მე ვეღარ ვხედავ.
გული კი იცდის, არ ვიცი რისთვის
და თან ეს გული ყოველღამ კვდება.

სიბნელე არის და ჩემს გარშემო
ვერაფერს ვხედავ, მარტო დავრჩები.
წვიმს და მომინდა ლექსი დავწერო,
იქამდე სანამ გარდავიცვლები.

* * *

ასე ტკივილით გაივლის წლები,
სულის სიმშვიდეს ვერსად მიაგნებ.
ვერ მოვასწარი შერგება ბედის,
ალბათ სიკვდილსაც დავაგვიანებ.

მოიტანს დრო, თუ დროს მხოლოდ მიაქვს?
ნეტავი ერთხელ დრო მოვა მაინც?
თუ გავატანო ამ ღამის გრიგალს,
წარსულიც, აწმყოც და მომავალიც?

* * *

მოიტანა სევდა
ღამემ, როგორც ადრე.
ვზივარ ლექსებს ვწერ და
მინდა პოეტს ვგავდე.

დახეული პალტო,
გაცვეთილი გული.
და დავდივარ მარტო,
მუდამ დატანჯული.

ფურცელით და კალმით,
ან არყით და ღვინით.
მოშვებული მკლავით
მივუყვები ბილიკს.

სადღაც ქარი ქრის და
სადღაც წვიმა მოდის.
მე კი ჩემთვის ვზივარ
და ვეჩვევი ლოდინს

არაფრის და რამის,
არავის და ვინმეს.
გაციებულ ღამის
მარტოობის შვილებს.

პოეტი და სევდა,
პოეტი და ფიქრი.
მე ლექსების მჯერა,
რეალობა მიმძიმს.

და მეცმევა ასე,
დაფლეთილი პალტო.
ვარ გრძნობებით სავსე,
თუმცა მუდამ მარტო.

* * *

მე უფრო სხვა ვარ, ვარ უფრო მაღლა,
ეს მიწა უკვე ველარ დამიტევს.
ზამთარი არის და ცივ ამინდებს
უკანასკნელად ვიხილავ ალბათ.

გარდაიცვლება ჩემი სხეული
(გული მარადის სიცოცხლეს ეძებს).
ამ უკანასკნელ ცხოვრების გზებზე
ვიპოვნი მიზანს გზააბნეული.

რაც დამიკარგავს და რაც ვიპოვნე,
რაც ჩემი იყო და ჩემით გაქრა.
წმინდაო ზეცავ, შენ შეგთხოვ ახლა,
დაე ითოვე, დაე ითოვე.

მე უფრო სხვა ვარ და უფრო მაღლა,
მაშინ, როდესაც შევავსებ საფლავს,
მივწვდები სივრცეს, უცნობ სიშორეს.

როცა მოკვდება ჩემი სხეული,
ცხოვრების გზებზე გზააბნეული,
წმინდაო ზეცავ, დაე ითოვე.

* * *

მინდა რომ შევძლო გავექცე ფიქრებს,
გავექცე ღამეს, გავექცე ჩემს თავს,
და შევძლო მაინც, როგორმე იქნებ,
ჩემივე თავის მე გადარჩენა.

რადგან მოვიდა ზამთარი ცივი
და მხრებზე ისევ ჩამომათოვა.
მე ნამთვრალევი ქუჩებში ვივლი
და ამიყოლებს სიცივე, თრთოლვა.

წმინდა კი ირგვლივ მხოლოდ თოვლია
(არავის ვუცდი, ყველამ დამტოვა).
ამოუხსნელი სიხარულია
ჩემთვის სიცივე და მარტოობა.

ისე ხარ თითქოს...

ისე ხარ, თითქოს გაგაციმბირეს,
გცემეს, უარგვყვეს და დაგამცირეს,
დაგაქვს სხეული – სულის ჭურჭელი,
ცოდვა აგკიდეს და არა გკითხეს.

ისე ხარ, თითქოს სუიციდს ლამობ,
ეპოტინები წვეტიან კლდეებს,
თვალთაგან სისხლი გდის და ლოცულობ
რომ გაუმკლავდე წარსულის დღეებს.

ისე ხარ, თითქოს გული გატკინეს,
ღიმილის მიღმა ღრმა სევდა გიჩანს,
დიდხანს იტანდი უძილო თვალებს,
ყალბ თანაგრძნობას იტანდი დიდხანს.

ისე ხარ, თითქოს ტყვია გახალეს,
არა დამბაჩით, არამედ სიტყვით,
და თუ მარიამს ღმერთი ახარეს,
იგივე ღმერთი აწამეს ლურსმნით.

რა გაგიკვირდა შენ თუ გდევნიან,
თუ სარეველა არჩიეს ყვავილს,
ისე ხარ, თითქოს მოგკლეს და ისევ,
მკვლელს უწვდი გულ-მკერდს და სულის ნაწილს.

* * *

იქნევდი ხელებს, ითხოვდი შველას,
გადაგეყლაპა საწუთროს წყალი,
სიცოცხლისაგან გადარჩენილი
ითხოვდი ღვინოს, პაპიროსს. ძალით

ღებავდი ბაღის კარ-მიდამოებს,
ნაყოფად თითო ინსულტი შეგხვდა,
სისხლ-ძარღვს უმღვრევდი მაგ ლამაზ მკლავებს,
გესიზმრა ქალი სახელად დედა.

გჯეროდა ღმერთის, მერე დამარხე...
თითებით კლავდი ყოველ სასთუმალს,
წასვლას ლამობდი შორეთის კლდეებს,
თუმცა სინდისმა უკან გაბრუნა.

და ახლა დგეხარ მუხლმოდრეკილი,
შველას მოელი აღარსაიდან,
ითხოვ პაპიროსს, ღვინოს და ძალით
ფიქრობ, რომ კიდევ ბევრს გადაიტან.

Faithful Betrayer

ღალატობ ჩვევას, რომ იყო მშვიდად,
ღალატობ მთვარეს მცხუნვარე მზესთან,
ღალატი გექცა ერთადერთ ფიქრად,
რომ გაშორებდეს მანძილი ღმერთთან.

ღალატობ ქუჩებს, სტოვებ, მიდიხარ,
და მეგობრები გრჩება ნამყოში,
ზოგჯერ მყინვარზე მეტად ცივი ხარ,
არ გემეტება ზედმეტი გროში

რომ დაეხმარო თეთრთმება ბებოს.
ღალატობ შენს თავს, საით მიდიხარ,
სიყვარულსაც კი ურცხვად ღალატობ
და უსირცხვილო ბეწვზე კიდიხარ.

ღალატობ სიზმრებს, რომ დაფრინავდე,
ნაცვლად არჩიე „ჰორორ“ ფილმები,
ღალატობ პრინციპს და უპრინციპო,
მოღალატე და უგრძნობი ხდები.

ღალატობ დედას, რომ არ ურეკავ,
ათასში ერთხელ რომ უშვებ ზარებს,
ზიხარ ჯორზე და ულაყს უკვეთავ,
შენი სიცრუე ეშმაკს ახარებს.

ღალატობ ჩვევას, რომ იყო მშვიდად,
ღალატობ მთვარეს მცხუნვარე მზესთან,
ღალატი გექცა ქრონიკულ ფიქრად,
რომ გაშორებდეს იმ ერათადერთთან.

ნიკოლოზ შაფაძიძე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგია
II კურსი

* * *

ისევ ცივდები და კვდები ნაზად,
დაღლილ სხეულით იწყებ ფორიაქს,
ჯერ ხომ შორს არის დღესასწაული,
ჯერ ხომ შორს არის თესმოფორია?
და გეშინია, რომ შენ ეულ ხელს
ძლიერ გაათბობს ცეცხლი სატანის,
შენ ამ ცხოვრების ტანჯვათა გარდა,
სხვა ჯოჯოხეთიც გაქვს ასატანი...
შენ კვდები, კვდები, როგორც სიზმარში,
ვეღარ გარბიხარ და მუდამ რჩები.
თვალწინ ჩაგივლის ცხოვრების წლები,
როგორც წაკითხულ წიგნის სარჩევი.
მე მახსოვს შენი ცივი სხეული,
მაშინ როდესაც გაკრთობდა ქარი,
მუდამ ღიმილში გამოხვეული,
ეგ შენი სახე ვით მინანქარი...
ვეღარ შეაკრთობს შენს წითელ ბაგეს
ვერც მოცარტი და ვეღარც პიჩინი,
რადგან გემსხვრევა რკინის ნიღაბი
და შენმა სულმა თავი იჩინა...

* * *

დამარცხებულმა დავაგდე ფარი,
დავწექი ფარზე და სიკვდილს ვნატრობ.
ყოფილა თურმე მოკვდავის ვალი
დაუძლეველი დღეები ფატრონ...

დავწექი ფარზე და ზეცას ვუმზერ,
ზეცას ვუმზერ და თვალები მეწვის,
რომ არ დაეცეს ვიღაცას გულზე
სხვის თვალის გარსში ნაპოვნი ბეწვი...

ვაცეცებ თვალებს და შვებას ვეძებ,
სიცოცხლის ძაფზე ოცნებებს ვართავ
მდინარესავით აჩქეფებული,
ვეღარ გავარჩევ მტყუანს და მართალს...

ჰაერი თითქმის აღარ მოძრაობს,
იბრძვის სამყარო და იპყრობს მიწებს.
აღარ შეწყვიტოთ ყვირილი აწი!
მე ისევ ვწვები და დუმილს ვიწყებ...

* * *

მუტრიბო, ჩანგი ახმიანე შენი გოდებით,
რომ შერჩეს ძვლები ნაომარი ძნებად ახოებს!
გაშლიან ფოთლებს მდელოები ნასიკვდილარი
და ეგ დუმილი ოგიგიას დაგაახლოებს...

მანძილს სიკვდილს და სიცოცხლეს შორის ღალატი ჰქვია,
რაც ხელთ გიპყრია შენც ღალატობ დაუფიქრებლად,
ამიტომ შეგრჩა ხელში სარკე ვით რელიქვია,
და სილამაზე, რაც გაგაჩნდა, ისიც გიქრება...

იმღერე, ისევ ახმიანე ზვირთთა მორევი,
გედის სიმღერად გარდიქცევა შენი გალობა.
სუსხით მორთული ხეივნები თეთრად ყვავიან,
შენ არც კი ფიქრობ რა გარგუნა და გიწყალობა...

გამხნევდი გულო, ბუკისა და ებნის ხმაურში
გიცხრება ნელა შენი ძველი ნაიარევი,
რაღა გაღელვებს, ჯერ ხომ ცოცხალ ხარ?
უგრძნობ კლდეებში დაიარები...

გახსოვს, ხეტიალს გაატანე შენი ბავშვობა,
ახლა კი ნუღარ იცრემლები, დაგაგვიანდა,
შენ უსასოოდ დარჩენილი ჩემი სული ხარ
და ვით დაღლილი მდუმარება მისდევ ლიანდაგს...

ლალი ჭეშმარიტაშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგია
II კურსი

მარტივი ლექსი

და იწყო ეს ლექსი მარტიან ღამეში,
მარტივი აკორდით ღრუბლების კლავიშზე,
ცეკვავენ რტოებზე დამხტარი წვეთები,
ამ ლექსით მე მარტის დადგომა განიშნე.
გამოდი, უსმინე როგორ წვიმს ალიონს,
როგორ ხსნის კვირტები შეფერილ ბაგეებს,
და მიწას გახვითქულს ნამი სურს დალიოს,
როგორც სვამს ავი დრო ულექსო ღამეებს.
დღეს მარტი ქარიან ღამეში მაშფოთებს,
სულს მიმღვრევს სარკმელზე ფეთება წვეთების,
ხვალ ალბათ ამ სარკმელს მზე შემოათენებს...
დარია უჩვენო, დარია ღმერთების!
გამოდი, შეხედე რა ფერის ცა არის!
აპრილის სცენაზე ენძელებს ისვრიან...
მაისთან მიდი და დახუჭე თვალები –
ვარდები მათ სათქმელს სურნელით იტყვიან!
და სრულდა ეს ლექსი მაისის ღამეში,
და რთული აკორდით – დართული მაისზე,
„ნუ მომწერ“ რომ ეს დღეც სულ მალე გაივლის –
დღეს მიყვარს აისი, არ ვფიქრობ დაისზე!

* * *

უფიქრო ლანდივით დავყვები შარაგზას,
გზაზეა ეკლებით ნასერი ქვიშები,
არაა პალმის რტო, არაა აღარც ბზა –
მე ვიცი ხელახლა რომ აღარ ვიშვები.
უდროო ლანდივით დავყვები შარაგზას,
ხან უცებ თვალს მტაცებს მირაჟის ლანდები,
მოდიო – მეძახის, მპირდება თანაც ხსნას,
მივალ, იმ არაფერს თაფლივით ვადნები.
უცალო ლანდივით დავყვები შარაგზას,
და უკვე სახებაც გამქრალა შენი დღეს,
ახლავე დავიწყებ ფიქრების დარაზმვას,
იქნება როგორმე შენ შემიკოწიწდე.
უსიტყვო ლანდივით დავყვები შარაგზას,
ამ ლექსზეც არ მყოფნის მე მათი მარაგი,
ახლა კი მოვგავარ იმ დაჭრილ ავაზას,
შვილი რომ წაართვეს ცირკისთვის სავარგი.
უფარო ლანდივით დავყვები შარაგზას,
გავჩერდი, როგორც კუ შევძვერი ბაკანში,
და ასე მოველი ლაჩარი ვიღაცას,
რომელიც არ მოდის – გართულა თამაშში.

ბოლო

ეს ყველაფერი პოეტური სულაც არ არის
და არ მგონია, მით უმეტეს, საარავისო,
მიდი ონეგინ, გააჩერე ტყვია მუჭაში,
მიდი ონეგინ, სანამ დაისს გავხარ აისო!
სანამ დაგლანდე როგორც სუსტი მზე ჩამავალი,
სანამ არ ვშიშობ რომ ამოსვლა კიდევ შენია.
საცალფეხოა ეს ბილიკი ჩემი სავალი,
ორს ვერ დაგვიტევს, – რა ვქნა ამის თუ მეშინია.
შენი გზაც ასე საცალფეხო გამოდგა ვშიშობ,
და წარსულებმა ერთხელ მაინც გადაგვიკვეთეს,
ის ერთხელ იყო – გაიშალა, ორად წავიდა –
დარჩა ნაკვალი შენზე ჩემი, ჩემზე უკეთესს.
წადი ონეგინ, ნუ მოხედავ წერილს ცეცხლიანს,
მანდ შენი ბედის ცინიზმია ამოკაწრული,
პირზე შეაშრე ეგ ღიმილი ბედსაც ავზნიანს
და შეირჩინე შენც ღიმილი სახეს ქარგული.
წადი ონეგინ, ნუ ბრუნდები უკან შენ გზაზე,
გადაკვეთაზე არ დაგხვდები როგორც შენ გსურდა,
მხოლოდ ნაკვალი დაგხვდება და ამ გზას ნუ ტკეპნი,
ჩემმა ფიქრებმა შენი სახე უკვე შესუდრა...
წადი ონეგინ!

გადაამისამართეთ!

გადაამისამართეთ!
გარდა ამ მისამართებს,
ყველას გამოუჩნდა მნახველი.
დღეს სულ ერთია,
ხევსურეთია,
ფშავი თუ ფშაველი,
ვიღას ადარდებს,
დაავიწყდებათ
ალბათ სახელიც,
გადაამისამართეთ!
გარდა ამ მისამართებს,
ყველას სურვებია ბარი,
ბარი კი უნდათ და ბარის დარტყმა არა –
მაგრად ჩაურაზავთ კარი.
გადაამისამართეთ!
გარდა ამ მისამართებს,
ყველას შეხმობია ფესვი.
ნაძვი ფოთლოვანში ისე შეერია,
როგორც თივის ზვინში ნემსი.
გარდა ამ მისამართებს
გადაამისამართებს
ღმერთი უღმრთოთა კუნძულს,
სწაფად გაიქეცი, სწრაფად აუყევი
შატილს, მრავალძალს და უშგულს!

პროზა

ქეთევან ფიროსმანაშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგია
III კურსი

მიწისფერი

პათეტიკური ხარ.

სამზარეულოში მაგიდასთან ზიხარ, სამსახურიდან ახალი მოსული და ჩემს გაკეთებულ წვნიანს ხვრეპ. მუქი ყავისფერი თვალები გაქვს. როცა ბრაზდები ან სიამაყით ივსები, მეჩვენება, რომ შავად გიელვარებს.

მრავალი წლის, ცრემლის, სიცილის, სიკვდილისა და სიცოცხლის წინ, როცა მე თექვსმეტი წლის ვიყავი და შენს თვალებს ჯერ კიდევ მიწისფერი დაჰკრავდა, პირველად შემომხედე.

დამინახე.

რამდენიმე კვირის შემდეგ გადაწყვიტე რომ გიყვარდი და მეგობრების დახმარებით ყვითელ მანქანაში ჩამსვი, პირზეხელაფარებული.

შემბოჭე, მატირე და საკუთარი თავი წამართვი.

წამართვი, შევვიწროვდი, შენს შინაგან სამყაროში საჩემო ადგილი გამოძებნე და იქ ჩამკეტე.

გავიგუდები-მეთქი აქ, გეუბნებოდი, მაგრამ ყურადღებას არ მაქცევდი.

მიმისაკუთრე.

გრძელი თმა გიხდება, არ შეიჭრაო, მეუბნებოდი ხოლმე და აი, აქ, წარბთან მკოცნიდი.

უცნაური სუნი აგდიოდა, ყავისა და თამბაქოსი და ვერ ვიტანდი, როცა მეხუტებოდი, მკოცნიდი, მეფერებოდი და ჩემს ფილტვებს მაგ სუნით ავსებდი.

სათამაშოდ მაქციე. უხილავი ძაფები გამომაბი და მარიონეტივით დამატარებდი აქეთ-იქით. მაცინებდი, მატირებდი, თმას არ მაჭრევინებდი, იმ ხაკისფერი, ყვავილებიანი კაბის ჩაცმის უფლებას არ მაძლევდი, მეგობრებთან ერთად სვამდი და შენს დაკრულზე მაცეკვებდი. მერე, მთვრალი, ძაფებს შენკენ ექაჩებოდი და მაიძულებდი რომ ფილტვები, ტუჩები, კანი შენი ყავის, თამბაქოსა და ალკოჰოლის სუნით ამევსო.

წასვლა მინდოდა მაგ შენი გაცრეცილკედლებიანი სახლიდან, მაგრამ ჩემი პერსონა შენს შინაგან სამყაროში გყავდა ჩაკეტილი და მის გარეშე ვერ მივდიოდი.

არარაობად მაქციე. საკუთარ თავს უკან არ მიბრუნებდი.

გასაღები დავკარგეო, მეუბნებოდი, როცა ჩემი ჩაკეტილი თავის გათავისუფლებას გთხოვდი. და მერე მშვიდად დაამატებდი ხოლმე, ყავა მომიდუღეო. რაღაც ამბავს მიყვებოდი და მაიძულებდი ხმამაღლა გამეცინა, მაშინ როცა ტირილი მინდოდა.

ვერც კი ამჩნევდი ნელ-ნელა როგორ ვპატარავდებოდი და ვფერმკრთალდებოდი. შენი სახლის კედლებისგან უკვე აღარაფრით განვსხვავდებოდი. ნაწილებად ვიშლებოდი. ჩემი ღიმილის ნამსხვრევებს ყოველ დილას ცოცხითა და აქანდაზით ვიღებდი იატაკიდან, მაგრამ ცოტა მაინც რჩებოდა ხოლმე ღრიჭოებში. ყოველთვის ამჩნევდი ამ ნარჩენებს, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდი.

იმ ყვითელ მანქანაში ჩატენვიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როცა დარწმუნდი, რომ ველარსად წავიდოდი, დედაჩემმა მითხრა, კარგი კაცია, კარგი ოჯახიშვილიო. მგონი ვერც კი მიხვდა, ამ სიტყვებით სახლში დასაბრუნებელი ბეწვის ხიდი რომ ჩამიწყვიტა. ჩვენი ამბავი უკვე მთელმა სოფელმა იცოდა და, რასაკვირველია, შენი და შენი ოჯახის გარდა, უკვე ყველასთვის გამოუსადეგარი ვიყავი.

მერე დედა გავხდი. მე არ მინდოდა, რომ ჩემი შვილების მამა შენ გამხდარიყავი, მაგრამ ის, რაც ოდესმე მდომებია, პირველივე კოცნით ამოწოვე ჩემი ტუჩებიდან, კანიდან და ცრემლებად მადინე იმ ყვითელ მანქანაში.

დედა გავხდი. მე ჩემი შვილი მიყვარდა, ჩემს შვილს კი – შენ. ხოდა, ერთ დღესაც, როცა სახლში დაბრუნდი, შევეცადე გულწრფელად გამეღიმა. მგონი გამომივიდა. შენი სახლის კედლებს ეს ჩემი ახალი ნიღაბი ისე მოუხდა, რომ ძალიან იშვიათად ვიხსნიდი

ხოლმე და ვერც კი შევნიშნე ისე შევისიხლხორცე.

როცა შევამჩნიე როგორ ვემსგავსებოდი სხვებს, ჩავთვალე, რომ უკვე ძალიან გვიანი იყო. ნიღბის მოგლეჯა მხოლოდ სახეს დამისისხლიანებდა. ყველაფერი გაცილებით მშვიდად იყო, როცა იმას ვაკეთებდი, რასაც ჩემგან ელოდნენ.

ბევრს ელოდნენ. ჩემ გარშემო ყველას უნდოდა, რომ სარკე უკუღმა დამეჭირა, რათა მე კი არა, ჩემში არეკლილი თავისი თავი დაენახა, თავისი სურვილები და მოთხოვნები. ხოდა მეც, საკუთართავდაკარგულმა და სარკეშემოტრიალებულმა, დავიწყე ნალექიანი ყავის სმა დედაშენთან და მეზობლებთან ერთად. ასეთი უფრო მომწონხარო, მითხარი ერთხელ და ტუჩებზე ღვინის სუნი მომაფრქვიე.

მეორედ რომ გავხდი დედა, უფრო მეტად გაგიხარდა – ბიჭი იყო. სუფრასთან სიამაყისგან ჩაშავებული გქონდა თვალები და გვერდზე მჯდომს უთხარი, კაცად უნდა გავზარდოო. ვერ ხვდებოდი მაშინ და ვერც ახლა ხვდები, რომ მთავარი კაცად კი არა, ადამიანად გაზრდაა. და იმ საღამოს, სამშობიაროდან ახლადგამოწერილი ატირებული ჩვილის დაწყნარებას რომ ვცდილობდი, შენ კი მეზობელ ოთახში მაგიდის თავში მჯდომი ხარხარებდი, გადავწყვიტე – არ მოგცემდი უფლებას, ჩემი შვილები დაგემახინჯებინა.

როცა პირზე ხელი ამაფარე და მეგობრების დახმარებით ყვითელ მანქანაში ჩამტენე, ოცდაშვიდი წლის იყავი და თვალები სიამაყით გქონდა სავსე. ახლა, მრავალი წლის, ცრემლის, სიცილის, სიკვდილისა და სიცოცხლის შემდეგ, მე ოცდათვრამეტი წლის ვარ, მოკლე თმა მაქვს და გიყურებ როგორ ხვრეპ ჩემს გაკეთებულ წვნიანს. სახლში მარტო ვართ. ხვალაც მარტო ვიქნებით და ზეგაც. ჩვენი შვილები მხოლოდ რამდენიმე საათით შემოივლიან ხოლმე. ჯერ-ჯერობით თავს თავადაც ვუვლი და მათი დახმარება არ მჭირდება.

ჩემგან განსხვავებით მათ უყვარხარ, მიუხედავად იმისა, რომ არასწორად აზროვნებ; რომ ადამიანად მხოლოდ მას თვლი, ვინც შენნაირად ფიქრობს; რომ კაცის მოვალეობად მიგაჩნია გაბრაზება, როცა ჭურჭლის დარეცხვისთვის ნერვები არ მყოფნის და საქმეს სხვა დროისთვის ვდებ; რომ გასარეცხი თეფშის ნიჟარაში ჩადება გეხამუშება და ტელევიზორი აუცილებლად სხვამ უნდა ჩაგირთოს, მაშინაც კი, როცა იქვე წევხარ.

კედელზე გაკრულ კალენდარს ვუყურებ, წითლად დაწერილ 2006-ს და როგორც ამ ბოლო დროს დამჩემდა, კითხვა მიჩნდება, რამდენ ხანში დამცვივა თმა მთლიანად, რამდენ დღე-ღამეში გამომეცლება ძალა და პირველად სხეულის რომელი კუთხე-კუნჭულიდან ამომაგლეჯს სიკვდილი სიცოცხლეს.

ციფრებს თვალს ვარიდებ და ცრემლების შესაკავებლად თვალებს სწრაფად ვახამხამებ. მაშინღა ვამჩნევ, რომ სამზარეულო დაგიტოვებია უხმოდ, სიტყვისუთქმელად. მაგიდაზე შენი დატოვებული ჭუჭყიანი ჯამი დევს.

სიჩუმეში ახლართული ჰაერი იყინება სახლში. მეჩვენება, თითქოს რაღაც დაძრწის, რაღაც უხილავი, უფორმო და ნესტისსუნიანი. მიფათურებს ხელებს სულში, მტკივნეულ ადგილებში, ყვითელ მანქანაში ჩატენვაში, ძალდატანებით კოცნაში, „კარგი კაცია, კარგი ოჯახიშვილია-ში“, მთვრალი კაცების ხარხარში, მწარე, ნალექიანი ყავის სმაში, ჩემი შვილის უხეშ პასუხში, ექიმის სიტყვებში... და ჩურჩულებს, – იტირე, იტირე, იტირე, ხმა ამოიღეო.

გახურებულ ღაწვებზე უცნაურ შეგრძნებას მიტოვებს ცრემლები.

მისაღები ოთახიდან შენი ხმა მესმის, წნევა გამიზომეო, და ფეხზე ვდგები.

თათია წიკლაური

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგია
III კურსი

ოთხი ნოემბრის საღამო იყო

ოთხი ნოემბრის საღამო იყო. ანა გადაღლილი ბრუნდებოდა სახლში. დილით სკოლაში იყო, შემდეგ სამ სხვადასხვა მასწავლებელთან წავიდა გაკვეთილებზე. მართალია, დაიღალა, მაგრამ თუ უნდოდა რომ კარგ უნივერსიტეტში მოხვედრილიყო, მთელი წელი უნდა გაეძლო ამ მოსაწყენი გრაფიკისთვის.

მშვენიერი, ოქროსფერი დღე სრულდებოდა. ანა გამხმარ ფოთლებზე დააბიჯებდა, უსმენდა შემოდგომის ამ მშვენიერ ხმას და მალე სახლსაც მიაღწია.

წვიმას იწყებდა. ნოემბრის წვიმა სასიამოვნოდ ჩანდა ანას ფანჯრებიდან.

* * *

ოთხი ნოემბრის საღამო იყო. ნიკამ ხელოვანთა კაფის ფანჯრიდან გახედა ცას და მიხვდა მალე გაწვიმდებოდა.

დღე კარგად მიდიოდა. სამსახურის შემდეგ კაფეში დაჯდა და საკუთარ თავს უფლება მისცა მიჰყოლოდა ფანქარს და ეხატა აზრები, განცდები. არსად ეჩქარებოდა, ხვალ მანქანას დაქოქავდა, აეროპორტში მივიდოდა და სამუდამოდ დატოვებდა ქვეყანას.

წვიმაც დაიწყო და ნიკამ კიდევ ერთი ფინჯანი ყავა შეუკვეთა.

* * *

ოთხი ნოემბრის საღამო იყო. ლამპიონებით განათებულ ოთახში წყვილი იწვა. ჩუმად იყვნენ. ქალი წამოდგა და საწოლზე დაჯდა.

– მორჩა? – ხმა უკანკალებდა.

– მორჩა. მაპატიე. – მამაკაცის ყალბი ხმა ქალს გულს უკლავდა.

ადგა, ტანსაცმელს დაუწყო ძებნა. თვალწინ ჩაუარა ყოველმა მშვენიერმა წუთმა, რომელიც ამ ხუთ წელიწადში გადახდენოდა ამ გულქვა მამაკაცთან ერთად.

ახლა კი ყველაფერი დასრულდა. ჩაიცვა, უნდა წავიდეს.

– წვიმა იწყება, თუ გინდა, დაელოდე გადაღებას. – კაცი მას არც უყურებდა, თავისთვის, გულგრილად იწვა და ეწეოდა.

ქალმა თავი გააქნია, მანტო მოიცვა და წვიმას შეერია.

* * *

ოთხი ნოემბრის საღამო იყო. სანდრო სამსახურიდან შინ ბრუნდებოდა. დღეს მისი დაბადების დღე იყო, მაგრამ არავის ელოდა. წინა დღეს ნატალიას ცოლობა სთხოვა, მან კი უპასუხოდ დატოვა. იმის შემდეგ თავს საშინლად გრძნობდა. წუთი არ გავიდოდა ამაზე არ ეფიქრა.

სახლში ციოდა. სახლის ტანსაცმელი ჩაიცვა და ჩაით სავსე უზარმაზარი ფინჯნით მიუჯდა ფანჯარას. ხალხი უმიზნოდ დააბიჯებდა ტროტუარზე.

წვიმას იწყებდა, როცა კარზე დააკაკუნეს. ზანტად წამოდგა და კარი გააღო.

– დაბადების დღეს გილოცავთ! – ერთდროულად ათამდე ადამიანი შემოვარდა სახლში ბუშტებითა და ტორტით, სადღესასწაულო ქუდებით.

უხერხულად გაეცინა და მოიბუზა. არ წარმოედგინა, რომ ვინმეს გაახსენდებოდა. განსაკუთრებით კი ნატალიას დანახვამ გააკვირვა. თავიდან ყველა ულოცავდა, საჩუქრებს აჩვენებდა. ცოტა ხანში სიტუაცია დამშვიდდა და შეძლო ნატალიასთან მისულიყო.

– დაბადების დღეს გილოცავ, სანდრო! – გოგონას მშვენიერი მწვანე თვალები უბრწყინავდა.

– გმადლობ.

– საჩუქარი მეც მაქვს შენთვის, თუკი შენი გუშინდელი წინადადება ჯერ კიდევ ძალაშია.

სანდროს თვალები გაუფართოვდა. წამოფრინდა, ხელში აიტაცა საყვარელი ქალი და დააბზრიალა.

გარედან თავსხმა წვიმის ხმას შამპანურის ბოთლების გახსნის ხმა ფარავდა.

* * *

ოთხი ნოემბრის საღამო იყო. ელენე საავადმყოფოს მოსაცდელში იჯდა. თავჩაქინდრულს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ყველა მას უყურებდა და აფურთხებდა.

ექიმი დერეფანში გამოვიდა, უსიტყვოდ ანიშნა, გაჰყოლოდა და კაბინეტისკენ წავიდა.

– რამდენი კვირისაა?

– სამის, მგონი.

– დარწმუნებული ხართ, რომ გსურთ ეს?

– არ ვიცი.

ელენემ ექიმის კაბინეტის ფანჯრიდან ცას გახედა. წვიმას იწყებდა. ისედაც დანაღვლიანებულს, ახლა ძალიან მოუნდა, ეტირა. გულში წყევლიდა კაცს, რომელმაც ამ მდგომარეობაში ჩააგდო და მიატოვა მუცელში ნაყოფით, იმ საშინელ გრძნობას რომ მოჰყვა.

– უნდა გადაწყვიტოთ.

ელენემ თავი დააქნია. დაე, მოხდეს ეს და მოაშორონ. შემდეგ კი თურქეთში წავა და აღარც გამოიხედავს ბინძური თბილისისკენ.

ძლიერად წვიმდა.

* * *

ოთხი ნოემბრის საღამო იყო. ოქროსფერი შემოდგომა. ქარი ხეებს აშიშვლებდა და ჩანდა, მალე იწვიმებდა. ქალაქი ნაცრისფერი იყო, მაგრამ ქუჩის ლამპიონებით განათებული მაინც ახერხებდა, თავი მოეჩვენებინა ყველასთვის, თითქოს აქ ყველაფერი რიგზე იყო. ინტრიგდებოდი, გეგონა, რომ ყოველი ფანჯრის მიღმა მშვენიერი ამბავი ხდებოდა და ალბათ მართალიც იყავი.

ყველა ქალაქი ასეთია, ყველგან ერთნაირი სევდა და სიხარულია. დღეში ათეულობით ათასი კოლოფი სიგარეტი იწვება, ისმის სიტყვა „მიყვარხარ“ და „შემეშვი“, ან ყველაზე ხშირ შემთხვევაში – „მტკივა“. ყველგან სტკივათ. ჩემი მასწავლებელი ამბობდა, ყველა ოჯახში დუღს პატარა ქოთნით ლობიო. ასეა, ზოგან დიდი ქოთნით დუღს ტკივილი, ზოგან პატარით. დილით იღვიძებენ და ხვდებიან, რომ კიდევ ერთი დღე უნდა ითმინონ, კიდევ ერთ დღეს უნდა იბრძოლონ. ამ მოთმენასა და ბრძოლაში საღამოვდება, ქარი უფრო ძლიერად უბერავს და ჩაიდნებში წყალი დუღს ჩაისთვის.

წვიმდა ოთხი ნოემბრის საღამოს და ალბათ ისიც იბრძოდა, ისიც ტკივილებს ითმენდა. რა ვიცით?

სესილი გოგიბერიძე

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
III კურსი

„ჩემო გოგონია“

11 ივლისის ბნელ და პირქუშ ღამეს, ტელეფონის გამაყრუებელმა ზარმა მთელი ოჯახი მყისვე გამოაფხიზლა. იმ ღამეს ბაბუა გარდაიცვალა. პირველი, რაც მაშინ გავიგონე, დედის ცრემლნარევი, ძვლივს აღმოხდილი სიტყვები იყო: „დაისვენა ჩემმა მამიკომ, დაისვენა ჩემმა საწყალმა მამიკომ...“. და მოხდა ფატალური გარდატეხა ჩემს ცხოვრებაში – ვიგრძენი ის, რაც აქამდე არასოდეს მეგრძნო – საყვარელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული სიმწარე, რომელიც სრულიად უცხო იყო ჩემთვის. დადგა 11 ივლისის ყველაზე შავი ღამე შავ ღამეთა შორის და მოკვდა სულის რაღაც ნაწილი ჩემში. წავიდა ბაბუა და თან წაიყოლა ჩემი უკიდეგანო, ზღვარგადასული, არაადამიანური სიყვარული მისდამი. წაიყოლა ენით აღუწერელი 15 წლიანი ტკივილი და ტანჯვა, რომელსაც ბოლო არ უჩანდა. ჰო, ბაბუა სრულიად უსინათლო იყო, მაგრამ ბევრ ადამიანზე მეტის დანახვა შეეძლო. მისი დიდრონი, ფირუზისფერი თვალები ამ საბედისწერო დაღმაც კი ვერ ჩააქრო. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე ბაბუა საწოლს მიეჯაჭვა, თუმცა მისი მდგომარეობის მიუხედავად, არასოდეს დაცემულა მორალურად, პირიქით, შესაშური იუმორის გრძნობა ბოლომდე შემორჩენოდა და არც სიცოცხლის ხალისი დაჰკარგოდა.

მაგრამ დრომ არც ის დაინდო. რაღაც დროის განმავლობაში უკვდავიც კი მეგონა, მაგრამ ვცდებოდი. დაახლოებით სამი წლის წინ, ზაფხულის მცხუნვარე დღეებს ჩემი უახლოესი მეგობრის სოფელში ვატარებდი და მახსოვს, პირველად სწორედ მაშინ გავაცნობიერე, რომ ოდესმე შეიძლებოდა ბაბუა აღარ მყოლოდა. ვიცოდი, ყველაზე მეტად ამ დღის მეშინოდა და წარმოდგენაც კი იმდენად სულისშემძვრელი იყო ჩემთვის, ვცდილობდი თავი დამეღწია ამ ფიქრებისგან, მაგრამ ამაოდ. ცოცხალსაც კი ვგლოვობდი წინასწარ. მახსოვს, ვამბობდი, ბაბუა რომ გარდაიცვალოს, ალბათ, გადავყვები კიდეც-მეთქი. დღეს კი ზუსტად 2 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მზე ჩემთვის სანახევროდ ამოდის. მე კი თავს ყველაზე უძლურ, უსუსურ და ამავდროულად საზიზღარ, ამაზრზენ ადამიანად ვგრძნობ, რომ დავდივარ, ვერთობი, ხშირად ვიცინი და რაღაც მომენტში მავიწყდება კიდეც ჩემი ტკივილი. მინდა ოდესმე, სადმე ისევ ვნახო, მუხლებში ჩავუვარდე და ცრემლად დავიღვარო მის წინაშე პატიების თხოვნისას, რომ ასე მალე მოვინელე და ასე მარტივად გადავიტანე მისი წასვლა.

სული მეწვის. სინდისი და ტკივილი შინაგანად ერთდროულად მღრღნის. დღე არ გავა, მასზე რომ არ ვიფიქრო, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ის იმსახურებდა ჩემგან. „ჩემო გოგონია“ – მასთან მისულს მეტყოდა ხოლმე თბილი, სიყვარულით აღსავსე ხმით, ჩემს ხელებს მის დამჭკნარ, გაყინულ ხელისგულებში მოიმწყვდევდა და გულმოდგინედ დამიკოცნიდა. ბოლო დროს, სანამ ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, ვატყობდი, რომ მისი უბადლო მეხსიერება ნელ-ნელა უარესდებოდა, მაგრამ წამით არ მიფიქრია, შეიძლება მეც დავავიწყდე-მეთქი. მახსოვს, როგორ მასწავლიდა გამრავლების ტაბულას და მათემატიკური ამოცანების ამოხსნას დაწყებით კლასებში. მახსოვს, როგორი ენთუზიაზმით მიყვებოდა საინტერესო მომენტებს თავისი ცხოვრებიდან, როგორ ფაქიზად მივარცხნიდა თმებს და ამით მათ სიგრძესაც ზომავდა. მახსოვს, როგორ მეფერებოდა სახეზე და წლების უნახავი შვილიშვილის წარმოდგენაში აღბეჭდვას შეხებით როგორ ცდილობდა. მახსოვს, ძალიან რომ უხაროდა სიზმრების ნახვა და აღფრთოვანებული გვიყვებოდა ამის შესახებ. მახსოვს, კიდევ, რაც ყველაზე მეტად მიხაროდა, ეს ბაბუას ანეკდოტები იყო, რომელზეც, ძირითადად, ისევ თვითონ იცინოდა ხოლმე. სახლის ტელეფონზე დამირეკავდა, მეტყოდა, შენთვის ახალი ანეკდოტი მაქვს მომზადებული, ტელევიზორში მოვისმინე და სანამ დამვიწყებია, მოდიო. მეც, რა თქმა უნდა, სიხარულით გავრბოდი. შარშან ზაფხულს უფროსი და რომ გარდაეცვალა, ცხარედ ატირდა, ოღონდ ჩვენი თანდასწრებით არა, გაგვერიდა, განმარტოვდა და ისე. ამაყი კაცი

იყო ჩემი ბაბუა, ორიენტაციის არევისას დახმარებას არ კადრულობდა, „ვიცი, ვიცი, ჩემით, მე თვითონო“ – ამბობდა და ერჩივნა ეწვალა, შუბლიც კი დაეზიანებინა, ვიდრე ვინმეს მიეყვანა დანიშნულების ადგილამდე.

ახლა და ახლა უფრო მახსენდება და მიტივტივდება გონების წიაღიდან ფრაგმენტები ჩვენი ურთიერთობიდან და ნელ-ნელა უფრო მეტად ვაცნობიერებ, რომ ეს კაცი, ჩემი ცხოვრების ამომავალი წერტილი, ჩემი ვერცხლისფერი სიყვარული ქვეყნად აღარ არის და არ მსურს ასეთ მწარე რეალობაში ცხოვრება.

ადამიანის ნახვისას არასოდეს ფიქრობ, რომ ეს შესაძლოა უკანასკნელი იყო. ჩემ შემთხვევაშიც ასე მოხდა. გაზაფხულის სემესტრის დასაწყისში უკანმოუხედავად გავ-ფრინდი ესტონეთში სასწავლებლად. მაშინ ისეთი ბედნიერი და ემოციებით აღსავსე ვიყავი, არაფერზე ვფიქრობდი და მათ შორის არც იმაზე, რომ შესაძლოა ბაბუა ვეღარასოდეს მენახა. ესტონეთში უდიდესი გამოცდილება შევიძინე, ენის ფლობის ტექნიკაც დავხვეწე და გარკვეული ცოდნაც დავაგროვე. მომწონდა ახლადგაცნობილი კურსელების გარემოცვაში ყოფნა, თუმცა ჩემს მშობლიურ ქალაქში დაბრუნებას არაფერი მერჩივნა. ბილეთი ბოლო გამოცდის დღეს დავჯავშნე და ფრენამაც იდეალურად ჩაიარა. ჩემი ნესტიანი ბათუმი ტრადიციულად წვიმით დამხვდა. ეს წვიმა იყო სწორედ ღამით წარღვნად რომ გადაიქცა და ყველაფერი წალეკა. ბაბუას ვერ ჩამოვუსწარი და ამისგან გამოწვეული სასოწარკვეთა, ალბათ, სიცოცხლის ბოლომდე გამყვება. ყელში ბურთი მეჩხირება და აღარ ვიცი სიმწრის-გან რას ვეცე, როცა წარმოვიდგენ, როგორ ტოვებდა მისი სული სხეულს, მე კი ასეთ მძიმე დროს მის გვერდით არ ვიყავი. ალბათ როგორ სტკიოდა, საბრალო ბაბუა... საბოლოოდ მაშინ მივხვდი დიდხანს აღარ გვეყოლებოდა, როცა წამოყენებას იხვეწებოდა, გავლა უნდოდა, მაგრამ წამოდგომაც კი არ შეეძლო. ვფიქრობდი, ვცდილობდი გამეხსენებინა როდის და რა მდგომარეობაში ვნახე ბოლოს, თუმცა დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ვერ გავიხსენე. ნეტავ, მაშინ რა მოხდებოდა, რომ მცოდნოდა, მას უკანასკნელად ვხედავდი? ნუთუ ასეთ დროს უძლურებით გამოწვეული ტანჯვა უფრო დამანგრევლად მტკივნეული იქნებოდა ჩემთვის? ვინ იცის...

ვფიქრობ, ბაბუას სიცოცხლე ღირდა. ადამიანი, რომლის სულის საოცარი სისპეტაკე და პიროვნული მშვენიერება, ფიზიკურ სილამაზეს ჰარმონიულად ერწყმოდა. ამიტომ ვბედავ დაუღალავად, უსასრულოდ ვისაუბრო მასზე. თუ ვინმე ოდესმე მკითხავდა, თუ როგორი იქნებოდა გაადამიანებული სათნოება, აუცილებლად, პირველი ბაბუაზე მივუთითებდი. სულ მცირე, იმის გამო, რომ საკუთარ თავში ამოდენა სიყვარულის უნარი აღმომაჩენინა, ის ჩემთვის გმირია. როგორ ვეგუები მის არყოფნას? როგორ სისხლი არ მეყინება მის გარეშე? აი ეს არის, სწორედ ეს არის ადამიანი, ყველაზე უბედური და მდა-ბიო არსება დედამიწის ზურგზე! ყოველდღიურობის დამღლელი, ინერციული რუტინისგან იმდენადაა დაბრმავებული, რომ უდიდეს ტკივილსაც, ადრე თუ გვიან, ესისხლხორცება, სწავლობს მასთან ერთად ცხოვრებას და საბოლოოდ ეჩვევა კიდეც. არ ვიცი, შეიძლება ეს კანონზომიერია და ასეც უნდა იყოს. მხოლოდ ის ვიცი, რომ მთელი არსებით ვნანობ ყველა იმ წუთსა და შესაძლებლობას, რომლის ბაბუასთან გატარება შემეძლო და არ გამოვიყენე.

ოცი წლის წინ, ნარინჯისფერ შემოდგომას, ჩემი სახით, კიდევ ერთი პირმშო შეეძინა. დღეს ჩემი დაბადების დღეა. პირველი დაბადების დღე ბაბუას გარეშე ყველაზე უღიმღამოდ მიიზლაზნება დასასრულისაკენ. მეშინოდა ამ მომენტის. ყოველთვის, როცა მირეკავდა და მილოცავდა, ვეუბნებოდი – „ბაა, კიდევ მრავალი წელი გამეგონოს შენი მოლოცვა-მეთქი“. მთელი დღე უიმედოდ და ამაოდ ველოდებოდი იმ ზარს, რომელიც არ დარეკავდა. ყველაზე უსულგულო ადამიანიც კი იწამებდა სიყვარულს, რომ ენახა როგორ მიწნიდა თმებს, როგორი დამყოლი იყო ჩემი ნებისმიერი სიჯიუტის მიმართ და როგორ სათუთად ეპყრობოდა ჩემს გადაჭარბებულ ემოციურობას. ეს ყველაფერიც ახლაღა ამომიტივტივდა. მგონია, რომ ამის იქით უკვე აღარაფერია. აღარაფერი, რადგან ამ გრძნობამ ყველა ზღვა-რი, ბარიერი თუ ჰორიზონტი გაარღვია.

11 ივლისის ბნელ და პირქუშ ღამეს, ტელეფონის გამაყრუებელმა ზარმა მთელი ოჯახი მყისვე გამოაფხიზლა. იმ ღამეს ბაბუა გარდაიცვალა...

მევიოლინე

მარტამდე

გასცილდა თუ არა კონსერვატორიის შენობას, ფიქრს მიეცა:

„მარტამდე!“, რა უწყინარი სიტყვაა „მარტამდე“... მარტამდე სულ ოციოდე დღეა, შეიძლება მეტი, მაგრამ რატომ ჩნდება განცდა, თითქოს საუკუნეა მასთან არყოფნის? ოციოდე დღე, სულ რაღაც ოციოდე დღე! მაგრამ განა სულ ერთად ვართ ახლა? განა მის გვერდით ვატარებ დანარჩენ დროს? მე მას ერთი-ორჯერ თუ შევხვდები და ისიც დამცინავად მცირე ხნით. ესაა მხოლოდ მე გულში იმედი მაქვს, იმედი, რომ ნებისმიერი დღე შეიძლება მასთან შეხვედრის დღედ იქცეს და ეს მაცოცხლებს და მატანინებს დღეებს, კვირებს. მე მუდმივად დაძაბული ვარ ამ დღის მოლოდინით. ნებისმიერ წუთს, ნებისმიერ წუთს შეიძლება გადავაწყდე მის საოცარ ღიმილს და თვალებს. გამოვდივარ ქალაქში და ვიცი, სადღაც აქ არის, სადღაც ახლო-მახლო, სადღაც შეიძლება შევხვდე, ვიპოვო, გავიხარო და გავახარო კიდეც იქნება, რა ვიცი... ნეტავი! შეიძლება ვერც შევხვდე, მაგრამ იმის ცოდნაც, რომ ის ამ ქალაქშია, ჩემი ბედნიერებისთვის საკმარისია. შეიძლება სადღაც აქ გაიარა დღეს, ამ ხეს შეხედა, ამ ცას, ამ მოაჯირს დაეყრდნო, ამ სკამზე ისვენებდა და უსმენდა მუსიკას, ან კითხულობდა წიგნს. ან ამ მეგობარს გაუღიმა და გადაეხვია და მეც მზად ვარ ხელში ავიტაცო ის და მაგრად ჩავიკრა გულში, რომ მისი სითბო, რომელიც ჯერ კიდევ შერჩენია, მეც ვიგრძნო.

ასეთი იმედებით მიმოდიან ჩემი ფიქრები, თვალები, გული, თითები და ახლა ეს იმედი კვდება, კვდება სულ ერთი სრულიად ბრალდაუდებელ და უწყინარ სიტყვით – მარტამდე. რა უბედური ბედი დაჰყვება ხოლმე ზოგიერთ სიტყვას, როგორი მძიმე ტვირთის ტარებას უწესებს განგება სამუდამოდ!

ოჰ ღმერთო, რაა იმედი? იქნებ თვითონ ღმერთია იმედი? თუ ასეა, რატომ ქრება, რატომ იშლება იგი ჩემი გულიდან, მარტამდე? მარტამდე... რა იქნება ჩემი სიცოცხლე მარტამდე, ტანჯვიან, საშინელ და განწირულ გასეირნების მეტი ამ ქალაქში, სადაც ყველგან ამ უიმედობის გარდა, მომაგონდება მისი სახება, მისი სახელი და ყოველივე ის, რაც მე ასე ძლიერ მიყვარს?

რა ან ვინ გამიწევს ვერგილიუსობას? მაგრამ რომელ ვერგილიუსობას?

რაა ცხოვრება იმედის გარეშე, გინდაც საბუთიან ფიქრით რომ არ აცხადდება ის, არ გამართლდება არასოდეს? განა არსებობს უიმედობაზე დიდი ტანჯვა ადამიანისთვის?

„მარტამდე!“, „მარტამდე!“ – მწარე ისარივით მაქვს ჩარჩენილი ეს სიტყვა გულში. ერთ უბრალო სიტყვას როგორ შეუძლია ჩააგდოს ადამიანი ღამეების ამნაირ სითეთრეში, ანდა პირიქით? რა საშინელი განცდაა, რა აუტანელი და გამაწამები და ვერ მიპოვნია სიტყვები, მაგრამ აი ეს სიტყვა კი – მარტამდე, როგორი პატარა და ძლევამოსილია და ყოველივეს მსუბუქად დამტევი. როგორ საბედისწეროდ იქცა იგი ჩემთვის!..

ახალ შხამს ვსვამ ძველის განსადევნელად!

მარტამდე... მარტამდე... ამ შვებით გამოთქმულ სიტყვით მოეღო ბოლო იმედებს არა მხოლოდ მარტამდე, არამედ აწ სამუდამოდ. ეს ერთი უბრალო სიტყვა ასე უჩინრად მალავს მის მიღმა მარადისობას. რა მარტივი და პატარა სიტყვების მიღმაა დამალული ამხელა მარადისობა...

„მარტამდე!“, „მარტამდე!“ – ღმერთო მიშველე მარტამდე!

რაც მეტად ნათელი ხდება რას წინასწარმეტყველებს ის, თუ რისი მომტანია ის მომავალში ჩემთვის, მით უფრო ღრმავდება ტკივილი და მიმძიმს და მეძნელება ამ იმედებით ფესვგადგმულ გრძნობის ამოძირკვა. რით შეივსება ის მიწა, ის მიდამო, საიდანაც ხეს ფესვებიანად ამოგლეჯენ?.. როგორი საცოდავი სანახავიცაა ასეთი ადგილი, ისეთი სანახავი იქნება გული ჩემი, მარტამდე და, მარტის იქითაც, აწ სამუდამოდ!“

ამასობაში სახლსაც მიუახლოვდა. მოაგონდა ნაქირავები ოთახის პირქუში კედლები და მათი მკაცრი სივიწროვე, რომელიც უფრო მძაფრად შეუხუთავდა გაწამებულ სულს, ვიდრე ოდესმე. გამოჩნდა მოედანიც. მოედანი, რომლის ძვირფასი სახელი პირველად მის ცხოვრებაში ასე გულისმომკვლელად, სევდიანად და დამცინავად ჟღერდა – თავისუფლების მოედანი.

თებერვალი, 2018წ.

მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ა

თორნიკე გუმბერიძე

იურიდიული ფაკულტეტი
III კურსი



2018.

გიგა არგანაშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ხელოვნებათმცოდნეობა
IV კურსი



თ ა რ გ მ ა ნ ი

პოეზია

ლაშა ლაშხი

იურიდიული ფაკულტეტი
III კურსი

ალექსანდრე პუშკინი (1799 – 1837)

* * *

მინახავს ბრძოლა, ბავშვობიდან ხმლების წკრიალი
მე გულს მინთებდა სახელგანთქმულ გმირების შურით,
მხიბლავდა მკლავი სისხლიანი და ვაჟკაცური,
და ომში გმირულ დაცემისა ვიყავ ტრფიალი.

მწამდა ღარიბი, მტკნარი იყო ცხოვრება მისი,
მას არ ეთქმოდა მე სიცოცხლე შევიგრძენ სრულად,
არ შეხვედრია ვინც სიკვდილის თვალს გაბედულად,
ის ლამაზ ქალის ამბორისაც არ იყო ღირსი.

შენ და თქვენ

მან უნებურად, სულ ერთი წამით,
გადაივიწყა მიმართვა „თქვენით“,
და მოხარული, გამგონე ამის,
ცას დაეწია მიჯნური ფრენით.
თვალებს მას მოსწყდნენ ვერაფრით ვუშლი,
ვდგავარ მის წინ და მის ღიმილს ვლოცავ;
„რა ძვირფასი ხართ!“ – მივმართავ, როცა
„როგორ მიყვარხარ!“ – ვიძახი გულში.

სერგეი ესენინი (1895 – 1925)

* * *

ნახვამდის ჩემო მეგობარო, გემშვიდობები,
მხოლოდ ეს გული დასავიწყად შენ ვერ გიმეტებს.
ეს განშორება ნაადრევად მოვიდა, ვხვდები,
მაგრამ ის ახალ შეხვედრისთვის ბადებს იმედებს.

გემშვიდობები ასეთ შორი გამოთხოვებით,
ნუ დაღონდები მეგობარო, შეგთხოვ ძალიან,
სიკვდილიც ერთი ნაწილია ჩვენი ცხოვრების,
როგორც სიცოცხლე ის ამქვეყნად არახალია.

* * *

სტვენაღა – ლაღი, გიჟური სტვენა,
ამ ერთადერთის დამრჩა ხალისი.
ღმერთმა დასწყევლოს ბოროტი ენა,
მე რომ სახელი მაქვს სკანდალისტის!

ოჰ, რა ძვირფასი გამქრალა რამე,
ცხოვრება როცა ასეთი გახლავთ!
მრცხვენია, რადგან ღმერთის ვიწამე
და ვწუხვარ ძლიერ, რომ არ მწამს ახლა!

მე ვეტრფი ისევ უცხო მხარეებს,
მაგრამ ცხოვრება არაფერს სწყალობს.
მეტი ცეცხლისთვის ვაქცევდი დღეებს
სალაპარაკოს და სასკანდალოს.

პოეტის ნიჭი – ალერსი სადა,
მკაცრ ბედისწერის დაღით ივნება,
სასაცილოა, თეთრ ვარდის მწადდა
შავ გომბეშოსთან დაქორწინება.

რა გაეწყობა, თუ ასრულება
არ მიწერია ქვეყნად ოცნების.
თუ სულს დემონთა სდევდა კრულება,
ის იყო ბინაც ანგელოზების.

წარსული – წლები ლაღ თავაშვების
მომყვება სანამ დღე მოვა ბოლო,
და ვინც ბოლომდე ჩემთან დარჩებით,
ეს სათხოვრი მექნება მხოლოდ –

მიუხედავად ამდენი ცოდვის
და უმადლობის გამოცხადების,
გამხვიოთ რუსულ პერანგში ოდეს,
წინ დამასვენებთ წმინდა ხატების.

გიორგი სვანიძე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგია
III კურსი

უილიამ ერნესტ ჰენლი (1849-1903)

უძლეველი

ღამე, რომელიც ჩემთვის ერთია,
მაღაროსავით შავებში ითვლის,
მადლობას ვუხდი მას, რაც ღმერთია,
დაუძლეველი ჩემი სულისთვის.

გარემოების კლანჭში მოქცეულს
არ შევკრთომილვარ, არ მიტირია,
ხელკეტით ნაცემს, მდგომარე ეულს,
გასისხლულს თავი არ დამიხრია.

ადგილს რისხვის და ცრემლების გაღმა
ლანდავს სიბნელის შიში ძლიერი,
დაუნდობელმა მე წლების დაღმა
ვერ შემიცვალა ვაჟკაცს იერი.

უმნიშვნელოა კარიბჭე ხედვის,
ანდაც გრაგნილი საზღაურისა,
მე ვარ ბატონი ჩემსავე ბედის
და მეთაური ჩემი სულისა.

პროზა

გიორგი სიფრაშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ირანისტიკა
IV კურსი

საიდ ნაფისი[1]

მშობლიური სახლი

ამ ოთხმოცი წლის წინ, ქალაქ ჰერათში, მოხუცი კაცი ცხოვრობდა, რომელიც ირანელთა ერთ-ერთი უძველესი ტომის შთამომავალი გახლდათ, სახელად ნასროლაჰი, და თავისი სიცოცხლის სამოცდათოთხმეტი წელი უკვე ჩაემთავრებინა. იგი დეჰყარეყანში მცხოვრებთა საგვარეულოს ეკუთვნოდა, თუმცა ამქვეყნიურმა ტანჯვა-წვალებამ ჰერათში მოიყვანა, სადაც ტვირთი გადაჰქონდა და თავს ასე ირჩენდა.

ნასროლაჰი იმ ადამიანებს მიეკუთვნებოდა, რომლებსაც გულში არავითარი გრძნობა არ გააჩნიათ. ბავშვობიდან დაობლებულს, არც ცოლ-შვილი ჰყავდა და ამდენად, ოჯახური მყუდროება მისთვის უცხო ხილი იყო. თუკი ქუჩაში შვილთან მოალერსე ქალს დაინახავდა, თვალს მოარიდებდა და ზოგჯერ ზიზღიც კი აიტანდა ხოლმე. ის კი არა, საკუთარი სახლიც არ გააჩნდა, ადგილიდან ადგილზე გადადიოდა და ყოველ ღამეს სულ სხვადასხვა სახლში ათევდა. მისთვის ყველა შენობა ერთი იყო, ყველა მიწის ნაკვეთი ერთმანეთს წააგავდა და სიყვარულს არც ერთის მიმართ არ განიცდიდა. იგი იმ ფილოსოფოსებივით იყო, არავისზე და არაფერზე რომ არ შევარდნიათ გული და არც არავისგან უგრძვნიათ სითბო და ყურადღება. თუკი ვინმე შეეკითხებოდა, ამბობდა რომ მისთვის ყოველივეს ერთი ფასი ჰქონდა, არც არაფერი ადარდებდა და არც არაფერი აღელვებდა. ჰოდა, ამიტომაც იყო, რომ წლების მანძილზე ნასროლაჰი არავისთან ახლო ურთიერთობას არ ესწრაფოდა და მეგობარიც არავინ ჰყავდა.

იმ დროს ხორასანში ომი მძვინვარებდა. ირანელნი გამარჯვებას ვერა და ვერ აღწევდნენ და ბოლოს იძულებულნი გახდნენ მხარის უმეტესი რაიონები ინგლისელთათვის დაეთმოთ.

რა თქმა უნდა, ამ ამბავმა ჰერათის მოსახლეობა ძალზე დააღონა. ერთადერთი მხოლოდ ნასროლაჰი იყო რომ არ დადარდიანებულა – მისთვის ყველაფერი სულერთი იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ვითარება თურმე მასზეც აისახა: შეძლებულმა ადამიანებმა ჰერათი დატოვეს, ვისაც რა გააჩნდა, ყველაფერი გაყიდეს ან თან წაიღეს და მეშჰედსა თუ სხვა ქალაქებისკენ დაიძრნენ. მგზავრთა ნაკადის მატებასთან ტვირთის გადაზიდვამაც იმატა, ამდენად ნასროლაჰის შემოსავალიც საგრძნობლად გაიზარდა.

საღამოობით, როდესაც საქმე აღარაფერი ჰქონდა, ნასროლაჰი ყავახანას სტუმრობდა, ოხუნჯობდა და თანამოქალაქეებს კიცხავდა, რომლებმაც ჯერ ქონების მოპოვებაზე იწვალეს, შემდეგ ეს ვაი-ვაგლახით შეძენილი ნივთები დაკარგეს, ანდა ჩალის ფასად გაყიდეს და გაანიავეს, ანდა არანაკლები წვალებით ცდილობდნენ თან წაეღოთ ისინი. ეჭვგარეშეა, ყველა მათგანი უჭკუოა და გონიერებას მოკლებულია, უფრო სწორად, გიჟია, – ამბობდა ნასროლაჰი, – განა ყველგან ღვთის მიერ ბოძებული მიწა არ არის? ჰერათი მეშჰეთისგან რითი განსხვავდება?

ნასროლაჰს ის უფრო უკვირდა, რომ თუ ეს ადამიანები თავიანთი სურვილით ტოვებდნენ საკუთარ ადგილებს, მაშინ გული რატომღა სწყდებოდათ, ან სინდისის ქენჯნას რატომ

საიდ ნაფისი[1] (1895-1966) – ცნობილი ირანელი მწერალი, პოეტი და პუბლიცისტი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელთა ნაწილი სუფიური შინაარსისაა. თარგმნილია მრავალ უცხო ენაზე. მოთხრობა „მშობლიური სახლი“ დაიწერა 1912 წელს.

განიცდიდდნენ; მათ ხომ წასვლას არავინ აიძულებთ, ხოლო თუ ადგილ-მამული ასე უყვართ, რატომ მიდიანო?

მოხუცი ჰერათელნი არწმუნდებდნენ, რომ სამშობლო მიწის სიყვარული განსაკუთრებული რამეა, რომ მათ ძალიან უყვართ ადგილ-მამული და ძალზე ეძნელებათ მასთან განშორება, მაგრამ ნასროლაჰი ყურსაც არ უგდებდა და კვლავაც დარწმუნებული იყო რომ მას უფრო უკეთესი აზრები ჰქონდა.

ერთ დღესაც ნასროლაჰი რომელიღაც წარჩინებულ მდიდარმა მიიწვია და უთხრა:

– ნასროლაჰ, შენ უკვე კარგა მოხუცებული ხარ, ვხედავ საქმისთვის ძალ-ღონე აღარ შეგწევს. მინდა მცირეოდენი პატივი გცე: მე ჰერათიდან მივდივარ, სახლ-კარი და ქალაქგარეთა ბაღჩა კი უპატრონოდ მრჩება, აღარც იყიდება, რადგან ბევრმა მიატოვა ქალაქი და მუშტარი აღარსადაა. მე მინდა ბაღჩა შენ ჩაგაბარო, უპატრონე მას და ისიც ლუკმა-პურს არ მოგაკლებს, სიცოცხლის მიწურულს თავის შესანახად აქეთ-იქით სირბილი და ჭაპანწყვეტა აღარ დაგჭირდება.

მართლაც, ნასროლაჰი ღრმად იყო მოხუცებული და ღმრთისგან ამგვარ მოწყალებასღა მოელოდა. რა თქმა უნდა, უარი არ უთქვამს, დაუყოვნებლივ შეკრა ბარგი-ბარხანა და ბაღჩისკენ გაემართა, იქ დასახლდა და მის მოვლას მიჰყო ხელი. ძველი დროების მსგავსად დილით ადრე იღვიძებდა, მთელი დღე ხეებს, ბუჩქებსა და ყვავილებს რწყავდა ან ძირებს უთოხნიდა, ხოლო როცა დაიღლებოდა, ბაღჩის შუაგულში პატარა მდინარის პირას ჯდებოდა და ფიქრებს ეძლეოდა, თან აქეთ-იქით იცქირებოდა და ამ ყველაფრის შემყურე გრძნობდა, როგორ უთბებოდა გული რაღაც ახალი, მანამდე განუცდელი სითბოთი.

ერთ დღესაც, წყლის პირას რომ იჯდა, ყურადღება მდინარის პაწია ქვებმა მოსტაცეს: ფერადი კენჭები როგორღაც ისე დალაგდნენ, რომ სახლის მოხაზულობა მიიღეს, ხოლო ორი-სამი ლამაზი ქვა ამ მოხაზულობის შიგნით აღმოჩნდა. მდინარის ნაკადი არ ასვენებდა მათ, ებრძოდა, ატრიალებდა, თითქოს ცდილობდა „სახლიდან“ გამოეძევებინა და თან წაეღო, მაგრამ ისინი წინააღმდეგობას უწევდნენ, ფსკერს ჯიუტად ეჭიდებოდნენ, ცდილობდნენ მდინარის ნებას არ დაჰყოლოდნენ და „მშობლიური სახლი“ არ დაეტოვებინათ. ვინც კი მათ თვალს მოკრავდა, ყველა ასე იფიქრებდა და ნასროლაჰიც ცოტა არ იყოს დააფიქრა ამ სურათმა.

ამასობაში დრო გავიდა, ინგლისელებმა ჰერათი დაიპყრეს და მთელი ქალაქი დაისაკუთრეს, გაქცეულთა ქონება ხელთ იგდეს და იმ ბაღჩასაც მიადგნენ, რომელიც ქალაქგარეთ მდებარეობდა.

რაღას იზამდა ნასროლაჰი, უნდოდა თუ არ უნდოდა, ბაღჩა უნდა დაეთმო, რადგან მას აქ აღარაფერი ესაქმებოდა და აღარც ამ ადგილს ესაჭიროებოდა დეჰყარეყანში მცხოვრები მოხუცის პატრონობა.

ნასროლაჰი იძულებული იყო ბაღჩა მიეტოვებინა, მაგრამ რაღაც ძალა აიძულებდა უკან დაბრუნებულიყო და ბაღჩის კარის ჭუჭრუტანიდან შიგნით შეეხედა. გრძნობდა, რომ მართალია კვლავაც უქონელი იყო, მაგრამ ამ ადგილის დატოვებაზე გული არ ემორჩილებოდა, ბაღჩის ხეები და ბუჩქები ენატრებოდა და ხანდახან ტიროდა კიდეც.

რაკი გასამრჯელოს აღარავინ იძლეოდა, ნასროლაჰი იძულებული შეიქნა კვლავ გზებზე ტვირთის ზიდვით ერჩინა თავი, მაგრამ ეს საქმე ახლა ისეთივე სარფიანი აღარ იყო, როგორც ორი თვის წინათ. მაშინ როცა სულ მცირე ხნის წინ არც მტერს და არც მოყვარეს ზედაც აღარ უყურებდა, ნასროლაჰი ახლა უკვე თვითეულ ახლადჩამოსულს ეხმარებოდა ბარგის გადატანაში, მაგრამ ამას ბოღმითა და ზიზღით აკეთებდა, ბევრჯელ უარიც განუცხადებია რაიმე ნივთის მიწიდან აღებაზე და რაიმე საბაბს ეძებდა ამისთვის, ზოგჯერ კი მათი დამტვრევა თუ დაგლეჯა-დაფხრეწა გაუვლიდა გულში. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ნასროლაჰი ფიქრობდა ეს სწორედ ამ ტვირთის პატრონებმა გამოაგდეს იგი ასე შეჩვეული ბაღიდან, ლამის იყო საკუთრად რომ მიაჩნდა.

ერთ დღესაც ნასროლაჰს იმ ბაღში გამავალი პატარა მდინარე და მის ფსკერზე სახლის ფორმის შიგნით მოქცეული ფერადი, ლამაზი კენჭები წარმოუდგა თვალწინ. გაახსენდა როგორ ეწინააღმდეგებოდნენ ისინი წყლის ნაკადს და როგორ ებრძოდნენ, მიუხედავად მოწოლისა როგორ ჯიუტად არ ტოვებდნენ დასაკუთრებულ ფსკერს და როგორ არ სურდათ შეჩვეული ადგილის დატოვება.

ამ ამბიდან ორი დღის შემდეგ ნასროლაჰი ჰერათში აღარავის უნახავს – ჯოხის კაკუნითა და მხარზე გამტვერიანებული ტომრით ის სადღაც გამქრალიყო, მაგრამ ორი თვეც არ გასულიყო, რომ დეჰყარეყანში ახალგაზრდები სწორედ ამგვარ მოხუცს ხედავდნენ, რომელიც დადიოდა და მამის – რაჯაბალის – სახლს კითხულობდა.

სამეცნიერო თარგმანი

გიორგი კახიშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგია
IV კურსი

ალექსეი ლოსევი

პლატონის უარყოფითი დამოკიდებულება ჰომეროსის მიმართ

ა) ყველაზე მეტად პლატონს ჰომეროსის პოეტური მოღვაწეობა აღელვებს.[1] მართალია, გამანადგურებელ კრიტიკას ჰომეროსისა მხოლოდ „სახელმწიფოს" მეათე წიგნში ვხვდებით, მაგრამ „სახელმწიფოშიც" კი ამ კრიტიკას მუდმივად ახლავს დამატებითი შენიშვნები ჰომეროსის ქმნილებათა სილამაზისა და მაღალმხატვრული ღირებულებების შესახებ. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ პლატონმა არც კი იცის, როგორ გაექცეს ჰომეროსს. მისი ერთობ მტკივნეული, ურთიერთსაწინააღმდეგო და კაპრიზული დამოკიდებულება ჰომეროსის მიმართ უმთავრესი პრობლემაა არა მხოლოდ პლატონური ესთეტიკისა, არამედ ანტიკური ესთეტიკისა სრულიად. ძველ სამყაროში არ ყოფილა ჰომეროსზე უფრო სახელოვანი პოეტი. მის პოემებზე მრავალი საუკუნის მანძილზე იზრდებოდა თაობები. სამაგიეროდ, არც პლატონზე ავტორიტეტული ფილოსოფოსი ჰყოლია საბერძნეთს, პლატონზე, რომელმაც, შეიძლება ითქვას, მიწასთან გაასწორა ჰომეროსი და საბოლოოდ მისი შემოქმედებიდან მხოლოდ ჰიმნები დაინდო (მათ აღარ მივაწერთ ჰომეროსს, რამდენადაც კარგად არ ვიცით ვინ იყო ჰომეროსი, არსებობდა თუ არა ასეთი ადამიანი საერთოდ. ჰომეროსის ჰიმნთა კრებულებს ბიზანტიურ ეპოქამდე ადგენდნენ და ავსებდნენ). აგრეთვე[2] დაინდო პლატონმა კეთილი ადამიანების მიმართ აღვლენილი ქებაც ჰომეროსის პოემებში.[3] ამრიგად, პლატონთან ჰომეროსზე არსებული დადებითი და უარყოფითი გამონათქვამები გვაიძულებენ ჩვენ მთელი ყურადღებით მოვუსმინოთ მათ და გავაკეთოთ სწორი დასკვნები მთელი პლატონური ესთეტიკისათვის.

ბ) უარყოფითი დამოკიდებულება ჰომეროსის მიმართ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ პლატონის ხუთი ძირითადი შეხედულების მიხედვით:

1) უპირველესად, ჰომეროსს, პლატონის აზრით, საერთოდ არ ესმის ის, რომ ღმერთი მარადიული და უცვლელია, რომ არ შეიძლება საუბარი ღმერთის სხვადასხვა გარეგნული იერით ხეტიალზე[4], პროთევსის სახეცვლილებებზე[5]. ღმერთები არ კანკალებენ ჰადესის

---

[1] მოცემულ სტატიას წინ უძღვის მსჯელობა პლატონის დამოკიდებულების შესახებ ე.წ. მითიური პოეტების მიმართ (А.Ф. Лосев: История античной эстетики. Высокая классика. том III. 1974.). ლოსევი გულისხმობს, რომ ამ შემთხვევაში სხვა პოეტთა ქმნილებანი პლატონს ნაკლებად აინტერესებს.

[2] ადგილები, რომელსაც ლოსევი და თავად პლატონი გულისხმობენ, მოგვაქვს „ილიადიდან" (რომან მიმინოშვილის თარგმანი) და „ოდისეადან" (პანტელეიმონ ბერაძის თარგმანი).

[3] „ჰომეროსი ყველაზე დიდი შემოქმედი და ტრაგიკოსთა შორის პირველი პოეტია, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ ჩვენს სახელმწიფოში მისაღებად მიგვაჩნია მხოლოდ ღმერთებისადმი მიძღვნილი ჰიმნები და კეთილშობილ კაცთა სახოტბო სიმღერები" – პლატონი, „სახელმწიფო" (ბ. ბრეგვაძის თარგმანი).

[4] „ზოგჯერ ღმერთები, მოგზაურებს მიმსგავსებულნი,
სახეშეცვლილნი მიმოდიან ჩვენს ქალაქებში" (Od. XVII, 485-487).

[5] „ჯერ გადაიქცა ფაფარაყრილ, მძვინვარე ლომად,
შემდეგ ვეშაპად, მერე ჯიქად, ვეება ტახად,
მგზნებარე ცეცხლად, მჩქეფარ წყაროდ, დატოტვილ ხედაც" (Od. IV, 455-458).

შიშით[6]. პლატონი აღშფოთებულია ჰომეროსის მონათხრობით ზევსის ფეხებთან ორი, სიკეთითა და ბოროტებით სავსე სათავსოს არსებობის შესახებ, სათავსოების, რომლებიც საშუალებას აძლევენ ღრუბელთმეუფეს ზოგიერთ ადამიანს სიკეთე გაუგზავნოს, ზოგიერთს კი – ბოროტება[7]. პლატონის მიხედვით, ღმერთებს მხოლოდ სიკეთის გამოგზავნა შეუძლიათ, ბოროტებისა კი – არა. ყველა მსგავსი მონათხრობი ჰომეროსთან არა მხოლოდ დამამცირებელია ღმერთთათვის, არამედ იმაზეც მიუთითებს, რომ ჰომეროსი სრულიად გაუცნობიერებელია ღმერთების არსში. ყოველი მსგავსი ეპიზოდი რყვნის ახალგაზრდებს და მათ აზროვნების ყველაზე დაბალ საფეხურს უქმნის.

2) შემდეგ, პლატონი არა მხოლოდ ჰომეროსის მიერ ღმერთების არსის გაუცნობიერებლობითაა აღშფოთებული, არამედ მისი ხშირი მონათხრობებით ღმერთებისათვის შეუფერებელ ქმედებათა და მათი ცალკეული ქცევების შესახებ. არ შეიძლება მოუთხრო ბავშვებს, არც ალეგორიულად და არც ალეგორიის გარეშე, ისეთი სამარცხვინო მითების შესახებ, როგორიცაა ჰერას მოსათვინიერებლად ზევსის მიერ მისი შებორკვისა და ზეციდან გადმოკიდების მითი[8], ან ჰერას გათავისუფლებისათვის ჰეფესტოს ლემნოსზე დანარცხების მითი[9], ან პანდაროსის წაქეზების ამბავი ზევსისა და ათენას მიერ[10], ან არესისა და აფროდიტეს სამარცხვინო რომანის ამბავი[11]. პლატონი უკმაყოფილოა ცნობილი „ღმერთების ბრძოლით“ ჰომეროსთან, განსაკუთრებით კი იმით, რომ ღმერთების წინასწარი თათბირი მოწვეულია ზევსისა და თემისის მიერ. არაფრად ვარგა ზევსის თავშეუკავებელი ქცევის აღწერა იდას მთაზე ჰერასთან შეხვედრისას. ღმერთებს არ შეუძლიათ თავშეუკავებლად იცინონ ჰეფესტოსის ხუმრობებზე[12], ისევე, როგორც ზევსს არ შეუძლია გოდებდეს ჰექტორისა[13] და სარპედონის[14] ბედზე, ან თეტისსა და მის დებს – აქილევსისაზე[15]. ზევსს არ შეეძლო გაეგზავნა მაცდური სიზმარი აგამემნონისთვის. პლატონის მიხედვით, ჰომეროსს არ ჰქონდა უფლება ემტკიცებინა, რომ შეიძლება ღმერთების დაყოლიება, რადგან ეს სხვა არაფერია, თუ არა ქრთამის მიცემის გამართლება[16].

3) მწვავედ აკრიტიკებს პლატონი აგრეთვე ჰომეროსის დამოკიდებულებას ჰადესის მიმართაც. პლატონი უკმაყოფილოა იმით, რომ ჰადესში გონება მხოლოდ ტირესიასს აქვს შერჩენილი, დანარჩენი სულები კი აჩრდილებივით დაფრინავენ – ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება მიუღებელი, როცა ჰომეროსი ამ წრიპინა სულების ფრენას ღამურების ფრენას ადარებს. არ შეიძლება სულების სიცოცხლისმიერი ენერგიის უარყოფა ჰადესში, განსაკუთრებით კი იმის თქმა, რომ აქ მოხვედრილი პატროკლოსის სული სიმაგრესაც ჰკარგავს და ახალგაზრდობასაც[17]. ან, რომ სული ისე მიდის მიწაში, როგორც კვამლის ბოლქვი. ძალიან ცუდია,

---

[6] „საზარი მღვიმე, თვით ღმერთებსაც რომ აცახცახებთ“ (Il. XX, 65)

[7] „კრონიდის ზღურბლთან ძღვენით სავსე ორი ყუთი დევს,
ერთი ბედნიერთ მიეცემა, მეორე ბედკრულთ“ (Il. XXIV, 525-533).

[8] „ნუთუ არ გახსოვს, ვით ეკიდე ზეცად? ფეხებზე
ორი ბორკილი გედო, ხელზე – გაუწყვეტელი
ოქროს ხუნდები. ეთერსა და ღრუბელთა შორის
ცად ქანაობდი...“ (Il. XV, 16-24).

[9] „აკი ერთხელაც გულაღგზნებულს მოსაშველებლად,
ფერხთ ხელი მტაცა, გადამტყორცნა ზეცის ღრუბლიდან:
მთელი დღე სწრაფად ძირს მივქროდი და მზის ჩასვლის ჟამს
ღვთაებრივ ლემნოსს დავენარცხე, ძლივს დამყვა სული“ (Il. I, 590-594).

[10] „სწრაფად ეწვიე ტროელთა და აქაველთ ბანაკს,
ისე მოიქეცი, რომ ტროელებს დაარღვევინო
პირველად ფიცი, აქაველთა გასაწბილებლად“ (Il. IV, 70-104).

[11] იხილეთ: Od. VIII, 265-344.

[12] „ცის ნეტარ ღმერთებს აუვარდათ სიცილ-ხარხარი,
როცა ჰეფესტო თასით ხელში დაკელანობდა“ (Il. I, 599-600).

[13] „ვაგლახ, საყვარელ ვაჟკაცს ციხე ქალაქის ახლოს
ვხედავ ოტებულს, ჩემი გული დარდმა განმსჭვალა!“ (Il. XXII, 167-176).

[14] „ვა-ვაი! ვხედავ, რომ სარპედონს, გმირს უძვირფასესს,
პატროკლეს ხელით უწერია დღეს დამარცხება“ (Il. XVI, 433-438).

[15] აქ, შეიძლება ითქვას, რომ პლატონი შეცდომას უშვებს, რადგან თეტისი დასტირის აქილევსის ბედს, როგორც დედა შვილის ბედს და არა როგორც ღმერთი მოკვდავისას.

[16] „ღმერთსაც, მორჩილი აღთქმით, ზორვით, გუნდრუკის კმევით,
წმიდა ზედაშით გულს მოულბობს ხოლმე მლოცველი“ (Il. IX, 497-501).

[17] „ჩუმად გაფრინდა სხეულიდან სული ჰადესში,
ბედს დასტიროდა, გამქრალ ძალას და სიჭაბუკეს“ (Il. XVI, 855-857).

რომ აქილევსს ურჩევნია იყოს ღარიბი კაცის მოჯამაგირე, ვიდრე სულებზე იმეფოს ჰადესში[18].

4) პლატონი ჰომეროსის მიერ გმირთა გამოსახვის პრინციპსაც უარყოფს. არ შეიძლება აქილევსი და აგამემნონი ასე უშვერად ლანძღავდნენ ერთმანეთს[19]. აქილევსი არ შეიძლება იყოს ფოინიქსის გავლენის ქვეშ, რომელიც მას ბრძოლაში დაბრუნების სანაცვლოდ აგამემნონის ძღვენს სთავაზობს[20]. აქილევსი არც შლეგურ ისტერიკას უნდა ეძლეოდეს პატროკლოსის სიკვდილის გამო[21]. მას არ უნდა დაებრუნებინა ჰექტორის ცხედარი ძღვენის სანაცვლოდ[22], არ უნდა წაებილწა იგი (ჰექტორის ცხედარი)[23], არ უნდა შეეწირა ტროელი მეომრები მსხვერპლად პატროკლოსისათვის[24]. არ შეიძლება აქილევსი ასე კადნიერად ეურჩებოდეს ქსანთოს, მდინარეს, რომელიც ღმერთია[25] და სპერქეიოსს. მით უმეტეს არ შეეძლო აქილევსს ასე არაღვთისმოსავურად და ღვარძლიანად ესაყვედურა აპოლონისათვის და დამუქრებოდა მას[26]. და საერთოდ, პლატონის აზრით, აქილევსი არ შეიძლება იყოს ასეთი ძუნწი და ანგარებიანი, ასეთი მზვაობარი ღმერთებისა და ადამიანების მიმართ[27]. აქილევსის ამგვარ სახეს პლატონი, შეიძლება ითქვას, ნელ-ნელა აძევებს ჰომეროსის შემოქმედებიდან და საერთოდ პოეზიიდან. პრიამოსი, დაბადებით ღმერთებთან ახლოს მყოფი მეფე, ასე არ უნდა იმცერებდეს თავს აქილევსის, სხვა ბერძნებისა და ტროელების წინაშე. პოეტმა სტესიხოროსმა, რომელმაც ერთხელ ელენე განიკითხა და ამისათვის დაბრმავდა, შემდგომში ეს შეინანა ელენეს ქებისას, ამიტომაც დაუბრუნდა მხედველობა, ჰომეროსი კი როგორი ბრმაც იყო, ისეთივე დარჩა[28].

---

[18] „მერჩივნა გლეხად ვყოფილიყავი, მოჯამაგირედ,
ვინმე საწყლისა, ლუკმა პურის მონატრებულის,
ვიდრე ვმეფობდე ყველა აქ მყოფ მიცვალებულთა“ (Od. XI, 488-491).

[19] „მშიშარავ, ირმისგულიანო, ძაღლისთვალებავ,
მემთვრალევ, ლოთო! არ აგისხამს თორნ-მუზარადი
და სანგარშიაც არასოდეს ჩასაფრებულხარ
ლაშქართან ერთად, სიკვდილივით შიშს გგვრიდა ბრძოლა...“ (Il. I, 225-244).

[20] „რომ არ ეძლია ახლანდელი და მერმინდელი
ესოდენ ბევრი ძღვენი ატრიდს, ბოღმას დამღუპველს
რომ არ დახსნოდა, არც მე გთხოვდი რისხვის დაცხრობას“ (Il. IX, 515-520).

[21] „მოყმე მოიცვა მწუხარების შავმა ღრუბელმა,
ხელი წაავლო მეყვსეულად მტვერსა და ნაცარს,
თავზე იყარა, მშვენიერი თმები წაბილწა,
ლაფში მოსვარა სამოსელი სურნელოვანი“ (Il. XVIII, 22-25).

[22] „ძმაო პატროკლევ, ნუ დამძრახავ, პირქუშ ჰადესში
თუ ხმა მოგწვდება, ღვთაებრივი ჰექტორის გვამი
რომ დავუბრუნე მამას! დიდი საზღო გაიღო
და შენ ზვარაკად შემოგწირავ წილს იმ განძიდან!“ (Il. XXIV, 592-595).

[23] „ქუსლში კოჭამდე გაუყარა ღვედები და ეტლს
მიაბა გვამი, დარჩა თავი დაბლა სათრევად.
ეტლზე დადგა და საჭურველი აჩვენა ლაშქარს.
მათრახი დასცხო ცხენს, გაფრინდნენ მორჩილნი რაშნი.
გათრეულ ცხედარს მტვერი ადგა სვეტად, მიწაზე
მისრიალებდა შავი თმები. თავს ხათქა-ხუთქი
გაუდიოდა...“ (Il. XXII, 395-405).

[24] „ვასრულებ რისი აღთქმაც მოგეც, ძმაო პატროკლევ!
შენს სამარესთან თორმეტ რჩეულ ტროელ მეომარს
კოცონი შთანთქავს...“ (Il. XXIII, 180-182).

[25] „...ხოლო აქილევსი ციცაბო ნაპირს
მოსწყდა, მორევში გაერია. ტალღა ადუღდა
ძირის ძირამდე, გააქანა ტროელთ გვამები
პელიდს ცხედრებით ამოევსო წიაღი წყლისა“ (Il. XXI, 235-238).

[26] „როგორ მაცდუნე, ღმერთთა შორის უბოროტესო!
ციხიდან ველზე გამიტყუე, კვლავ ბევრი მოყმე
მიწას დაღრღნიდა, სანამ კოშკში შეიჭრებოდა.
მე შენ დიდება გამომტაცე, ხოლო ტროელნი
უშრომლად იხსენ, შურისგების შიშიც არა აქვთ.
სამაგიეროს, რომ შემეძლოს, გიზღავდი კიდეც!“ (Il, XXII, 15-20).

[27] იხილეთ: Il. XXI, 183-199.

[28] ციტატა პლატონის „ფედონიდან“.

5) პლატონი თავს ესხმის ცხოვრებისეულად სრულიად გამოუსადეგარ და შეიძლება ითქვას, ღრმად მავნე ხასიათს ჩვეულებრივი, მოკვდავი ადამიანების აღწერისას ჰომეროსთან. ჰომეროსს არ აუშენებია ქალაქები და არ შეუქმნია კანონები, ასე რომ, ამ კუთხითაც, ხალხმა მისგან სასარგებლო ვერაფერი მიიღო. ჰომეროსს შეეძლო კარგად აღეწერა ბრძოლა, მაგრამ იგი მხედართმთავარი არ ყოფილა და ამ გაგებით, მისი მოღვაწეობა ხალხისათვის აგრეთვე უსარგებლოა.

ის არავითარი ბრძენი და სასარგებლო ხელოვნებათა ოსტატი არ ყოფილა. მას არ შეეძლო თუნდაც ერთი მოქალაქე აღეზარდა[29]. არ არსებობს არანაირი ჰომეროსისეული ცხოვრების წესი, როგორც, მაგალითად, არსებობს პითაგორასეული ცხოვრების წესი. ჰომეროსთან ადამიანის სამართლიანობაზე სხვათა მონათხრობიდან ვიგებთ და არა თავად ამ ადამიანის სამართლიანობის არსისგან[30]. სამართლიანობას არ სჭირდება არანაირი ჯილდო, არც სახელ-დიდება, როგორც ჰომეროსი და ჰესიოდე ირწმუნებიან, რადგან მას თვითკმარი მნიშვნელობა აქვს. ცუდად ამბობს ჰომეროსი აგრეთვე იმასაც, რომ შიმშილით სიკვდილი ყველაზე საშინელი სიკვდილია[31]. ჰომეროსისეული აღწერა დიდებული საკვებისა ახალგაზრდებს ცუდ ჩვევებსა და თავშეუკავებლობას მიაჩვევს.

გ) ჰომეროსის მიმართ პლატონური კრიტიკის შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ პლატონი ჰომეროსს უმთავრესად შემდეგი მიზეზით საყვედურობს: მხატვრული სახეების შექმნისას ჰომეროსი ვერ ასხვავებს ერთმანეთისაგან შექმნილის არსსა და სახეს[32]. სწორედ ამის გამოა, რომ ჰომეროსი ქმნის ბევრ სრულიად მიუღებელ მხატვრულ სახეს, რომელსაც არა მხოლოდ უნდა შევებრძოლოთ, არამედ პირდაპირ გავაძევოთ განათლებული ადამიანის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების გონებიდან.

აქედან: ა) ლოგიკის თვალსაზრისით ჰომეროსის გამოსახულებები ცრუ და ურთიერთ-საწინააღმდეგოა, ბ) მორალის თვალსაზრისით ისინი უზნეო და დამღუპველია, გ) საზოგა-დოებრივი და განსაკუთრებით დ) პედაგოგიური თვალსაზრისით ისინი რყვნიან და ხრწნიან, ე) მხატვრულობის თვალსაზრისით ისინი ყალბია და უგემოვნო და საბოლოოდ ვ) რელიგიური თვალსაზრისით ისინი მკრეხელურია და ღვთის მგმობი, დაფუძნებული ზეციური ღმერთების, მიწისქვეშეთის ღმერთებისა და გმირების კადნიერ და არეულ-დარეულ გაგებაზე.

პლატონური კრიტიკის ასეთი შემაძრწუნებელი დასკვნა, რარიგ გასაოცარიც არ უნდა იყოს, არანაირად არ ეწინააღმდეგება პლატონისათვის ჰომეროსის შემოქმედების უმაღლეს საერთო მხატვრულ შეფასებას, რომელსაც ის საკმაოდ ხშირად და შეგნებულად უსვამს ხაზს.

---

[29] იგულისხმება, რომ გამოთქმა „ჰომეროსზე თაობები იზრდებიან“ მცდარია.

[30] იგულისხმება, რომ პერსონაჟთა ღირსებებზე არ მეტყველებენ მათი ქმედებები.

[31] იხილეთ: Od. XII, 341-342.

[32] ეს ადგილი დედანშიც მეტად ბუნდოვანია. ვითვალისწინებ რა პლატონის იდეათა თეორიას, ვფიქრობ, ლოსევი გულისხმობს, რომ პლატონის აზრით, ჰომეროსი ვერ ახერხებდა სწორად გადმოეცა იმ საგნის, მოვლენის, ღმერთისა თუ ადამიანის არსი, რომლის აღწერასაც ცდილობდა.

პუბლიცისტიკა

ESE

ნინო ჭინჭარაული

ინგლისური ლიტერატურა
მაგისტატურის II კურსი

ბოდლერი და პო

თუკი შევეცდებით დავასახელოთ მწერალი, რომელიც ყველაზე უფრო სახასიათო, განსხვავებული შემოქმედებით გამოირჩევა, მაშინ უპირობოდ უნდა დავასახელოთ ედგარ ალან პო. პოს იმდენად გამორჩეული ესთეტიკა ახასიათებს, რომ შეუძლებელია მისი მოთხრობა თუ ლექსი, ერთი თვალის გადავლებით ვერ იცნო, ან სხვა რომელიმე მწერლის ნაწარმოებში აგერიოს. გოთიკურის, მოქუფრულის, მუდმივად რაიმე საზარისა, თუ გროტესკულის მოლოდინში დაძაბული მკითხველი, საოცარ მიჯაჭვულობას განიცდის მისი ნაწარმოებისადმი. თითქოს, სადღაც ბოლოში, სულ ერთი პატარა სიტყვა გაფანტავს ფოსფორისებრ ნისლს, მძიმე ძოწისფერ საბურველს ახდის და, აი, მკითხველიც შეიმეცნებს ჭეშმარიტებას, გააკეთებს დასკვნას, რომელსაც ასე სულმოუთქმელად ელოდა. თუმცა, სინამდვილეში მკითხველი იმედგაცრუებული რჩება. სულერთია „ყორანს“ წავიკითხავთ, თუ „აშერების დაცემას“, ე.წ. დედაზრს, მთავარ სათქმელს ვერ ჩავწდებით. ამის მიზეზი კი, ალბათ ის არის, რომ მთავარი სათქმელი განზრახვაშივე მეორეხარისხოვანია, ან უგულებელყოფილი. მთავარი ედგარ ალან პოს შემოქმედებაში ესთეტიკური მხარეა, რომელიც ძალიან დიდ ემოციურ გავლენას ახდენს მკითხველზე. სწორედ ეს ესთეტიკური მხარე და, ზოგადად, მთლიანად პოს შემოქმედება, ალბათ, ყველაზე უკეთ და ყველაზე ადრე შარლ ბოდლერმა გაიაზრა. მოცემული ესეც არის ერთგვარი ანალიზი ბოლდერის იმ ესეებისა, რომელშიც იგი პოს შემოქმედებას განიხილავს.

ედგარ პოზე საუბრისას, აუცილებელია ის ისტორიულ-სოციალური კონტექსტი დავინახოთ, რომლის ფონზეც მოუწია მას ცხოვრება და წერა. ედგარ პოსა და მის თანამედროვე ამერიკას შორის უზარმაზარი სააზროვნო უფსკრულია. ამგვარად ახასიათებს ბოდლერი თავის ესეში ამერიკას: „The mob of buyers and sellers, that nameless creature, that headless monster, that outcast on the other side of the ocean...“. ახლადდაბადებული სახელმწიფო, სადაც მთავარი ფულის შოვნა და ყაირათიანობაა. ყალბი მორალის მქონე ვიქტორიანული სულით გაჟღენთილი გარემო. თუ თავად პოს სიტყვებს დავესესხებით: „თუ პარიზელი ქალის საფულე მხოლოდ მის ფულს ინახავს, ამერიკელი ქალის საფულე იმდენად დიდი უნდა იყოს, რომ მისი ფულიც დაიტიოს და სულიც“. პოს ამ ირონიულ სიტყვებში ზუსტად გამოსჭვივის ამერიკული მატერიალიზმი. ამას ყოველივეს თან ერთვოდა ადამიანთა ღრმა რწმენა პროგრესისადმი. თუმცა ბოდლერი იზიარებს პოს აზრს პროგრესის სიყალბის შესახებ. იგი ამბობს შემდეგს: „Progress (in so far there is progress) perfects sorrow at the same extant that is refines pleasure...“, „A progress always negating itself.“

სწორედ ამ ფასეულობებით გამსჭავლული საზოგადოების ფონზე პომ თავის შემოქმედებით განაცხადა, რომ ადამიანის ბუნება ბოროტებით არის აღსავსე. მისტიური ძალა, რომელიც განაპირობებს აღტაცებას და მისწრაფებას საშიში უფსკრულებისკენ, განსაზღვრავს ადამიანის აუხსნელ ქმედებებს და აქცევს მას ერთდროულად მკვლელად, თვითმკვლელად და ჯალათად. ძალას, რომელიც მარტივი და შეუქცევადია, ბოდლერი გარყვნილებას უწოდებს. გარყვნილებაში არა სექსუალური მისწაფება იგულისხმება, არამედ ის, რომ ადამიანი ბოროტებისგან დაღდასმული იბადება და შესაბამისად მას აქვს შინაგანი სწრაფვა სიმდაბლისა თუ სისასტიკისკენ. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის უმიზეზო მკვლელობები და შემაძრწუნებელი ამბები, რომლებიც პოს მოთხრობებში უხვად გვხდება („The fall of the Usher“, „Tell-tale heart“, „The black cat“, „The cast of Amontiliado“, etc.) შარლ ბოდლერის თქმით, ბუნებას მხოლოდ მონსტრები შეუძლია შვას, თუმცა, იგი ამ სიველურეს თავისთავად ცუდ ფენომენად არ მიიჩნევს, პირიქით, იგი უპირისპირებს მას ე.წ. ცივილიზებულ ადამიანის სახეს. ველური (savage) მისთვის არის ერთგვარი გამოსახულება

ნატურალური ადამიანისა, რომელიც სავსეა სიმამაცით, ჰეროიზმით, პოეტურობით, მელანქოლიით. მასში რაღაც სულიერი, მისტიური და ამავდროულად საშიში ბუდობს. მაშინ, როცა ცივილიზებული ადამიანი დაცლილია ამ სისავსისაგან, შინაარსისაგან.

ალბათ ყოველივე ამის გააზრება უნდა იყოს ედგარ ალან პოს ესთეტიკის პირველწყარო. ალბათ აქედან იბადება პოსეული მელანქოლია, რომელიც ატმოსფეროსავით გარს ერტყმის საშიშსა და გროტესკულ სიკვდილს, რომელზეც შეგვიძლია „ვიცინოთ"; სიკვდილს, რომელიც კარლ ჰუისმანის აზრით, არა იმდენად გარდაცვლილთა ტანჯვას ასახავს, რამდენადაც უფრო გადარჩენილთა აგონიას. როგორები არიან პოს პერსონაჟები? – ბოდლერის აზრით, მათ იმდენად ახლო შინაგანი კავშირი აქვთ მწერალთან, რომ კოლექტიურად ყველა პესრონაჟს „პო" შეგვიძლია ვუწოდოთ. ჭკვიანი, მშვიდი, ინტელექტუალი ფერმკრთალი მთავარი გმირები, რომლებსაც ამავდოულად შეშლილი ფსიქიკა აქვთ. მათი სულიერი სამყარო ერთგვარად კარავაჯოს ნამუშევრებს გვაგონებს, რომლებშიც ასე ნათლად გამოსჭვივის ადამიანის თანდაყოლილი და თითქოს მიძინებული შეშლილობა. პოს პერსონაჟები შინაგანად მუდმივად კატასტროფისკენ მიისწრაფიან და თან მათი მოქმედება მუდმივად იმქვეყნიურისა და ამქვეყნიურის მიჯნაზე ხდება.

იმისათვის, რომ ყოველივე ეს მხატვრულად გადმოსცე, აუცილებელია უკიდეგანო წარმოსახვის უნარი. წარმოსახვა კი, ბოდლერის თქმით, ისეთი რამ არის, რაც მყისიერად შეიმეცნებს ანალოგიებსა, თუ შესაბამისობებს ყოველგვარი ფილოსოფიური მეთოდებისა და საიდუმლო მიმართებების გარეშე. იგი იქვე დასძენს, რომ წარმოსახვა ყველაზე ძვირფასს (თუმცა არა ყველაზე მდიდარ) მოსავალს სწორედ იქ იმკის, სადაც ედგარ პოს შემოქმედება სრული სისავსით ვლინდება – მოთხრობა და პოეზია.

ბოდლერის აზრით, მოთხრობას ძალიან დიდი უპირატესობა აქვს რომანთან შედარებით. პირველ რიგში ეს გამოიხატება მისი სიმოკლით, რაც ზრდის მოთხრობის ემოციურ-ესთეტიკურ ეფექტს. მოთხრობის წაკითხვა ერთ გარემოში ერთი „ჩაჯდომით" არის შესაძლებელი, მაშინ როცა რომანის კითხვისას ყოფითი ცხოვრება გვაიძულებს შევწყვიტოთ კითხვა. ბოდლერი ამბობს, რომ სწორედ მოთხრობის ერთბაშად წაკითხვისას ადამიანის გონებაში რჩება ერთიანი ძლიერი შთაბეჭდილება. ეფექტის მთლიანობა კი განსაკუთრებული უპირატესობაა. ბოდლერი იმავე მიმართებას ხედავს ლექსსა და ეპიკურ პოემას შორის. მისი აზრით, ეპოსი არასრულყოფილი ხელოვნების შედეგია. იგი ეპოსს არტისტულ ანომალიას უწოდებს. ბოდლერის ეს შეხედულება განვითარდა პოს ესედან „პოეტური პრინციპები" („Poetic Principles"). ამ ესეში პო ამტიცებს, რომ ცნება გრძელი ლექსი (long poem) ურთიერთგამომრიცხავი, ანუ ოქსიმორონია. თუმცა, ამავდოულად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოდლერი მეტისმეტად პატარა ლექსსაც, რომელიც მოკლებულია ფაბულას, დეფექტურად მიიჩნევს. პატარა ლექსი, რაც არ უნდა ძლიერი ესთეტიკური ეფექტი ჰქონდეს, არ მიჰყვება დიდხანს მკითხველს: „It is like a seal which placed too lightly and too hastily, has not had time to imprint its image on wax." პოს პოეზიას თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მისი ლექსი არც მეტისმეტად გრძელია და არც იმდენად მოკლე, რომ ფაბულას იყოს მოკლებული. თუმცა, იგი არ გვიყვება ეპიკურ ამბავს, პირიქით, პოს ლექსებს წმინდა ლირიკული ხასიათი აქვს, რომლებიც ძლიერ ესთეტიკურ ხატებებს ქმნიან.

გარდა ამისა, ბოდლერის აზრით, არსებობს კიდევ უფრო დიდი ერესი პოეზიაში, ვიდრე ლექსთა სიგრძე-სიმოკლეა. იგი მას ჭკუის სწავლების ერესს ეძახის. ჭკუის სწავლებას კი გარდაუვალად მოსდევს ჭეშმარიტებისა და მორალის ვნება. ბოდლერის თქმით, ბევრ ადამიანს სჯერა, რომ პოეზიის, და აქ დავამატებდი ზოგადად ლიტერატურის, ფუნქცია ზნეობის სრულყოფა, სინდისის განმტკიცება, ანდა რაიმე სარგებლობის მოტანაა ადამიანის ყოფისთვის. ჭეშმარიტად კი, ამბობს ბოდლერი, პოეზიის მიზანი არაფერია გარდა თავად პოეზიისა. იგი უარყოფს იმ აზრს, რომ პოეზიის კითხვას ადამიანისთვის შედეგი არ მოაქვს. სინამდვილეში პოეზიის კითხვის შედეგად ადამიანმა სოციალური პრობლემების გადაჭრის გზები კი არ უნდა იპოვოს, არამედ იგი უნდა ამაღლდეს ყოფიერებაზე, რაღაც სხვა არაამქვეყნიურს უნდა ეზიაროს. ბოდლერის აზრით, პოეზიას ერთადერთი ობიექტი აქვს – თავად პოეზია. ხელოვანი კი იმდენად არის ხელოვანი, რამდენადაც მას, ერთი მხრივ, მშვენიერების, ხოლო მეორე მხრივ სიმახინჯის გამორჩეული შეგრძნება აქვს და ამავდროულად აცნობიერებს, თუ რამდენად არის ეს ორი ცნება ერთმანეთთან გადაჯაჭვულ-გადახლართული.

ბოდლერის აზრით, პოეზიის მეშვეობით ადამიანმა უნდა განჭვრიტოს ის, რაც საფლავის მიღმაა. ეს კი დიდ ემოციებს იწვევს. ეს გრძნობა კი, არა განსაკუთრებული სიამოვნების ნიშანია, არამედ, ნიშანია მელანქოლიისა, რომელიც გამოწვეულია ამქვეყნიური სილამაზით დანახულ სამოთხისეული მშვენიერებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის მიახლოება იმ მდგომარეობასთან, რასაც სული შეიძლება განიცდიდეს სამოთხეში.

და ბოლოს, ბოდლერის თქმით, პოეზიის ჭეშმარიტი მისწრაფება ისეთი მშვენიერების და აღტაცების ჩვენებაა, რომელიც დაცლილია ვნებისაგან, რაც წამლავს გულს და ჭეშმარიტებისაგან, რაც არის გონის, რაციოს საწყისი.

ბოდლერი ამგვარად ხსნის პოეზიის არსს, რომლის საუკეთესო გამოვლინებად ედგარ ალან პოს მიიჩნევს. პოს პოეზია არც ბაირონივით ბობოქარია, არც ტენისონივით ჰარმონიული მელანქოლიით აღსავსე. პოს პოეზია ღრმა, მისტიური, სიზმრისა და რეალობის ზღვარზე მოლივლივეა.

სამწუხაროდ, ედგარ ალან პო იმ ხელოვანთა რიცხვს განეკუთვნება, რომლის ნიჭიერება მისმა ეპოქამ და ქვეყანამ ვერ გაიაზრა. მას მუდმივად აკრიტიკებდნენ. მისი თანამედროვე კრიტიკოსები ერთგვარად გულდაწყვეტილი ტონით აღნიშნავდნენ, რომ პო არ იყენებდა თავის ნიჭს საზოგადოებაში ეთიკის ნორმების განსამტკიცებლად და საერთოდ, მისი მწერლობა არ ემსახურებოდა სასარგებლო საზოგადებრივ საქმიანობას. ალბათ ამ კრიტიკოსებს ისიც აღიზიანებდათ, რომ პო თავისი ბუნებით არც იყო და ტრაგიკული ცხოვრებიდან გამომდინარე, კიდევ უფრო მეტად ვერ შედგა „ღირსეულ“, მარიფათიან, ვიქტორიანული ეპოქის საქმიან ჯენტლმენად. მორალისტებმა მის დასაფლავებაზეც კი არ გაუშვეს შესაძლებლობა ხელიდან მისთვის მორალის გაკვეთილები ჩაეტარებინათ. თუმცა, ეს მორალისტ-კრიტიკოსები დღეს არავის ახსოვს. ბოდლერის ძალიან დიდი დამსახურებით კი, მსოფლიო ლიტერატურა ედგარ ალან პოს იცნობს, როგორც ერთ-ერთ უდიდეს გენიოსს. უფრო მეტიც, პო სწორედ ის მწერალია, რომელმაც ყველაზე დიდი გავლენა იქონია მისი შემდგომი თაობის მწერლებზე. პოლ ვალერის თქმით, „მკვლელობა მორგის ქუჩაზე“, „ლიგერია“ და ა.შ. ის მოდელებია, რომლისთვისაც უამრავჯერ მიუბაძავთ, გულდასმით შეუსწავლიათ, მაგრამ ვერადროს უჯობნიათ. ამის მიზეზი კი ალბათ ის არის, რომ პოს შემოქმედების სამიზნე წმინდად ესთეტიკა იყო. მისმა ლექსებმა თუ მოთხრობებმა სრულიად შეცვალეს ადამიანის წარმოსახვა. ეს კი იმან განაპირობა, რომ პოს ჰქონდა უნარი შეექმნა სრულიად ახალი ლიტერატურული ფორმები, მათ შორის პოლ ვალერი ასახელებს ოთხს: სამეცნიერო მოთხრობა, დეტექტივი, ის, რასაც პოლ ვალერი კოსმოგონიურ პოეზიას უწოდებს და მოთხრობები, რომლებშიც ადამიანის საზარელი ფსიქიკა არის წარმოჩენილი. თითოეული მისი ნაწარმოები კი ინტელექტის იმ ხარისხს ასხივებს, რომლის მოძებნაც შეუძლებელია სხვა ლიტერატურულ კარიერებში.

სალომე თალაკვაძე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგია
IV კურსი

კლასიკური პერსონაჟის დეკონსტრუქცია

(ილია ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარიძის სახე აკა მორჩილაძის „წიგნში“)

აკა მორჩილაძე კრებულ „წიგნში“ ერთგვარ „საყრდენად“ იყენებს ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!“ ტექსტს და ახლებურად წარმოგვიდგენს მე-19 საუკუნის ქართველი თავადის ტიპურ სახეს. ეპოქა დიდწილად განაპირობებს ლიტერატურული ტექსტების ფორმირებას. თათქარიძეთა სახეების შექმნისას, ილია ჭავჭავაძეს კონკრეტული მიზანი ჰქონდა, ქართველებისათვის დაენახებინა მათი მანკიერი თვისებები და გამოეფხიზლებინა ისინი. ამისთვის იგი სატირასაც მიმართავს. „ტკბილად და აუმღვრევლად მიდიოდა ამ ორთა უმანკო სულთა უბოროტო ცხოვრება ამ წუთის-სოფელში, რომელმაც ისე არაფერი არ იცოდა ამათის ვინაობისა, როგორც ამათ არა იცოდნენ-რა, ჭამა-სმის გარდა, ღვთისაგან განაჩენი ამ მუხანათის წუთის-სოფლისა.“ – წერს ილია ჭავჭავაძე.

პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში აღარ არის საჭირო ცალკეულ ტექსტთა მხატვრული მთლიანობისა და ჩანაფიქრთან ერთიანობის შენარჩუნება, დასაშვებია მათი ფრაგმენტირება. ნაწყვეტი „წიგნიდან“ სულ რამდენიმე გვერდს მოიცავს, რომელშიც ამოსავალი წერტილი დარეჯანის სიკვდილია. ავტორს აღარ მიაჩნია საჭიროდ მთელი ისტორიის მოყოლა, რადგან კონკრეტული ამბიდან გამომდინარეც კარგად იკვეთება ადრინდელი და გვიანდელი თათქარიძეების ხასიათის მთავარი განმასხვავებელი შტრიხები.

აკა მორჩილაძე „კაცია-ადამიანიდან“ გარკვეული დეტალების გადმოღებით ქმნის ცოლ-ქმრის განსხვავებულ სახეს. სწორედ ჭეშმარიტი გრძნობაა ის, რაც ასე ძალიან აკლია თათქარიძეების პირვანდელ სახეებს. ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანში?!“ ლუარსაბი და დარეჯანი გარიგებით დაქორწინდნენ, „თუმცა ძალადობით მოხდა ესა, თუმცა მზითევშიაც მოატყუეს და მზეთუნახავის მაგიერ მახინჯი დარეჯანი შერთეს, მაგრამ – შუბლზედ ეგ მეწერაო – იფიქრა და დაემორჩილა ბედისწერასა.“ მათი შემხედვარე იტყოდი „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო.“ ისინი ნამდვილად ავსებდნენ ერთი-მეორეს, თუმცა არის კი დამსგავსება სიყვარული, რომელიც ჩვენში არც ისე ცოტას მიაჩნია საკმარის ბედნიერებად? აკა მორჩილაძის პერსონაჟების შემთხვევაში კი, ყველაფერი ნამდვილი გრძნობით დაიწყო. ეს იყო „ქორწინება ორი ახალგაზრდისა, ძველებურად, ქართველურად, გემრიელ დროსა და მშვიდობის ჟამსა, სათანადო სიხარულითა, სათანადო მზითვითა, სათანადო გრძნობითა.“ ისინი ცდილობდნენ უშვილობისგან გამოწვეულლი დარდი მხარში დგომითა და ერთმანეთზე ზრუნვით გადაეტანათ. ჩანს, მორჩილაძის ლუარსაბისთვის ცოლი იმდენად ძვირფასი ადამიანი იყო, რომ როცა კი უსაშველო წამლობისგან გამოწვეული ტანჯვა შეატყო, სთხოვა, შეეწყვიტა მცდელობები, რადგან მარტო სიბერეც ტკბილია, თუ გვერდით საყვარელი ადამიანი გყავს.

თუმც „კაცია-ადამიანის?!“ მთავარ პერსონაჟებს სიცოცხლეში არ ღირსებიათ შთამომავალი, მორჩილაძის თათქარიძეებს მიეცათ შვილი, მაგრამ ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა და „კნეინა... და ჩვილიცა...არ დარჩნენ...ღმერთმა... ერთმანეთს გადაჰყვნენ... ერთად წავიდნენ.“ ამ ემოციურ მომენტში გამოყენებულია პოსმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მხატვრული ხერხი ტექსტის ფრაგმენტაცია. ავტორი არ გვთავაზობს გაბმულ თხრობას, წყვეტილი აზრების დახმარებით ცდილობს ემოციური ზეგავლენა მოახდინოს მკითხველზე. ორივე შემთხვევაში ქმრები კარგავენ ცოლებს, თუმცა ცხოვრება მეუღლეების სიკვდილის შემდეგ განსხვავებულია. ილია წერს: „ამათ შვილი არ მიეცათ. დარეჯანმა ერთი აქიმი დედაკაცი იშოვა და წამლობა დაიწყო, აქიმმა დედაკაცმა ერთი რაღაც წამალი მისცა, მთელი ორი კვირა ასმევდა და მესამე კვირას კი დარეჯანს ფეხები გააჭიმინა.“ პოსტმოდერნისტულ ტექსტშიც ქალი შვილს ეწირება,

თუმცა მასთან ერთად ძეც იღუპება, ილიას დარეჯანი კი შეიძლება ითქვას საკუთარმა უსუსურობამ მოკლა, მოყარა ყველა ექიმბაში, თუ მჩხიბავი და საკუთარი ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ დააყენა, თუმცა რა შეიძლება მოვთხოვოთ ქალს, რომლის საყვარელ საქმიანობას ქმართან ერთად ბუზების თვლა წარმოადგენდა.

როგორც ვხედავთ, უშვილობა „საკრალური“ იყო თათქარიძეებისთვის. მიჩნეულია, რომ ოჯახური ბედნიერების სრულყოფისათვის შვილის გაჩენა აუცილებელია. თუმცა, „კაცია-ადამიანის?!“ მიხედვით ჩანს, სინამდვილეში ლუარსაბსა და დარეჯანს შვილი იმიტომ უნდოდათ, რომ ძმას არ დარჩენოდა მათი გაუბედურებული სახლ-კარი. „აბა, ეხლა დაუდგება თვალი დავითსა, აი!“ – ამბობს ერთგან გახარებული ლუარსაბი, როცა წარმოიდგენს მათ ეზოში მორბენალ შვილს. ამ თემას შეიძლება დავუკავშიროთ მორწმუნეობის საკითხიც. „წიგნის“ ნაწყვეტში ვკითხულობთ: „ყოველ კვირა დღეს მაჯის სიმსხო კელაპტარს აუნთებდნენ ხოლმე, სწირავდნენ და გასცემდნენ, დაუნანებლად გამოახსნევინებდნენ ხოლმე მოურავს ბეღლის კარს, ამოსწევდნენ ხოლმე ხატის ურდულს და ლოცულობდნენ. კნეინა უკვე ვეღარ დაიჩოქებდა ხოლმე ხატების წინა, იქვე, ლოგინთან დაუსვენა ხატები თავადმა და მღვდელიც ამოვიდოდა ხოლმე, როგორც რიგია.“ ილია ჭავჭავაძის თათქარიძეებმა კი რა წამს დარეჯანის ორსულობა „წარმოიდგინეს“, მაშინვე ჭამა-სმას მოყვნენ და ამგვარად აღნიშნეს მომავალი შვილის დაბადება (თუმცა ეს ცრუ განგაში აღმოჩნდა, მაგრამ მაინც). „მაშ დღეს მე და შენ ერთი კაი ქეიფი გავწიოთ, ერთი კაი წითელი ღვინო ავახდევინოთ, რომ შვილის სადღეგრძელო დავლიოთ. ურაა!“ – ეუბნება ბედნიერი ლუარსაბი დარეჯანს. „ააxდევინეს წითელი ღვინო. ცოლ-ქმარნი, დაჯერებულნი, რომ მემკვიდრე ეყოლებათ და დავითიანთ თვალები დაუდგებათ, სადილზედ გამხიარულდნენ. ნამეტნავად ლუარსაბი შექეიფიანდა და კარგად გამოიბრუჟა. ელისაბედი ამბობდა, რომ ვითომც დარეჯანსაც უყვარსო ღვინის სმა. ეს კი ვიცი, რომ იმ სადილზედ ამანაც გადუსო ორიოდ ჭიქა.“ „კაცია-ადამიანის?!“ პერსონაჟები მუდმივად საყვედურობდნენ ღმერთს, შვილი რატომ არ გვაჩუქეო, ხოლო „აპოკრიფებში“ კი ვკითხულობთ, რომ ცოლ-ქმარი გაგებით ეკიდებოდა ყველაფერს და უშვილობასაც ღვთის ნებად მიიჩნევდნენ.

ილია ჭავჭავაძის თათქარიძეებმა უმიზნოდ იცხოვრეს ამ წუთისოფელში. დარეჯანს აქიმის წამალმა გააჭიმინა ფეხები, „მოკვდა ლუარსაბიცა ისე, როგორც იხოცებიან ბევრნი ჩვენგანნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ.“ ამ ორი ადამიანის კვალი წაიშალა. მოთხრობის ფინალში ისმება კითხვა, რისთვის მოვიდნენ და რისთვის წავიდნენ? თითქოს თათქარიძეების უმიზნო ცხოვრებამ მკითხველიც უნდა გააბრაზოს, განა მხოლოდ იმისთვის იარსებეს, რომ სიკვდილის მერე სამადლოს შენდობა ეთხოვათ მათი საფლავის ქვებს გამვლელ-გამომვლელისთვის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ აკა მორჩილაძე თითქოს ამის კომპენსირებას ახდენს, რადგან „მოგზაურობა კახეთის გმირების“ სიკვდილს გარკვეული დატვირთვა მაინც აქვთ. ქალი მშობიარობას გადაჰვება და საკუთარ სიცოცხლეს გვარის გამგრძელებლის დაბადებას წირავს. ცოლის სიკვდილით განადგურებუთავადი კი საბრძოლველად მიდის, რადგან სურს თავი დააღწიოს მარტოობას. ზემოთ აღინიშნა, რომ ეპოქა და კონტექსტი დიდწილად განაპირობებს ლიტერატურული ნაწარმოების ფორმირებას, ამდენად, ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში ლუარსაბი წარმოჩენილია ასოციალურ, განათლების უარმყოფელ, უმიზნო, უფრო სწორად, ცხოვრების მთავარ მიზნად კულინარიული მოთხოვნილების დაკმაყოფილება რომ უქცევია ისეთ პერსონაჟად. უმეტესად, მისი უარყოფითი მხარეებია გამოკვეთილი. ამ შემთხვევაში, ეს ლოგიკურიცაა, რადგან ამგვარი ტიპური სახის შექმნით, ავტორი ცდილობს „საზოგადო ჭირის“ ჩვენებას და თანამედროვეთა გამოფხიზლებას.

ილია ჭავჭავაძე ტექსტში ძალიან ხშირად მიმართავს ირონიის ხერხს, ირონიზებულია სხვადასხვა ფაქტი და მოვლენა: ცოლ-ქმრის სიყვარული, რელიგიური განცდები და შვილის ყოლის სურვილიც კი. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოთხრობა სრულდება მათი სიკვდილით. ჯერ დარეჯანი კვდება. საინტერესოა, როგორ იქცევა საყვარელი ადამიანის გარდაცვალების შემდეგ ლუარსაბი. იგი შავებს ჩაიცვამს, წვერს მოუშვებს და ლოყებიც ჩაუვარდება „ბოლოს, ფერისცვალობის დღეს, რაღაც ეშმაკად, ნათლიმამამ ნახევარი ლიტრა კალმახი მოართვა. ჯავრისაგან იმ კალმახს ლაზათიანად მიაძღა, მოუვიდა კუჭის ანთება და ჩაჰბარდა პატრონსა.“ – ვკითხულობთ ნაწარმოების ბოლოს. ეს კონკრეტული მონაკვეთიც თავიდან ბოლომდე ირონიულია, რადგან შეუძლებელია, ერთმხრივ, საყვარელ ადამიანზე დარდობდე, მეორე მხრივ კი, მაინც საკვების უზომოდ მიღებაზე გეჭიროს თვალი. აკა მორჩილაძის მოთხრობაში ილიასეული ლუარსაბისაგან სრულიად განსხვავებულად იქცევა მთავარი პერსონაჟი მეუღლის დაკარგის შემდეგაც. აქ ვერსად ვხვდებით ირონიას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ხერხი პოსტმოდერნიზმში ხშირად

გამოყენებადია. ნაწარმოებიც ხომ იმით იწყება, თუ როგორ დარდიანად ჩასცქერის ცოლ-შვილის სამარეს ლუარსაბ თათქარიძე. „მთელ ამ გამოყოლებაზე ყველამ იცოდა, რომ ეს ფართოდ გაჭრილი სამარე, ქალისა და იმის უმანკო ჩვილისათვის, რომლებიც ამიერიდან საუკუნოდ ერთად იქნებოდნენ იმ სამოთხეშიაც, დიდხანს არ იქნებოდა ცალკეთ. ანუ, თავად ბატონს დიდი დღე აღარ ეწერა მიწაზე მარტოდ სამყოფად და ისაც მათ შორიახლო იპოვიდა ადგილს.“ ირგვლივ მყოფები კარგად იცნობდნენ კახელ თავადს და თუ ვინმეს შეიძლება ეფიქრა, რომ ეს მოშვებული წვერი და დადარდიანებული სახე თვალთმაცქობა იყო, ის ამ ლუარსაბს ნამდვილად არ იცნობდა. ამოდენა კაციც თვალსა და ხელს შუა ილეოდა, მაგრამ ილიასგან განსხვავებით, აქ ავტორი გულწრფელია, რადგან მისი პერსონაჟი ნამდვილად ასეთია, თავისუფალი ყოველგვარი სიყალბისგან.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ რეცეფციული ესთეტიკის წარმომადგენლის რომან ინგარდენის თვალსაზრისით, ტექსტში უკანასკნელი ფრაზები ძალიან მნიშვნელოვანია, მოვლენათა ჩვეულებრივ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას იდეურობას სძენს და დასრულებულ სახეს ანიჭებს. ილიას ლუარსაბი ჭამისგან კვდება, ხოლო აკა მორჩილაძისა საბრძოლველად მიდის, რათა თავისი სიკვდილით ქვეყანას მაინც მოუტანოს სარგებელი და გაუსაძლის მარტოობასაც წერტილი დაუსვას. „ასე წავიდა თავადი ლუარსაბ თათქარიძე ომში.“ მორჩილაძისეული ლუარსაბის ასეთი საქციელი სხვებში თანაგრძნობას და თანადგომის სურვილს იწვევს, განსხვავებით ილიასეული პერსონაჟისაგან. „მთელი კახეთი აქა ვართ, შენ სახლში. ჩინ-მედლისთვის არ მივდივართ იქა, ეგებ თავის მოსარჩენათ ან ტკივილის უფრო მეტ ტკივილით მოსავლელათ. აისხი ეგ იარაღი და წამოგვყევი. ვინ იცის, როგორ მისვლა სჯობია, იქა... ცაში“. „კაცია-ადამიანის?!“ ფინალი კიდევ ერთხელ ხაზგასმაა ლუარსაბ თათქარიძის ცხოვრების უაზრობაზე, რადგან უმიზნოდ გაატარა იგი თავის მეუღლესთან ერთად. შეიძლება ითქვას, ტექსტის დასასრულიც მოწმობს, რომ ავტორს კონკრეტული მიზანი დასახული აქვს, მისთვის მნიშვნელოვანია, რომ აღმქმელმა ზუსტად ისე მიიღოს ყველაფერი, როგორც თავად ჩაიფიქრა, ნაწარმოების იდეის ამოკითხვისას მკითხველის ინტენცია უნდა დაემთხვეს ავტორისას. განსხვავებული ვითარებაა აკა მორჩილაძის შემთხვევაში, რასაც ბუნებრივია, დიდწილად, სწორედ ის კონტექსტი განაპირობებს, რომლის ფარგლებშიც ქმნის ტექსტს. მისთვის, როგორც ავტორისთვის არაა მნიშვნელოვანი მკითხველი მის „გაკვალულ ბილიკებს“ მიჰყვეს ტექსტის რეცეფციისას. მოთხრობის თხრობის ფრაგმენტული სტილი, თუნდაც საფინალო ფრაზა, გულისხმობს, რომ მას შემდეგ, რაც ლუარსაბი ომში წავიდა, მისი, როგორც პერსონაჟის ბედის ინტერპრეტაციისას მკითხველს თავისუფლება ენიჭება.

ისტორიული ნარკვევი

გიორგი მაჭარაშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორია
III კურსი

ქრისტე და პირველი ქრისტიანები ბერძნულ-რომაულ წყაროებში

ქრისტიანობას საფუძველი რომის იმპერიის აღმოსავლეთში, პროვინცია სირიაში ჩაეყარა. პირველმა მონოთეისტურმა მსოფლიო რელიგიამ კაცობრიობის ყოფა-ცხოვრება და აზროვნება რადიკალურად შეცვალა. ცხადია, ქრისტეს მიერ ქადაგებული და მისი მოციქულების მიერ გავრცელებული მოძღვრება სრული სიახლე გახლდათ რომის იმპერიის მცხოვრებთათვის და ახალი მოძღვრება წარმართულ რომში ერთობ თავისებურად აღიქმებოდა.

ქრისტიანობის შესწავლისთვის არსებითია ანტიკური პერიოდის წერილობითი წყაროები, რომლებიც სამ კატეგორიად შეგვიძლია დავყოთ: 1. ქრისტიანული წყაროები, რომლებშიც ძირითადად ახალი აღთქმის წიგნები და ქრისტიანობის აპოლოგეტი ავტორები მოიაზრებიან; 2. იუდეური წყაროები; 3. ბერძნულ-რომაული წყაროები. ჩვენი მიზანი ანტიკური პერიოდის ბერძნულ-რომაული წყაროების შესწავლაა.

ანტიკური პერიოდის წარმართ ისტორიკოსებს შორის, რომლებიც ქრისტესა და პირველი ქრისტიანების შესახებ საუბრობენ, გამორჩეული ადგილი უჭირავს რომაელ ისტორიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს – პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსს (ახ.წ. 56-120). მას იმპერატორ ვესპასიანეს (ახ.წ. 69-79) მმართველობის პერიოდში სენატორის თანამდებობა ეკავა და ამავე დროს, იყო აზიის პროკონსული. ტაციტუსი თავის „ანალებში“ (116 წ.), გადმოგვცემს რა იმპერატორ ნერონის (ახ.წ. 54-68) მიერ რომის გადაწვის ამბავს, დასძენს: „ხმები რომ გაეფანტა, ნერონმა მოძებნა დამნაშავენი და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. ისინი თავიანთი სისაძაგლით საყოველთაო სიძულვილს იწვევდნენ და ბრბო მათ ქრისტიანებს უწოდებდა. ქრისტე, რომლის სახელისგან წარმოდგება ეს სახელწოდება, სიკვდილით დასაჯა ტიბერიუსის დროს პონტიუს პილატემ. დროებით ჩამცხრალმა ამ ბოროტმა ცრურწმენამ გამოაღწია... რომშიც... სადაც ყოველი მხრიდან მოედინება ყოველგვარი საზიზღრობა და აქ პოულობს მიმდევრებს“. იმავდროულად, იგი აღნიშნავდა: „მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანები, თუმცა დამნაშავენი იყვნენ და იმსახურებდნენ უკიდურესად მკაცრ სასჯელს, მათ მიმართ სიბრალულის გრძნობა იბადებოდა, ვინაიდან ისინი ნადგურდებოდნენ არა საზოგადოებრივი სიკეთისთვის, არამედ ერთი ადამიანის სისასტიკის გამო“.

ამგვარად, ტაციტუსი ქრისტიანობას წარმოადგენს, როგორც დესტრუქციულ ცრურწმენას, რომლის მიმდევრები სძულდათ რომაელებს. აქვეა მითითება ქრისტიანობის ძალიან სწრაფ გავრცელებაზე. ტაციტუსის ცნობით, ქრისტიანებმა ეს სახელი მიიღეს „ქრისტუსად“ წოდებული პიროვნებისგან და ქრისტე სიკვდილით დასაჯა პილატემ (ახ.წ. 26-36) იმპერატორ ტიბერიუსის მმართველობის პერიოდში (ახ.წ. 14-37).

ქრისტიანების დევნის შესახებ ერთ-ერთ უადრეს ცნობას ვხვდებით რომაელი მწერლისა და პოლიტიკური მოღვაწის, პლინიუს უმცროსის (ახ.წ. 61-113) შრომებშიც. პლინიუსი, თავისი „წერილების“ მეათე წიგნში ქრისტიანთა შესახებ საუბრობს. ეს წიგნი მისი გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა და მასში გადმოცემულია იმპერატორ ტრაიანესა (ახ.წ. 98-117) და პლინიუსის მიმოწერა, როდესაც ეს უკანასკნელი ლეგატად მსახურობდა პონტოსა და ბითინიის გაერთიანებულ რომაულ პროვინციაში. მასთან, როგორც ხელისუფალთან, ხშირად შეჰქონდათ საჩივრები ქრისტიანების წინააღმდეგ. „აი, ასეთი ზომები მივიღე მათ მიმართ, – წერს პლინიუსი იმპერატორ ტრაიანეს, – ვისაც

ქრისტიანობაში ედებოდა ბრალი. თავიდან ვეკითხებოდი, ნამდვილად ქრისტიანები იყვნენ თუ არა. თუ დამიდასტურებდნენ, მეორედ და მესამედ ვეკითხებოდი და თან დასჯით ვემუქრებოდი. და თუ მაინც იტყოდნენ, რომ ქრისტიანები იყვნენ, სიკვდილით ვსჯიდი“. აგრძელებს რა ქრისტიანებზე საუბარს, პლინიუსი ასევე წერს: „მხოლოდ მათ ვათავისუფლებდი, ვინც... ჩემთან ერთად მოუხმობდა [წარმართ] ღვთაებებს; თაყვანს სცემდა, საკმეველს უკმევდა და ღვინოს უღვრიდა თქვენს გამოსახულებას... და წყევლიდა ქრისტეს“ (წერილები, X, 96-97).

პლინიუსს კონკრეტული შეკითხვაც აქვს იმპერატორთან: ქრისტიანები უნდა დასაჯოს მხოლოდ ქრისტიანობისთვის თუ მაშინ, როცა ისინი რამეს დააშავებენ. ამ კითხვაზე ტრაიანე პასუხობს, რომ სახელი, ესე იგი თავად ქრისტიანობა, უკვე გულისხმობს დანაშაულს. თუმცა იქვე უბრძანებს, ნუ ეცდება მოძებნოს ქრისტიანები და არ მიაქციოს ყურადღება დაბეზღებებს, მაგრამ თუ ვინმეს ქრისტიანობა დაუმტკიცდება და ის რწმენას არ შეიცვლის, აუცილებლად დასაჯოს სიკვდილით.

რომაელი მოღვაწე იმპერატორს ქრისტიანთა ცხოვრების შესახებაც მოუთხრობს. ამცნობს, როგორ იკრიბებიან ისინი განთიადზე, უგალობენ და ადიდებენ ქრისტეს, როგორც ღმერთს და მათ შეკრებებში არაფერი დანაშაულებრივი არ შეინიშნება. ფიცს დებენ, რომ იცხოვრებენ პატიოსნად, არ მოიპარავენ, არ იცრუებენ და წმინდად დაიცავენ თავიანთ აღთქმებს.

პლინიუს უმცროსის წერილში გადმოცემულია ერთი საინტერესო ამბავი. ვიღაც უცნობმა მასთან საჩივარი შეიტანა, რომელშიც ბრალს სდებდა კონკრეტულ ადამიანებს ქრისტიანობაში. საკუთარი „უდანაშაულობის“ დამტკიცების მიზნით, ამ უკანასკნელებმა მოითხოვეს წარმართულ რიტუალში მონაწილეობა, რამაც წერილის ადრესატი მათ უდანაშაულობაში დაარწმუნა. „რადგან ჭეშმარიტი ქრისტიანები შეუძლებელია ამაზე დაიყოლიო“ – წერს პლინიუსი ტრაიანეს და ამით ხაზს უსვამს ქრისტიანების სიმტკიცესა და ქრისტეს მოძღვრებისადმი ერთგულებას.

ამდენად, პლინიუს უმცროსის ტრაიანესადმი მიწერილი წერილიდან ვიგებთ საგულისხმო ცნობებს პირველი ქრისტიანების ცხოვრებისა და მათი დევნის შესახებ. ქრისტიანები რეგულარულად იკრიბებიან, რათა თაყვანი სცენ იესოს, როგორც ღმერთს – ეს ალბათ ყველაზე არსებითია ამ ცნობებს შორის.

ამავე პერიოდში მოღვაწეობდა კიდევ ერთი რომაელი ისტორიკოსი, ენციკლოპედისტი და მწერალი გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსი (ახ.წ. 75-140). სვეტონიუსის შემოქმედებიდან გამოსარჩევია „12 კეისრის ცხოვრება“, რომელშიც გადმოცემულია რომის იმპერატორების ბიოგრაფია იულიუს კეისრიდან იმპერატორ დომიციანემდე. ნაწარმოების ერთ-ერთ ნაწილში, კერძოდ, „კლავდიუსის ცხოვრებაში“, მწერალი საუბრობს რომში მომხდარ არეულობაზე, რომელიც, როგორც ჩანს, გამოიწვია იუდეველებს შორის არსებულმა დაუსრულებელმა კამათმა ქრისტეს შესახებ. სვეტონიუსი წერს: „იუდეველები სულ აღელვებული ქრისტუმის [ქრისტეს] გამო [კლავდიუსმა] {ახ.წ. 41-54} რომიდან გარეკა“ (ღვთაებრივი კლავდიუსი, XXV, 4). სხვაგან კი, იმპერატორ ნერონის პერიოდზე საუბრისას, აღნიშნავს: „იმპერატორმა სასჯელი დაუწესა ქრისტიანებს, რომლებიც ახალი ცრურწმენით დასნეულდნენ“ (ნერონი, XVI, 2). აქედან გამომდინარე, ცხადია, სვეტონიუსმა იცის, რომ I საუკუნის 60-იან წლებში ქრისტიანები ერთი მოძღვრების ქვეშ გაერთიანებულ რელიგიურ ორგანიზაციას წარმოადგენენ, რომლებიც ახალი რელიგიის დამფუძნებლის – ქრისტეს სახელის მატარებელი არიან.

ქრისტიანების შესახებ მოგვითხრობს ბერძენი მწერალი-სატირიკოსი, ლუკიანე სამოსატელიც (ახ.წ. 120-190). მოღვაწეობდა სირიის ანტიოქიაში, შემდეგ კი ლოგოგრაფოსობას მიჰყო ხელი. მეცნიერები ლუკიანეს მეორე სოფისტიკის წარმომადგენლად მიიჩნევენ, რომელიც იმპერატორ ადრიანეს პერიოდიდან დაიწყო. ბერძენი სატირიკოსის თავდასხმის ობიექტს წარმოადგენდა ყველა რელიგია თუ მაგია და რა თქმა უნდა, ქრისტიანობაც არ გამორჩენია მხედველობიდან. ქრისტესა და მისი მიმდევრების შესახებ იგი საუბრობს თავის ნაშრომში „პერეგრინის ცხოვრება“. იგი წერს: „ქრისტიანები კი, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ეთაყვანებიან იმ ადამიანს, რომელიც ჯვარს აცვეს პალესტინაში, რადგან მან ცხოვრებაში ახალი წესჩვეულებანი დანერგა“ (პერეგრინის ცხოვრება, 11, 23). შემდგომ აგრძელებს საუბარს და ერთერთ მონაკვეთში იესოს „ჯვარზე გაკრულ სოფისტს“ უწოდებს. აქვე ახასიათებს ქრისტიანებს და გადმოგვცემს მათ დამოკიდებულებას სიკვდილთან: „ამ საწყლებმა დაიჯერეს, რომ მთლად უკვდავნი იქნებიან და მარად იცოცხლებენ. ქრისტიანებს სძაგთ სიკვდილი, ბევრი მათგანი კი თვითონ ეძიებს მას. მაგათმა პირველმა სჯულმდებელმა დაარწმუნა ისინი, რომ მას შემდეგ, რაც ბერძნული ღმერთებისგან განიდრიკებიან, აღიარებენ ჯვარზე გაკრულ სოფისტს და მისი კანონების თანახმად იცხოვრებენ, ერთმანეთის

ძმები გახდებიან. ამიტომ მათ, ამ მოძღვრებას კრიტიკის გარეშე მინდობილთ, ერთნაირად სძულთ ყოველგვარი სიმდიდრე და თუკი მათთან მივა ვინმე თაღლითი, დიდოსტატი თავისი საქმისა და შექმნილი მდგომარეობით ისარგებლებს, ის მოკლე დროში დიდძალ ქონებას დაიდებს და ამ მიამიტებსაც გააბიაბრუებს“ (პერეგრინის ცხოვრება, 13, 24).

მოცემულ ეპიზოდში, გარდა იმისა, რომ ლუკიანე ქრისტეზე საუბრობს როგორც ქრისტიანების ჯვარცმულ წინამძღოლზე, ფაქტობრივად, თავისი თვალით დანახულ ქრისტიანის, ქრისტეს მიმდევრის სულიერ პორტრეტსაც გვიხატავს, რაც საინტერესო ისტორიული მოწმობაა.

პირველი ქრისტიანების შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული კლიმენტი ალექსანდრიელისა და ამონიუს საკას მოწაფესთან – ორიგენესთან (185-251). კერძოდ, მის თხზულებაში „ცელსუსის წინააღმდეგ“, რომელშიც ორიგენე გამოდის ქრისტიანების ყველაზე დიდი კრიტიკოსის, ცელსუსის საპირისპიროდ და ქრისტიანებთან დაკავშირებით მის თვალსაზრისს აკრიტიკებს. ნიშანდობლივია, რომ თვით ცელსუსის ნაშრომს ჩვენამდე არ მოუღწევია, მის შესახებ სწორედ ორიგენეს ნაშრომიდან ვიგებთ. ორიგენეს ცნობით, ცელსუსი ბრალს სდებდა ქრისტეს, რომ მან ქალწულისგან დაბადება გამოიგონა. მისი თქმით, ქრისტეს ჰყავდა მიწიერი მამა, რომელიც იყო ხურო (ცელსუსის წინააღმდეგ, I, 28).

საკითხის შესწავლის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის აგრეთვე, III საუკუნის ქრისტიანი მოღვაწე და მწერალი – იულიუს აფრიკანუსი (160-240), რომლის ნაშრომშიც დაცულია ცნობები თალუსისა (ახ.წ. 52) და ფლეგონის (ახ.წ. II საუკუნე) (ქრონოგრაფია) შესახებ. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ თალუსი თავის მესამე წიგნში წერდა იმპერატორ ტიბერიუსის პერიოდში არსებულ მზის დაბნელებაზე, რომ სიბნელე, რომელიც ჩამოწვა იმპერატორ ტიბერიუსის მმართველობის პერიოდში, იყო მზის დაბნელების შედეგი. ამდენად, ქრისტეს ჯვარცმის დროს ჩამოწოლილ სიბნელეს ის განიხილავს, როგორც ბუნებრივ მოვლენას, რასაც თავის მხრივ არგუმენტირებულად უარყოფს იულიუს აფრიკანუსი (იულიუს აფრიკანუსი, ქრონოგრაფია, XVIII, 1). რაც შეეხება ბერძენ მწერალს ფლეგონს (ახ.წ. 80-140), იულიუს აფრიკანუსის ცნობით, ფლეგონი წერდა ტიბერიუს კეისრის პერიოდში ჯვარცმის დროს ჩამოწოლილ სიბნელეზე და ამ მოვლენას ისიც მზის დაბნელებით ხსნიდა (იულიუს აფრიკანუსი, ქრონოგრაფია, XVIII, 1). საინტერესოა ფლეგონის მიერ ქრისტეს შესახებ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის თაობაზეც უკვე ორიგენე საუბრობს. კერძოდ, ქრისტიანი თეოლოგის მიხედვით, ფლეგონი წერდა ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა ქრისტეს მიერ მომავლის წინასწარმეტყველების უნარი, აღდგომა და ჭრილობები, რომლიც მან ჯვარცმის შედეგად მიიღო (ცელსუსის წინააღმდეგ, წიგნი II, თავი 14, 33, 59).

მართალია, ზემოთ ხსენებული ბოლო სამი ავტორის – ცელსუსის, თალუსისა და ფლეგონის ნაშრომებს ჩვენამდე არ მოუღწევია და მათ შესახებ უფრო გვიანდელ წყაროებს ვეყრდნობით, მაგრამ ამ ავტორების შესახებ ცნობების მოყვანა აუცილებლად მივიჩნიეთ, რადგან ჩვენი მიზანი ანტიკური (წარმართი) ავტორების ცნობების მოძიებაა, სადაც ისინი პირველი ქრისტიანების შესახებ მოგვითხრობდნენ.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ანტიკური პერიოდის წარმართული წყაროები მწირ, თუმცა საკმაოდ საინტერესო ცნობებს შეიცავენ ქრისტესა და პირველი ქრისტიანული თემების შესახებ. ქრისტიანობის მიმართ ამ პერიოდის წარმართი მწერლების დაინტერესება ძირითადად განპირობებული იყო საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებისა და დაცვის თვალსაზრისით. ქრისტეს მიმდევრები კი ის ადამიანები იყვნენ, რომლებსაც რომაელთა მტკიცე რწმენით, იმპერიაში არეულობა და შფოთი შეჰქონდათ. მაგრამ სწორედ ეს ფაქტი, რომ ანტიკური პერიოდის მწერლები, ფაქტობრივად, სასხვათაშორისოდ, გაკვრით ახსენებენ ქრისტესა და მის მიმდევრებს, ვფიქრობ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ წყაროებს – ზემოთ მოყვანილი წარმართული წყაროები წარმოადგენენ ერთ-ერთ მთავარ არგუმენტს იესო ქრისტეს, როგორც ისტორიული პიროვნების არსებობის დასასაბუთებლად.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 2587-5027
9 772587 502000